 lf ufdbnfyjs tdhjgbc ,fpf-
 hpt7 itd&kt,s7 lf xdy fvfpt
 tdhjgfcsfy dveifj,s7 bm fhbc
 lblb itvj,heyt,f8 itd&kt,s
 se fhf vsfdfh hfqfwfc5 xdy
 sdbsjy vjdbkfgfhfrjs lf
 bvltyfl ufd&kbthlts7 hju-
 jhw mdt.fyf7 hjv nthbnjh-
 bekb vskbfyj,bc cfrbs[b7 gb-
 hdtk hbuib7 xdy sdbsjy eylf
 uflfdo.dbnjs7 xdy lf fhf
 dfibyunjyvf7 fhf vjcrjdvf lf
 fhf dbyvt c[dfv8
 xdty eylf uflfdlufs vs-
 fdfhb yf,b]t,b7 xdy eylf db-
 .js fvbcnsdbc acbmjkjubeh-
 fl vpfl7 xdy eylf db.js vfu-
 hf17 xdy eylf db.js rjy-
 ckbjlbht,ekb8 xdy eylf
 lfdfyf[ls .dtkfc7 hjv cbh-
 sektt,bc7 cb&ytktt,bc fh udt-
 ibybf7 seylfw ghjdjrfwbt,bc7
 seylfw hfqfwf c[df lf,-
 hrjkt,t,bc8 xdy eylf dbvj&-
 hfjs oby sfvfvf17 rjycjkb-
 lbht,ekf18 lf hjwf tc bmyt,f7
 .dtkf lfyfhxtyb lfudfafct,c7

fyufhbic ufudbotdc7 vjdtojyt-
 ,bs lf se fh vjdtojyt,bs7
 .jdtk itvs[dtdfib7 [tkc vfbwy
 dtqfh itudbikbc8 fb7 tc fhbc
 vsfdfhb7 hfcfw xdy eylf vb-
 dfqobj8 tc fhbc7 hfw xdy ey-
 lf ufdbpbfhjs8 hjwf vfuh, b
 dbmyt,bs7 vtht .dtkfathb rf-
 hufl bmyt,f8
 2 lblb vflkj,f7 ,fn-
 jyj vb[tbk8 smdy xtvpt
 ertstcf1 utcvs7 hjv
 .dtkf fv vbpvbc vbqotdf uf-
 thsbfty,ekb7 rjycjkb-
 lbht,ekb cfpjufljt,bc
 ufhtit fh itb&kt,f8 fv
 v[hbd fhct,j,c ufhrdtek
 rbs[dt,b7 hujkt,bw xdy
 cfpjufljt,bc w[jdht,bc
 wfkrtek cathjt,c t[t,f7
 bmyt,f tc cfvfhskb7 flfvb-
 fybc eakt,t,b lf fct itv-
 ltu7 hjvtksf itcf[t, cf-
 e,fhb lf rbs[dt,pt gfce-
 [t,bc vjwtvbc cfiefkt,f
 31hjt,bcf4 lf 3bvt1bc4
 vf.eht,tkc7 bvtlb vfmdc7
 rbltd fhfths[tk tmyt,f8
 2 bvtlblf7 hf smvf eylf8
 2 lblb vflkj,f8

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საგანგებო
განცხადება 2006 წლის 18 ივნისს კოდორის ხეობაში
მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით**

ჩემო თანამემამულენო!

დღეს ქართულმა სახელმწიფომ მნიშვნელოვანი გამოცდა ჩააბარა. მრავალი წლის შემდეგ ჩვენ აფხაზეთში - კოდორის ხეობაში საქართველოს ხელისუფლების სრული კონტროლი აღვადგინეთ.

ჩემი წინამორბედის და მისი მთავრობის ყველანაირი მცდელობა – კოდორში შესულიყვნენ და კონტროლი ან რაიმე სახის იურისდიქცია დაემყარებინათ, ადგილობრივი კრიმინალიზებული, გასამხედროებული ბანდის გააფირებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

მინდა შეგახსნოთ, ეს ის ბანდაა, რომელმაც რამდენიმე წლის წინ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობა, კოდორში ადგილობრივ მოსახლეობასთან შესახვედრად რომ ჩავიდა, მძღვად აიყვანა, სასტიკად სცემა და კოდორის ხეობიდან გამოაგდო.

ეს ის ბანდაა, რომელიც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, ელექტროგადამცემ ხაზებს რეგულარულად აზიანებდა, ადგილობრივ ხელისუფლებას ფულს იმისთვის ძალავდა, რომ საქართველოს მოსახლეობას ელექტროენერგია პქონოდა.

ეს ის ხალხია, ვინც წლეუნადელ წელს ყველაზე ცივ ზამთარში, საქართველოს მოსახლეობას ერთადერთი ელექტრომობარაჟების ხაზი მაშინ გაუთიშა, როცა რუსეთმა ელექტრო ბლოკადაში მოგვაქცა.

ბოლო დღეების განმავლობაში ეს ჯერ საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ღიად აჯანყდა და საჯაროდ

გამოთქვამდა პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ საქართველოს იურისდიქცია ჩვენი ტერიტორიის ამ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ნაწილზე არ ვრცელდება.

ჩვენი ყველა მცდელობა კოდორში დაგეწყო სკოლების, ამბულატორიების რემონტი, აღგვედგინა აეროპორტი, მოსახლეობისათვის ჩაგვეტანა პროდუქტები, იმით მთავრდებოდა, რომ ჩვენ მიერ გაწეული დახმარების დიდი ნაწილი ამ ბანდიტების ხელში ვარდებოდა და პრაქტიკულად მათი ნადავლი ხდებოდა.

დღეიდან კი ეს ყველაფერი შეიცვალა.

დღეს წარმატებით და სათანადო დონეზე ყველა დასახელებული პუნქტი ერთხელ და სამუდამოდ საქართველოს იურისდიქციას დაუბრუნდა.

საქართველოს ძალებმა, მას შემდეგ, რაც რამდენიმე თანამშრომელი დაიჭრა, საპასუხო ცეცხლი გახსნეს და კრიმინალების პირველი შემოტევა მოიგერიეს.

მინდა განსაკუთრებული გულისტკივილით აღვნიშნო - ამ ცეცხლის გახსნის დროს დაიღუპა ადგილობრივი მცხოვრები.

ამ ადამიანის დაღუპვის გამო ჩემი ოჯახის სახელით მინდა განსაკუთრებული მწუხარება გამოვთქვა.

ამ ადამიანის დაღუპვა იმ ყაჩაღების და ნაძირალების სინდისზეა, რომლებმაც ქალები და ბავშვები ფარად აიფარეს და მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში გამაგრდნენ.

ეს სიკვდილი იმ ხალხის სინდის-ზეა, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ ტელევიზით გამოსულიყვნენ და მათვის დანებებისკენ და იარაღის ჩაბარებისკენ მოეწოდებინათ, დღე და ღამე წინააღმდეგობის ბოლომდე გაწევისკენ მოუწოდებდნენ.

იყო ხალხი, აბსოლიტურად თავზე ხელალებული, რომელიც ტელევიზით აცხადებდნენ, რომ ბოლომდე გაიბრძო-ლეთ - ეს მსხვერპლი სწორედ ამ ხალხ-ის სინდისზეა.

მათ ამ ყველაფერზე სერიოზული პა-სუხი მოეთხოვებათ!

ჩვენ უნდა გვესმოდეს, რა რეგიონში აღდგა საქართველოს ხელისუფლების კონტროლი, კონსტიტუციური წესრიგი და ოურისდიქცია.

კოდორის ხეობიდან და იმ ტერ-იტორიიდან, სადაც ჩვენ არ გვიშ-ვებდნენ, უმთავრესი სიწმინდეები-ბედის მონასტერი, ბიჭვინთის წმინდა ღვთისმშობლის ისტორიული ტაძ-არი, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რიწის ტბა და ბოლოს და ბოლოს, ჩვენი აფხაზეთის დედაქალა-ქი – სოხუმი ძალიან ახლოსაა.

ეს იყო ბრძოლა, არა ტერიტორიისთვის, არამედ იმ ადამიანების დასაცავად, რომ-ლებიც მოელი ამ წლების განმავლობა-ში დაუცველნი იყვნენ.

აფხაზეთის ომის შემდეგ ამ რეგიონ-ში ყაჩაღების ხელით გაცილებით მეტი ადამიანი დაიღუპა, ბევრად მეტი ტერ-ორი და ძარცვა მოხდა, ვიდრე აფხაზე-თის ომის განმავლობაში.

ჩვენ უკვე ვართ შემდგარი სახ-ელმწიფო, ეს ერთხელ და სამუდა-მოდ უნდა ჩავიბეჭდოთ.

ჩვენი რყევის და რაღაც სახის დესტაბილიზაციის, გატეხვისა და

წაქცევის სურვილი არავის არ უნდა გაუჩნდეს, მით უფრო იმ საშინელ ძალას, რომელიც ამისთვის ყვე-ლაფერს აკეთებს.

ჩვენ არავის მიმართ არ გვამოძრავებს არანაირი შერისძიება, მაგრამ ეს ბანდა, რომელიც კოდორში ახლაც გაბნეულია, მოქმედებდა პირდაპირ კოორდინაციასა და შეთანხმებაში სეპარატისტული რე-ჟიმის ყველაზე წამყვან წარმომადგენ-ლებთან.

გუშინ მოვისმინე ბადაბშის განცხა-დება იმის თაობაზე, რომ ისინი კრიმინა-ლებთან შეთანხმდნენ რომ პრობლემებს არ შეუქმნიან, სანაცვლოდ კი საქართვე-ლოს ხელისუფლება იმ ტერიტორიაზე არ უნდა შესულიყო.

ეს სეპარატისტების მხრიდან ამ ბან-დის ხელშეუხებლობის გარანტია იყო.

ის ადამიანი, ვინც პირადად ამაგრებ-და ხალხით, იარაღით და პოლიტიკური მხარდაჭერას აღუთქვამდა, იყო ვინმე კუპალბა.

მინდა გავიმეორო - საქართველოს ბოროტი მახსოვრობა არ აქვს, ქართვე-ლი ხალხი მიმტევებელია და მას შერისძიება არ ამოძრავებს. თუმცა მინდა, ყვე-ლამ გაიხსენოს – ეს ის კუპალბაა, რომელიც 1992 წლის შემოდგო-მაზე გაგრის სტადიონზე ქართველთა მოჭრილი თავებით ფეხბურთს თამა-შობდა.

პარლამენტის თავმჯდომარესთან, პრემიერ-მინისტრთან და საქართვე-ლოს მთავრობის სხვა წევრებთან შეთანხმებით, მივიღეთ გადაწ-ყვეტილება, რომ კოდორის ხეობაში აფხაზეთის მთავრობა განვალავოთ, რომელიც ამ ტერიტორიაზე საქართველოს ხელისუფლების სრულ იურისდიქციას გაავრცელებს, სრულ კონტროლს დაწესებს, ცხოვრებას

ნორმალურ კალაპოტში მოაქცევს და **აღმშენებლობით სამუშაოებს** დაიწყებს.

პირადად მე აქამდეც მიმაჩნდა, რომ აფხაზეთის მთავრობის ადგილი თბილისში, რუსთაველის გამზირზე არ იყო, უბრალოდ, ყაჩაღები იქ მათ არ უშებდნენ და კონტაქტის ყველა მცდელობა აღკვეთეს.

ახლა აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა (იმ ხალხის მთავრობა, რომელიც ამ ტერიტორიიდან გამოაგდეს, შეურაცხყვეს და განდეგნეს) კოდორში დაიდებს ბინას და კოდორი აფხაზეთის დროებით ადმინისტრაციულ ლეგიტიმურ ცენტრად გამოცხადდება.

ვეღარავინ, მით უფრო ერთი ცალკე აღებული ჯგუფი, ვეღარ ილაპარაკების აფხაზეთის ტერიტორიისა და იქ დარჩენილი ჩვენი მოქალაქეების სახელით.

მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ქართული სახელმწიფოს განზრახვა არის მშვიდობიანი და კონსტრუქციული.

ყველას უნდა ეხმოდეს, რომ ჩვენ დიდი მოთმინება გაგქვს, მაგრამ ამ მოთმინების უკან 300 ათასი დევნილი დგას და მათ შორის არა მარტო ქართველები, არამედ სხვა ეროვნების ადამიანებიც არიან, რომლებსაც წაართვეს სახლები, საკუთრება, ადამიანური დირსება და მთავრი უფლება – იცხოვრონ იმ მიწა-წყალზე, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ, სადაც ეს დოკულათი მათ საკუთარი ხელით შექმნეს.

მათ ეს უფლება და ღირსება წაართვეს და წაართვეს წინაპართა საფლავები.

თითოეული მათგანი საკუთარ მიწა-წყალზე უნდა დაბრუნდეს და ყველამ ერთად სამოქალაქო მშვიდობა და ეთნიკური და მოქალაქეობრივი თანამშრომ-

ლობის ახალი საერთო ქართული სახელმწიფოებრივი მოდელი ხელახლა უნდა შექმნათ.

ჩვენ ამ პოლიტიკას არ ვადავუხვევთ.

ამ თემასთან დაკავშირებით არავინ კომპონმისზე – არც ჩვენს საგარეო კრიტიკოს სახელმწიფოსთან და არც ჩვენს ზოგიერთ ძალზე უპასუხისმგებლო შიდა კრიტიკოსებთან – არ წავალთ.

გავეცი განკარგულება და აფხაზეთის მთავრობის კოდორის ხეობაში გადასვლის პარალელურად, კოდორის ხეობაში დაუყოვნებლივ გაიგზავნება საკვები პროცესტი, ასევე პირველადი მოხმარების საგნები.

გავეცი განკარგულება, რომ კოდორში მცხოვრებმა თითოეულმა ოჯახმა, ამ პროცესტების გარდა, საქართველოს მთავრობისაგან ფულადი დახმარება მიიღოს, რათა ყოველმა მათგანმა სასწაფოდ გადაწყვიტოს მათ წინაშე ამჟამად მდგარი უპირველეს ყოვლისა მოსაგვარებელი საკითხები.

გავეცი განკარგულება, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს კოდორის დიდი გზის აღდგენა და ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს მთავრობამ რამდენიმე მილიონი ლარი უკვე მოიძია, რათა კოდორის ხეობას წლის ძირითადი დროის განმავლობაში გახსნილი, საიმედო გზა პქონდეს.

ამ გზაზე სატრანსპორტო საშუალებები – ავტობუსები უნდა გავუშვათ, რომელთა მეტვეობითაც მოსახლეობას თავისუფლად გადაადგილება და დანარჩენ საქართველოსთან მიმოსვლა შეეძლება.

ამას გარდა, გავეცი განკარგულება, რომ ამ დღეებში დაუყოვნებლივ დაიწყ-

ოს კოდორის აეროდრომის მოდერნიზაცია და ამ პროცესს, მაქსიმუმ, რამდენიმე თვე უნდა დასჭირდეს.

ასევე გავეცი განკარგულება მეზობელი ქვეყნიდან დამატებით რამდენიმე თვითმფრინავის შეძენის თაობაზე, რათა კოდორში ფრენა რეგულარულად, ყოველგვარი ტექნიკური ხარვეზების გარეშე, გამართული საფრენი საშუალებებით შეგვეძლოს.

ასევე გავეცით განკარგულება და ამას აქმდე ვერ ვახერხებდით, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს ყველა სკოლის რემონტი, ყველა სოფელში შეიქმნას კულტურული ობიექტები და იქ არსებული ამბულატორიის აღდგენა და მოდერნიზება მოვახერხოთ.

კოდორში უნდა ჩავიყვანოთ ექიმები, რომლებიც იქ დაიდებენ ბინას და კოდორის მთელ მოსახლეობას მუდმივად მოემსახურებიან.

ეს არის ის ძალზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც დღეს საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო და რომლებსაც უახლოეს პერიოდში განახორციელებს.

ამავე დროს, ვაფრთხილებ ყველას, განსაკუთრებით კი, ჯერ კიდევ აფხაზეთში განლაგებულ რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტს, თავი შეიკავონ იმ ტიპის განცხადებებისაგან, რომლებიც ამ კონტინგენტის წარმომადგენლების მხრიდან ბოლო დღეების განმავლობაში მოვისმინეთ და ვურჩევ, განსაკუთრებით შეიკავონ თავი რაიმე სახის პროვოკაციული ქმედებებისაგან.

მსოფლიოს არ სძინავს, ის ყველაფერს კარგად ხედავს და, ვფიქრობ, ყველა მხარემ უნდა იქისროს პასუხისმგებლობა და ითანამშრომლოს იმისათვის, რომ ნებისმიერი პრობლემა თავიდან ავიცილოთ.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ქალბატონ
 ნინო ბურჯანაძის
 ქ.ბრიუსელში (ბელგია) და ქ.ნიუ-იორკში აშშ ვიზიტის
 შედეგები**

3-11 ივლისი 2006 წელი

საქართველოს პარლამენტის თავ-
 მჯდომარემ ქ-ნმა ნინო ბურჯანაძემ და
 საქართველოს საპარლამენტო დელე-
 გაციაშ მონაწილეობა მიიღო ევროპის
 უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის
 ორგანიზაციის (OSCE) საპარლამენ-
 ტო ასამბლეიის სესიაში, რომელიც
 გაიმართა 3-7 ივლისს ქ.ბრიუსელში,
 ბელგია.

ქართულმა მხარემ ეუთოს საპა-
 რლამენტო ასამბლეას წარუდგინა რე-
 ზოლუციის პროექტი თრგანიზაციის
 მიერ მიღებული გადაწყვეტილებების
 რეალიზაციის მონიტორინგის, ეუთოსა
 და მის საპარლამენტო ასამბლეას
 შორის ფუნქციონალური თანამშრომ-
 ლობის გაუმჯობესებასთან დაკავშირე-
 ბით.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის
 პოლიტიკური კომიტეტის წინაშე გა-
 მოსვლაში, ქალბატონმა ნინო ბურჯან-
 აძემ აღნიშნა, რომ ესმაურება გასული
 წლების განმავლობაში უკვე არაერთხელ
 წამოჭრილ პრობლემას თრგანიზაცი-
 ის მიერ მიღებული გადაწყვეტილებე-

ბის შესრულების აუცილებლობასთან
 დაკავშირებით. რეზოლუციის მიხედ-
 ვით, მნიშვნელოვანია რომ ეუთო თა-
 ვად იყოს რეაგირების მთავარი ინიცი-
 ატორი თრგანიზაციის ფარგლებში
 არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით.
 საჭიროა გაუმჯობესდეს გადაწყვე-
 ტილებების მიღების არსებული მე-
 ქანიზმების ეფექტურობა. რეზოლუციის
 პროექტმა დღის წესრიგში დაყენა
 აგრეთვე საპარლამენტოაშორისო
 თანამშრომლობის და ეუთოს საპარ-
 ლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილე-
 ბების ეროვნულ დონეზე რეალიზაცი-
 ის დონის ამაღლების საკითხი. რუსე-
 თის ფედერაციის ორგზის პროტეს-
 ტის მიუხედავად, ეუთოს საპარლამენ-

ტო ასამბლეამ მხარი დაუჭირა აღნიშნული რეზოლუციის პროექტს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მონაწილეობა მიიღო არჩევნებში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პოსტზე, მაგრამ მიღებული ხმების რაოდენობა არ აღმოჩნდა საკმარისი აღნიშნული თანამდებობის დასაკავებლად.

2006 წლის 11 ივლისს ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ სიტყვით მიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს, სადაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე უშიშროების საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია აფხაზეთში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით. ხაზი გაუსვა რუსი სამშვიდობოების არაეფექტურობას და მათი რეგიონში ყოფნის მკვეთრად გამოხატულ ნეგატიურ გავლენას სამშვიდობო

პროცესზე. აღინიშნა, რომ საქართველოს პარლამენტი აპირებს მიიღოს რეზოლუცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული რუსი სამშვიდობოების შესახებ, მაგრამ აქვე აღინიშნა ის გარემოებაც, რომ საქართველოს პარლამენტი მზადაა ობიექტური შეფასება მისცეს და იყოს აღექვატური კონფლიქტის დარეგულირებისაკენ მიმართული ყველა პოზიტიური ნაბიჯის მიმართ.

ქართულმა მხარემ წამოაყენა ინიციატივა არსებულ სამშვიდობო მანდატში საერთაშორისო კომპონენტის ჩართვასთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირა გაეროს გენერალური მდიგნის „მეგობარი ქვეყნების“ ჯგუფის ინიციატივას კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო სამოქალაქო პოლიციის სეგმენტის ამოქმედების თაობაზე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ქალბატონი ნინო ბურჯანაძის გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში.

ბატონო პრეზიდენტო, პატივცემულო კოლეგებო,

თავდაპირველად ნება მომეცით გულწრფელი მადლობა გამოვხატო უშიშროების საბჭოს მიმართ, რომ სხდომაზე გამოსვლის და საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ საუბრის საშუალება მომეცა. მინდა მადლობა გადავუხადო გენერალურ მდივანს მისი მოხსენებისთვის ამ საკ-

ითხზე და განსაკუთრებული პატივისცემა გამოვხატო გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, ქალბატონ ჰეიდი ტალიავინის მიმართ, საოცრად რთული კონფლიქტის მოგვარების პროცესში, მისი მუდმივი და დაუღალავი ძალისხმევისათვის.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად მისი უდიდესი როლისა, მისია, რომელსაც ამჟამად ქალბატონი ტა-

ლიავინი ხელმძღვანელობს, არ ფლობს იმ ძირითად მანდატს, რომელიც მას საშუალებას მისცემდა, კონფლიქტის საბოლოო, სრული და მდგრადი პოლიტიკური გადაწყვეტისათვის მიეღწია.

ბატონო პრეზიდენტო,

თქვენთვის ალბათ ცნობილია, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ჩვენ განვახორციელოთ სახელმწიფო ინსტიტუტების განმტკიცებისაკენ მიმართული რეფორმები, რათა დემოკრატიული პროცესები შეუქცევადი გაგვეზადა. თუმცა, დემოკრატიის მშენებლობას გარკვეული პრობლემები აფერხებს, რომელთა გადაჭრაც მხოლოდ საქართველოს ძალისხმევით ან პოლიტიკური ნებით შეუძლებელია; ეს ის პრობლემებია, რომელთა მოგვარება საერთაშორისო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების და, უპირველეს ყოვლისა, გაეროს ჩარევას მოითხოვს.

ძირითადი პრობლემა, რომელშიც ჩვენ წარმატებას ვერ მივაღწევთ, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა, რასაც ხელს უშლის გაჭიანურებული კონფლიქტები, უპირველეს ყოვლისა კი, კონფლიქტი აფხაზეთში (საქართველო).

როგორია დღევანდელი სიტუაცია და ბოლოდროინდელი მოვალენები კონფლიქტის მოგვარების პროცესში? აქ უნდა აღვნიშნო, რომ გენერალური ქიდვების მოხსენება ძირითადად მოიცავს მთავარ პრობლემებს. როგორც მოხსენებაში იყო აღნიშნული, კვლავ ტარ-დება სამხედრო წვრთნები აფხაზეთის

დე ფაქტო ხელისუფლების მიერ, რომ-ლებიც წელს უფრო გააქტიურდა კიდეც;

- მუდმივად უარესდება ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოება - დღემდე უფრო უფრო უფრო უფრო;

- ჩვენს საერთო განუხორციელებელ სურვილად რჩება გალის რაიონში ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის გახსნა;

- მხოლოდ კონფლიქტის ზონის ფარგლებს გარეთ მოქმედებს გაეროს სამოქალაქო პოლიციის მცირერიცხოვანი ჯგუფი;

- აკრძალულია გალის რაიონის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლება;

- სრულიად უგულვებელყოფილია სპონტანურად დაბრუნებული ადამიანთა საკუთრების უფლებები.

ბატონო პრეზიდენტო,

აფხაზეთში (საქართველოში), კონფლიქტის შედეგად, 300 ათასი ადამიანი, ძირითადად ქართველები, აგრეთვე სხვა ეროვნების წარმომადგენლები, იმულებით განდევნეს საკუთარი სახლებიდან და დღეს ამ ტერიტორიას ეთნიკური წმენდის მფარველები მართავნ, იმ ეთნიკური წმენდისა, რომელიც აღიარებულია ეუთოს ბუდაპეშტის (1994წ), ლისაბონის (1996წ) და

სტამბოლის (1999წ) სამიტების დეკლარაციებით. უკვე ცამეტ წელზე მეტია, ვსაუბრობთ იმულებით გადადგილებულ პირთა დაბრუნებაზე. უშიშროების საბჭოს ათობით რეზოლუცია გმობს ძალადობრივ დემოგრაფიულ ცვლილებებს და ლტოლვილთა და იმულებით გადადგილებულ პირთა უპირობო, უს-

აფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას მოითხოვს. მაგრამ ეს რეზოლუციები თაროზეა შემოდებული და ერთ ადამიანსაც კი, არ მიეცა შესძლებლობა განეხორციელებინა თავისი ერთადერთი უფლება – იცხოვროს საკუთარ მიწაზე. რამდენ ხანს შეიძლება ჩვენ შევეგუოთ ასეთ მდგომარეობას?

უდაოა, რომ სწორედ ახლა უნდა მიმართოს საერთაშორისო საზოგადოებამ უფრო მეტი ძალისხმეულია ამ რეგიონში სტაბილურობის დამყარებისაკენ. საქართველო ველარ შეეგუება უკონტროლო სეპარატისტული ანკლავების არსებობას, დემოკრატიის ე.წ. „თეთრ ლაქებს“, რომლებიც ნაყოფიერ ნიადაგს უქმნის იარაღითა და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობას და უსაფრთხო თავშესაფარია საერთაშორისო ტერორისტებისა და კრიმინალებისთვის. სამშვიდობო ოპერაციების დაწყების დღიდან 2005 წლის ბოლომდე დაახლოებით 19 00 ადამიანი მოკლეს რუსი სამშვიდობოების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ეს ხდება გალის რაიონში, სადაც მოსახლეობის საერთო რაოდენობა 60 ათასზე ნაკლებია. ჩვენ ველარ მოვითმენთ ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევას საქართველოს კონფლიქტურ ზონაში. ნება მომეცით შევახსენო პატივცემულ საბჭოს, რომ საფრთხეები, რომელთაც უკანონო ტერიტორიები იწვევს, როგორც წესი, სცდება მათ საზღვრებს.

დღეს კონფლიქტის მოგვარების პროცესის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა კონფლიქტის ზონაში დასთის

სამშვიდობო ძალების ყოფნაა, რომლებიც მთლიანად რუსეთის სამხედრო მოსამსახურებითაა დაკომპლექტებული. ნება მომეცით, უფრო დეტალურად შევჩერდე ამ ძალების როლზე.

თავიდან, სამშვიდობო ძალების არსებობის მიზანი ცეცხლის შეწყვეტა იყო, რასაც 14 წლის წინ მივაღწიეთ, ამის შემდეგ, ჩვენ მხოლოდ მკვლელობების, გატაცებებისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის მოწმენი ვართ.

ადვილი შესამჩნევია ის უნდობლობა, რომელიც ქართველ საზოგადოებას აქვს რუსი სამშვიდობოების მიმართ. უპირველეს ყოვლისა, ეს უნდობლობა გამოწვეულია მათი მცდელობით – მოხდეს აფხაზეთის გაუცხოება დანარჩენი საქართველოსგან. ფაქტობრივად, მესაზღვრეთა როლს ასრულებენ, როგორც იცავენ სეპარატისტების მიერ შექმნილ უკანონო დე ფაქტო საზღვარს. რუსი სამხედროები, სატელევიზიო არხებით და მასშედის სხვა საშუალებით, ღიად აცხადებენ, რომ ისინი აფხაზეთში მცხოვრებ ე.წ. რუსეთის მოქალაქეებს იცავენ. ნება მომეცით შეგახსენოთ, რომ ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც მიზანმიმართულად აძლევენ რუსეთის პასპორტებსა და მოქალაქეობას, რათა გაამართლონ რუსეთის სამხედრო ძალების მუდმივი ყოფნა რეგიონში. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის (საქართველოს) მოსახლეობის უმრავლესობას დღეისათვის რუსეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული, ნათელი ხდება, რომ არსებული სამშვიდობო ძალები არის არა მიუკერძოებული

საერთაშორისო დანაყოფის მანდატის განმახორციელებელი, არამედ გამყოფი ძალა. ეს, თავის მხრივ საეჭვოს ხდის მთლიანად სამშვიდობო ოპერაციის ეფექტიანობას, რომელიც გაურთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ტარდება.

როგორც საქართველოს, ისე აფხაზეთის მხარე გამწვავების წინააღმდეგია, ხოლო მათ, ვინც ადგილობრივ მოსახლეობას მუდმივად აშინებს კონფლიქტის შესაძლო განახლებით, განსაკუთრებული მიზანი ამოძრავებით - „შეინარჩუნონ „სტატუს კვო“ რეგიონში.

მშვიდობისმყოფელთა დღევანდელი ფორმატის საფუძველზე, სეპარატისტული მთავრობა მუდმივად იარაღდება თანამედროვე სამხედრო შეიარაღებით. ბოლო ორი წლის განმავლობაში, რუსეთის თვდაცვისა და უშიშროების სამსახურების პირდაპირი ფინანსური და მატერიალური დახმარებით აფხაზეთის (საქართველო) ტერიტორიაზე სულ ცოტა რვა ფართომაშტაბიანი სამხედრო მანევრი ჩატარდა, განსაკუთრებით, შეზღუდული შეიარაღების ზონაში. რეგიონის მილიტარიზაცია, რასაც ხელს უწყობს რუსეთის ფედერაცია, სულ უფრო სწრაფად ავითარებს აფხაზეთის დე ფაქტო რეჟიმის საბრძოლო გამანადგურებელ პოტენციალს. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ამით ირლვევა არსებული სამშვიდობო მანდატი და კონფლიქტის მოგვარების სფეროში რუსეთსა და საქართველოს შორის დადგებული ორმხრივი ხელშეკრულებების უმეტესი ნაწილი.

არსებობს კრიმინალური დანა-

შაულების ზრდის შემაშფოთებელი ტენდენცია. ბევრ შემთხვევაში დასტურდება, რომ სამართალდარღვევებს თვით მშვიდობისმყოფელები სჩადიან. ჩვენი მონაცემებით, ბოლო წლის განმავლობაში აფხაზეთში მომხდარ კრიმინალურ დანაშაულთა 9 პროცენტი მშვიდობისმყოფელებმა ჩაიღინეს. დოკუმენტურად არის დადასტურებული მშვიდობისმყოფელთა მონაწილეობა ორგანიზებულ დანაშაულში, კონტრაბანდაში და ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის შეურაცხყოფაში.

აფხაზეთში მუდმივად იზრდება რუსეთის გავლენა. რუსეთის დირექტივების გარეშე არ ხდება არც ერთი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება თუ მაღალი თანამდებობის პირის დანიშვნა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ, თუნდაც სულთან სოსლანიევი - აფხაზეთის თავდაცვის მინისტრი და პრემიერ-მინისტრის მოადგილე, პიროვნება, რომელიც შამილ ბასაევის, საერთაშორისოდ აღიარებული ტერორისტის, სამხედრო მეთაური იყო, აფხაზეთის უშიშროების სისტემას მთლიანად რუსეთის დაზვერვის სამსახურები აკონტროლებენ. აფხაზეთის ოფიციალური პირები რეგულარულად ჩადიან მოსკოვში, სადაც მათ მაღალი დონის შეხვედრებს უწყობენ და ისინი მტკიცე მხარდაჭერას იღებენ ცნობილი რუსი პოლიტიკოსებისაგან. რუსეთის ოფიციალური პირებიც ახორციელებენ მხარდაჭერ ვიზიტებს აფხაზეთში.

რუსეთის მიერ სეპარატისტთა მხარდაჭერისა და აფხაზეთის შიდა

საქმეებში აქტიური ჩარევის დამადასტურებელი კოდევ ერთი ფაქტი გახლავთ ის, რომ აფხაზეთის ხელისუფლების წამყვან თანამდებობებს და ყველა დანიშნულ პირს რუსეთის სამსახურები აკონტროლებენ. სულ უფრო არსებითი ხდება რუსეთის უკანონო ინვესტიციები, რომლებმაც შთანთქა აფხაზეთის სტრატეგიული ობიექტები, ტურიზმის ინფრასტრუქტურა და საბანკო სისტემა. საქართველოს სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების კანონიერი საკუთრება რუსეთის ბიზნესის წრეებმა და სამხედროებმა მიიტაცეს. ეს არის აშკარა დემონსტრირება რუსეთის პოლიტიკის ორმაგი სტანდარტისა - ერთი მხრივ სიტყვიერად მხარი დაუჭიროს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ხოლო მეორე მხრივ, ფაქტობრივად ხელი შეუწყოს სეპარატისტულ რეჟიმს, რომელმაც ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა განახორციელა, ჩვენ მივმართავთ საერთაშორისო თანამეგობრობას, რათა დაგმონ აფხაზეთის ქართული მოსახლეობის კუთვნილი სახელმწიფო და კერძო ქონების უკანონო მითვისება.

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება ძალზე შეზღუდულია საკუთარი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას. შესაბამისად, ჩვენ მოლაპარაკების პროცესში მხოლოდ იმის გამო ვერ ვაღწევთ პროგრესს, რომ აფხაზეთის მხარე ზედმიწევნით ასრულებს რუსეთის ინსტრუქციებს. მაგალითისთვის შეგვიძლია შეგახსენოთ აფხაზეთის ლიდერის ე.წ. არჩევნები, როდესაც

უზარმაზარი ზეწოლა განხორციელდა აფხაზეთის მოსახლეობაზე.

ჩვენ არ გვაქვს ილუზიები არსებული კონფლიქტის მყისიერი მოგვარებისა, რუსეთის მხრიდან ძლიერი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაშიც კი, მაგრამ სამწუხაროდ, რჩება შთაბეჭდილება, რომ არ არსებობს პოლიტიკური ნება და რომ რუსეთის მოტივაცია შეინარჩუნოს სტატუს კვო, უფრო გადამწყვეტია, ვიდრე თვით აფხაზეთის ხელმძღვანელობისა.

ბატონო პრეზიდენტო,

საერთაშორისო სამართლის შესაბამისად ანექსია არის სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ეფექტიანი კონტროლის განხორციელება პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ზომების მეშვეობით. სწორედ ეს ხორციელდება აფხაზეთში (საქართველო). მაგრამ პრობლემა მხოლოდ ეს არ არის. დღეისათვის პროცესი საკმაოდ შემაშფოთებლად ვითარდება. უშიშროების საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა, მეგობართა ჯგუფის წევრმა და სამშვიდობო პროცესის ხელშემწყობმა, სახელდობრ რუსეთის ფედერაციამ მოულოდნელად გადაწყვიტა გადაეხვია ძირითადი პრინციპების – საერთაშორისო დონეზე აღიარებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის მხარდაჭერიდან. სულ უფრო ხშირად ვისმენთ, რომ საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებთ აქვთ თვითგამორკვევის უფლება.

პრეზიდენტ პუტინის და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა ბოლო განცხადე-

ბები კოსოვოს მოდელის უნივერსალურობისა და მისი აფხაზეთისადმი მისადაგების შესახებ არის მცდელობა, გამოიძებნოს საქართველოს სუვერენიტეტის შემდლახველი, მიმდინარე დე ფაქტო ანექსიის სამართლებრივი დასაბუთება. რეფერენდუმის მრავალჯერ ხსნება, როგორც ამა თუ იმ ერის სტატუსის გამსაზღვრელი მექანიზმისა. სხვა არაფერია, თუ არა ორმაგი სტანდარტის გამოხატულება. ვერც ერთი რეფერენდუმი ვერ ჩაითვლება ლეგიტიმურად, თუ იგი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილის ნება-სურვილს გამოხატავს, თუ ქვეყნის იმ ნაწილში უმრავლესობის ეთნიკური წმენდა განხორციელდა. და ბოლო, მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ტერიტორიული მთლიანობის პრინციპიდან ნებისმიერი გადახვევა საფრთხეს უქმნის არა მარტო ჩემს ქვეყანას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თვით რუსეთს, სამწუხაროდ, რუსეთში ძალიან ცოტა ვინმე თუ აცნობიერებს ამას.

ბატონი პრეზიდენტო,

მიუხედავად მოვლენების ასეთი დესტრუქციული განვითარებისა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჩვენ ცალსახად ვემხრობით კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პრინციპს. საქართველოს ხელმძღვანელობა ამას ყველა შესაფერის შემთხვევაში აცხადებს. ჩვენ მზად ვართ აფხაზ პარტნიორებთან და დიალოგისა და კონსტრუქციული მოლაპარაკებისათვის და თანახმა ვართ, მივანიჭოთ ამ რეგიონს ავტონომიის ყველაზე მაღალი დონე.

ნება მომეცით გაცნობოთ იმ

ნაბიჯების შესახებ, რომლებიც საქართველოს მთავრობამ კონფლიქტის მოსაგვარებლად გადადგა: პრეზიდენტმა სააკაშვილმა გამოთქვა მზადყოფნა შეხვდეს აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერის, ნებისმიერი წინა პირობის გარეშე. ჩვენ მოველით რომ ასეთი შეხვდრის შედეგად დაიწყება ლტოლვილთა და იმულებით გადაადგილებულ პირთა უპირობო, ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნება, როგორც ეს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით არის გათვალისწინებული.

სამწუხაროდ, ამ ეტაპზე არ არსებობს მექანიზმი ასეთი პროცესისათვის. კონფლიქტის ზონაში განთავსებული ერთადერთი სამშვიდობო ძალა, რუსი სამხედროები, აცხადებს რომ მას არ აქვს მანდატი ამგვარი დაბრუნების ხელშესაწყობად.

ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით რეგიონში სამშვიდობოების არსებობას, რადგან ნებისმიერი ახალი პროვოკაციის თავიდან აცილება ჩვენს ინტერესებში შედის. ჩვენ მხოლოდ კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა და აფხაზეთის მხარის რუსეთის პოლიტიკური ზეწოლისაგან გათავისუფლება გვსურს. ჭეშმარიტად დამოუკიდებელი საერთშორისო სამშვიდობო ძალების არსებობა კონფლიქტის ზონაში ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

ჩვენ მზად ვართ ხელი მოვაწეროთ შეთანხმებას საომარი მოქმედებების განუახლებლობის შესახებ. ამის ერთადერთი პირობა რეგიონში დევნილთა და ლტოლვილთა უსაფრთხოდ დაბ-

რუნების გარანტია. ჩვენ გვწამს, რომ ეს უსაფრთხოების გარანტიები უზრუნველყოფილი უნდა იყოს მხოლოდ საერთაშორისო სამშვიდობო ძალების და არა რუსეთის მიერ, რომლებმაც სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებული ყველა შეთანხმება დაარღვია.

ჩვენ ახალ მოტივაციას ვანიჭებთ საქართველო-აფხაზეთის მოლაპარაკების ფორმატს. საქართველოს მთავრობა დათანხმდა აფხაზეთის ტერიტორიაზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას და ეკონომიკური რეაბილიტაციის სხვა პროექტებს. სამწუხაროდ, ამ ინიციატივების საპასუხოდ, აფხაზეთის დე ფაქტო ხელმძღვანელმა გააკეთა განცხადება საკუთარი განზრახვის შესახებ აფხაზეთის საზღვრის დანაღმვის თაობაზე.

ბატონო პრეზიდენტო,

საქართველოს პარლამენტმა კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის ხელშეწყობის მიზნით, მიიღო სპეციალური დადგენილება კონფლიქტის რეგიონში სამშვიდობო ძალების შესახებ. ეს გახლდათ მცდელობა, დაერწმუნებინათ საერთაშორისო თანამეგობრობა სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობისა და რუსეთის მხარეზე დადებითი ზეწოლის აუცილებლობაში. საპასუხოდ, ჩვენ მივიღეთ განცხადებები, რომ რუსეთი არ გაიყვანს შეიარაღებულ ძალებს ამ რეგიონიდან საქართველოს მთავრობის ნებისმიერი გადაწყვეტილების მიუხედავად.

სამშვიდობო ძალების არსებული ფორმატი ჩვენთვის მიუღებელია. საქართველოს საკანონმდებლო ორგანო

აპირებს უახლოეს მომავალში მიიღოს სპეციალური დადგენილება აფხაზეთის შესახებ, რომლის მიზანი იქნება სამშვიდობო ძალების არსებული მანდატის გადახედვა. მაგრამ მსურს დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს მთავრობა ადეკვატურ და პოლიტიკურ რეაგირებას მოახდენს სამშვიდობო ოპერაციაში მიღწეულ ნებისმიერ პროგრესზე. ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისათვის და გვსურს, ვიხილოთ რუსეთის პოზიტიური როლი. ამავე დროს, მზად ვართ განვიხილოთ ნებისმიერი ვარიანტი, რომელიც კონფლიქტის მოგვარების პროცესში წინსვლას უზრუნველყოფს. უშიშროების საბჭო არის ის ორგანო, რომელსაც შესწევს ძალა და რომელმაც უნდა გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯები ამგვარი წინსვლისათვის.

უმთავრეს საკითხს კვლავ წარმოადგენს ყველა ლტოლვილისა და იძულებით გადადგილებული პირის ორგანიზებული და უსაფრთხო დაბრუნება შესაფერის პირობებში. სამწუხაროდ, ასეთი პირობები ჯერჯერობით არ არსებობს. როგორც მოგახსენეთ, კრიმინალური სიტუაცია კონფლიქტის ზონაში, სახელმძღვანელო, გალის რაიონში, ძალზე შორსაა ნორმალურისაგან. ძალიან ხშირია ქართველი მოსახლეობის მიმართ მკვლელობები, შეიარაღებული თავდასხმები, გატაცებები და ფიზიკური შეურაცყოფა.

საქართველოს მთავრობა მიესალმება გენერალური მდიგნის მევობართა ჯგუფის ბოლო ინიციატივას რეგიონში საერთაშორისო სამხედრო პოლ-

იციური ძალების ფორმირების შესხებ, რაც ხელს შეუწყოფს ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას.

ბატონო პრეზიდენტო,

დღო გადის, სამშვიდობო ოპერაციის ძირითადი არსებული ფორმატი სასწრაფო გადასინჯვას და საერთშორისო სეგმენტით დაბალანსებას მოითხოვს, რაც აუცილებელია კონფლიქტის მოგვარების პროცესში წარმატების უზრუნველსაყოფად, უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში ხაზგასმული პრინციპების შესაბამისად. ჩვენ გთხოვთ, შეიქმნას გაეროს საერთაშორისო სამშვიდობო ძალები.

საქართველოს საზოგადოება, ისევე, როგორც საერთაშორისო საზოგადოებრიობა, დიდიხანია მოელის იძულებით გადადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო, უპირობო და ორგანიზებულ დაბრუნებას. სწორედ ახლა

დროა, რომ გაერომ ახალი საშუალებები გამოიყენოს ამ პროცესის განსახორციელებლად.

ჩვენ აქ სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობის ახალი გადაწყვეტილებებისა და ახალი მიღებობების მოსაძიებლად ვიმყოფებით. ჩვენ გვჭირდება არსებული მონოპოლიზებული სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაცია. ჩვენ გვსურს გთხოვთ ახალი რეზოლუციის მიღება, რომელიც გამოეხმაურება დღევანდელ რეალობას, რეზოლუციისა, რომელიც ხელს შეუწყობს „სტატუს კვოს“ უკეთესისკენ შეცვლას და საფუძვლად დაედება კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტას. გვჯერა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებისათვი ძალისხმევის გაძლიერება მშვიდობას, უსაფრთხოებას და აყვავებას მოუტანს კავკასიასა და ზოგადად ევროპას.

მადლობას მოგახსენებთ.

კანადის რუსულენოვანი გაზეთი „კანადსკი კუ-
რიერი“, 2006 წლის 3 მარტი

**Georgia from Overseas,
ანუ საქართველოს ხედი საზღვარგარეთიდან**

**იცტერვიუ სახელმწიფო მინისტრთან ბატონ
პახა ბენდუქიძისთან**

ნონიმები, რომელსაც ემ-
სახურებიან. დღეს ცოცხე-
ალ ქართველთა შორის,
რომლებიც თვიანთი რეპ-
უტაციით სამშობლოს გა-
რეთ მაღლა სწევენ ქარ-
თულ „ბრენდს“, თამამად
დავასახელებდი მელორ
სტურუას, იაკობ ფიჩხ-
აძეს, ოთარ იოსელიანს,
ზურაბ წერეთელს, პაა-
ტა ბურჭულაძეს, ბიძინა
ივანაშვილს, ნინო ანანიაშ-
ვილს, თამრიკო გვერდ-
წითელს, ლიანა ისაკაძეს,
კახა ბენდუქიძეს... ეს სა-
ხელები მაღლა სწევენ სა-
ქარველოსა და ქართვე-
ლების რეპუტაციასა და
დირსებას, რითიც ანეი-
ტრალებენ უწიგნურ და

არიან ადამიანები — ნიმუშები...
მათი სახელები ხდება იმ საქმის სი-
შეურაცხმყოფელ ცნებას — „კაგეასი-

ური ეროვნების პირები“ და ქართველის კარიკატურულ სახეს, რომელიც მოსკოვის ბაზრებში ხილით ვაჭრობს.

ჩემი შეხვედრა მინისტრთან და შეთავსებით ცნობილ ოლიგარქთან კახა ბენდუქიძესთან მოხდა. ჩემი ჩასვლის დროს ჩემი ფილმის „Georgia from Overseas“ პრემიერაზე „იმედის“ ტელეარხზე. ეს ხდებოდა რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობათა მქეთრი გამწვავების დროს. ბენდუქიძეზე ბევრს აქვს თავისი აზრი, მაგრამ ეს სტატია მხოლოდ მასზე როდია – ჩემს მთავარ გმირზე, არამედ საქართველოზეც, რომელიც მე დავინახე კანალიდან მრავალი წლის განშორების შემდეგ. მე კარგად მახსოვს კახა ბენდუქიძე მისი ნათელი რეპლიკებით ჯერ კიდევ 1990 წელს, როდესაც ყველა ისევ ცხოვრობდა „რკინის ფარდის“ იქით, ჩვენ კი – ახალგაზრდა მოსკოველი ქართველი სტუდენტები, ასპირანტები, ბიზნესმენები, მათ შორის, დღევანდელი განათლების მინისტრი კახა ლომაია, ვიკრიბებოდით საქართველოს კულტურის ცენტრში არბატზე და მხურვალედ განვიხილავდით 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებსა და სსრ კავშირიდან საქართველოს გამოსვლის პერსექტივებს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა: სსრ კავშირმა მოგვჭამა ჭირი და ჩემი საქართველოც, თუმცა რუსეთის „მშვიდობისმყოფელებისაგან“ ნაწილობრივ ოკუპირებული, მართლაც გახდა

დამოუკიდებელი, რომელმაც გადაიტანა მრავალი სისხლისღვრა და მეც, სამი ქვეყანა რომ გამოვიცვალე, გავხდი მეწარმე და უურნალისტი, დღეს კი ვცხოვრობ კანადაში, ხოლო კახა, ვისაც მოსკოვის სათვისტომოში ვიცნობდით, როგორც აკადემიკოს ბენდუქიძის შვილს, დროთა განმავლობაში კი თავად გახდა „ყოჩადი და არა შვილი“. ესე იგი კახა ბენდუქიძე, დიდი და ძლიერი რუსეთის იმპერიის უახლესი დროის ისტორიის ნაწილი და რუსეთის ბიზნეს-ელიტის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, შემდგომში კი – საქართველოს მინისტრი.

რუსეთის შესახებ

– ბატონო კახა, ბევრის წარმოდგენაში თქვენ ითვლებით რუს ბიზნესმენად, რუს ოლიგარქად. თქვენ ისეთი ადამიანების გვერდით ხართ, როგორებიცაა პოტანინი, დერიპასკა, ბერეზოვსკი, გუსინსკი, ხოდოროკოვსკი, აბრამოვიჩი, ავენი, მორდაშვილი. 2000 წელს, როცა ხელისუფლებაში პუტინი მოდიოდა, თქვენ პროგრამა „ვრემიაში“ გამოდიოდით და ამბობდით, რომ ქვეყანა გზის გასაყარზეა და მას ეძლევა შანსი არ გამოეპაროს ის პერსპექტივა, ის შანსი, რომელიც გვაქვს. ახლა 2006 წელია. თქვენი აზრით, გაამართლა თუ არა რუსეთმა იმედები?

— არა. სამწუხაროდ, მე მგონია, რეფორმა ვერ იქნება წარმატებული, ვინაიდან ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ყველაფერი კარგადაა, რაღა საჭიროა რეფორმები? ახლა, ხუთი წლის შემდეგ, ცხადია, რომ სამწუხაროდ, რუსეთმა ვერ შეძლო გამოეყენებინა შესაძლებლობანი, რომლებიც მას ჰქონდა. ნავთობმა ხელისუფლება გააზარმაცა. ვჯიქობ, რუსეთს შეძლო ყოფილიყო სულ სხვა ადგილზე, ყოფილიყო 20%-ით უფრო მდიდარი. 2010, 2012 წლის რუსეთი შეიძლება იყოს მინიმუმ 1,5-ჯერ უფრო მდიდარი. მას შეძლო შესულიყო იმ ქვეყნების რიცხვში, რომლებიც ყველაზე მდიდრები შეიძლება არა, მაგრამ სულ ცოტა, განვითარებული ქვეყნები კი არიან. ეს მომენტი, მე მგონია, რუსეთმა ვერ გამოიყენა და ამჟამად ვერ ვხედავ შესაძლებლობას, რომ უახლოეს პერიოდში ასეთი შანსი ისევ გაუჩნდეს. ყველა ქვეყანას აქვს შესაძლებლობა გახდეს თავისუფალი და მდიდარი. ეს უბრალოდ, დამოკიდებულია ადამიანებზე, რომლებიც იქ ცხოვრობენ და ხელისუფლებაზე, რომლებსაც ისინი ირჩევენ.

— თქვენ საკმაოდ ინფორმირებული ბრძანდებით: რა არის რუსეთისათვის ძირითადი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის მას იყოს ნამდვილად მოწინავე ქვეყნა?

— ვჯიქობ, რომ აქ სხვადასხვაგარად შეიძლება გავარკვიოთ მიზეზშედეგობრივი ჯაჭვი. უეჭველია, ესაა

ის, რომ რუსეთში ვერ ჩამოყალიბდა ნამდვილი დემოკრატია.

— როგორია თქვენი პროგნოზი 2008 წლისათვის, რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი?

— ვჯიქობ, რუსეთში სიტუაციის რეალური ცვლილება შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ ნავთობზე ფასის არსებით დაწევასთან.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს იქნება დადგებითი მომენტი?

— ეს, ასე ვთქვათ, მოკლევადიან პერიოდში იქნება უარყოფითი, მთლიანად კი — დადგებითი. საქმე ისაა, რომ თუ შევხედავთ სიტუაციას ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში, რომელთა ეკონომიკებიც აქვთ ბევრს იღებენ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ორმა ქვეყნამ შეძლო დაეცვა თავი ნავთობზე მაღალი ფასებისაგან. ვენესუელა, აღუირი, ლიბია, საუდის არაბეთი, ნიგერია — ესენი ყველა ის ქვეყანაა, სადაც არაა ეკონომიკური და სამოქალაქო თავისუფლება. ამიტომ, თუ შევხედავთ უკანასკნელი 10 წლის რუსეთს, მაშინ 60-იანი წლების კოსიგინისულმა რადიკალურმა რეფორმამ, ნავთობის აღმოჩენამ დასავლეთ ციმბირში საშუალება მისცა მას განევითარებინა ეკონომიკა სრულიად სხვა საშუალებით. 70-იანი წლების დასაწყისში სსრ კავშირში ნამდვილი სანავთობო ბუმი იყო, ამან კი უძრაობამდე მიგვიყვანა, გორბაჩოვის დროს ფასებმა ნავთობზე კლება დაიწყო. გორბაჩოვი, უეჭველია, დიდი

ადამიანია და მან დიდი წვლილი შეიტანა ისტორიაში, მაგრამ ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც მას რეფორმებისაკენ უბიძებდა, იყო დაბალი ფასები ნავთობზე. ფულს კი სიკეთისაკენ ვერ მივყავართ. ეს მაგალითი შეგვიძლია განვიხილოთ მდიდარი მშობლების ბავშვების მაგალითზე, როდესაც მათ აქვთ დიდალი მუქთი ფული. როგორც წესი, ისინი გაიზრდებიან უფრო მოღუნებულები, ნაკლებად ცნობისმოყვარენი, ერთგვარად უფრო აგრესიულები. დღესაც ასეთივე პრობლემა აქვს რუსეთს: „მუქთი“ ანგრევს, ესაა ახალი უძრაობა, ერთგვარი ბრეზნევული მოდელი ახალი ფორმატით.

ამ ქვეყნის ფორმატი — ესაა ფაქტობრივად საბაზო ეკონომიკის ქვეყნის ფორმატი, სადაც არაა მაშინდელი ტოტალიტრული კონტროლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, აზრებზე, მაგრამ ესაა ერთგვარი იდეოლოგიური თვითრეალიზაცია ეკონომიკური ინტეგრაციის დროს.

თავისი თავისა და ოლიგარქების შესახებ

— თქვენ ითვლებით ე.წ. ოლიგარქად, ერთ-ერთ უკელაზე წარმატებულ ადამიანად ბიზნესში რუსეთის პოსტსაბჭოთა სიკრცეში. თავად თქვენ მიგაჩნიათ თავი წარმატებულ ადამიანად?

— გააჩნია, რას მივიჩნევდი წარ-

მატებულობის კრიტერიუმად.

— ფულის ქონას, სოციალურ სტატუსს, პოპულარობას...

— ამ თვალსაზრისით, აღბათ, კი.

— რაში ძღვომარეობს თქვენი წარმატების საიდუმლო? რა გაიგეს ჩვენმა წარმატებულმა ოლიგარქებმა იქმდან, რაც არ გვესძის ჩვენ, „უბრალო მოკვდავებს“ ას-კეტში — „როგორ გავხდეთ წარმატებული და ძღიდარი“?

— არა მეონია, რომ შემიძლია მოვცეთ რაიმე უნივერსალური პასუხი... უბრალოდ, ეს ადამიანები წავიდნენ რისკზე, რასაც სხვები ვერ ბედავენ. მე ბევრ ადამიანს ვიცნობ. ოლიგარქები, როგორც ასეთები, ამჟამად რუსეთში არ არიან. საერთოდ, ტერმინი „ოლიგარქი“, არისტოტელეს მიხედვით, ნიშნავს მდიდარ ადამიანს, რომელიც მართავს სახელმწიფოს. შეიძლება, ამჟამადაც არიან ოლიგარქები, მაგრამ არა ისინი, ვისზეც თქვენ ლაპარაკობთ.

ასეთი პერიოდი რუსეთის ისტორიაში იყო, მაგრამ ეს მოკლევადიანი პერიოდი იყო. რუსეთის უახლოეს პერიოდში იყო ე.წ. „შვიდანკირობა“.

ეს ადამიანები აკეთებდნენ იმას, რასაც უმრავლესობა არ მიიჩნევდა აუცილებელ და შესაძლო საქმედ.

90-იანი წლების დასაწყისში ყველას მიაჩნდა, რომ ეს იყო დროებითი მოვლენა და „სულ ერთია ყველაფერს ჩამოგვართმევენ“. ოლიგარქების რისკი დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ოლიგარქები გაკოტრდებოდნენ

და სიცოცხლესაც კი დაკარგავდნენ. უმცირეს არასწორ მოძრაობას შეიძლება მიეყვანე იმასთან, რომ გაგეჩინა საშიში მტრები, რომლებიც იმოქმედებდნენ ბრუტუსისებურად. „ოლიგარქის“ წარმატების საფუძველია ანგარიშიანობაც, შრომისმოყვარეობაც, მოთმინებაც და შეუპოვრობაც, იმის უნარიც, რომ შენს გადაწყვეტილებას დაუმორჩილო ადამიანთა დიდი რაოდენობა... ყველა ისინი სხვადასხვა ადამიანები არიან და ამ საკითხში ბევრი ასპექტია, მაგრამ მათ შორის, უეჭველია, არაა ადამიანი, რომელსაც ბოლომდე არ მიჰყავდეს საქმე. ეს მათი მთავარი თვისებაა. მათ შორის, ეს უტყუარია, არ არიან ყეყეჩები და ყველა მათგანს შეუძლია გასწიოს საკმარისი რისკი.

— თქვენ წარმატებული და არც ყველაზე ღარიბი კაცი ბრძანდებით. მიუხდავად ამისა, თქვენ მიიღეთ პირველი ვიცე-პრემიერისა და სახელმწიფო მინისტრის მეტად პასუხსაგები პოსტი. ეს ძალიან სერიოზული სამუშაოა და ეს დიდი სტრუქტურა. არ ჯობდა, გეფიდათ საღმე საფრანგეთის ან იმავე საქართველოს ლაუგარდოვან სანაბაროზე სასახლე და უბრალოდ დაგესვენათ, მიგეღოთ შეება მთელი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე?

— მე არანაირ სტრესს არ განვიცდი და მისგან დასვენება არ მჭირდება.

— თქვენ მართლა არა გაქვთ

ხოლმე სტრესები?

— რა თქმა უნდა, რაიმე სტრესი ალბათ მაინც არის, მაგრამ არც ისე, რომ ჩემი ორგანიზმი დაიშრიტოს. ასეთი რამ არ არის. ჯერ ერთი, მე ადვილად არ ვიღლები და იშვიათად ვიღლები. არავითარი სტრესი ჩემს თავზე არ მიგრძნია. მე მიჩვეული ვარ, ყოველთვის რაღაც ვაკეთო. არ მინდა, რომ იმედი გაგიცრუოთ.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ

— იმ ფონზე, რაც ამჟამად ხდება რუსეთსა და საქართველოს შორის, ხომ არ გეხვენებათ, რომ რუსეთის ზოგიერთი პოლიტიკოსის პირადი ზიზღი უკვე აშკარაა?

— ვფიქრობ, რომ ეს ძალიან კარგი შეკითხვაა, ვინაიდან ასეთი შეკითხვა შეიძლება დასვა იმ ქვეყნის მიმართ, რომელშიც არაა დემოკრატია. ხომ შეუძლებელია, რომ, ვთქვათ, თქვენთან კანადაში კანადელი პოლიტიკოსები ასე ექცევილნენ ვინმეს. იმიტომ, რომ მეორე დღესვე ასეთი პოლიტიკოსი აღარ იქნებოდა.

— დიახ, რასაკვირველია.

— ისინი ფლანგავენ საზოგადოებრივ რესურსს თავისი საკუთარი სურვილებისა და ამბიციებისათვის.

დიახ, რასაკვირველია, დემოკრატიულ ქვეყანაში ასეთი რამ შეუძლებელია. პოლიტიკოსს შეუძლია პი-

რადად ვიღაცას რაღაცა უთხრას. და თქვენი კანადა ახლა დაიწყებს იმას, რომ ვიღაცას რაღაცა ეწყინა და ამიტომ თავისთან აღარავინ მოუშვას?!

— ეს ძალიან წერილმანი რამე იქნებოდა.

— სამე ის კი არაა, რომ ეს წვრილმანია. ეს საზოგადოებრივი კონტროლის საქმეა: „რაზე ვხარჯავთ ჩვენ, კანადელები ფულს და რისთვის გვინდა ეს ყველაფერი?“ რუსეთში რომ დემოკრატია ყოფილიყო, იქაც ზუსტად ასე იქნებოდა, რუსეთს აქვს საკმარისი რესურსები, მაგრამ არა აქვს სრულფასოვანი დემოკრატია. სწორედ ამიტომ რუსეთი თავს ძლიერს იმის უფლებას, რასაც არც ერთი ნორმალური და თავმოყვარე ქვეყანა მსოფლიოში არ იკადრებდა.

სახელმწიფო, რომელიც ჩვენ გვესაზღვრება, რასაკვირველია, დიდია და ძლიერი. დიდია არა მხოლოდ ტერიტორიით, არამედ თავისი ისტორიითა და კულტურით. იმიტომ, რომ ერთია, როცა ვლაპარაკობთ ტერორიზმთან ომზე, როგორც, მაგალიად, ერაყის ოპერაციაზე. ამ ომის უკან დგას ცხადი დალოგი. მის შესახებ შეიძლება იდავო, ის შეიძლება მოგწონდეს ან არ მოგწონდეს. ახლა იმაზე კი არ ვლაპარაკობ, კარგია ის თუ ცუდი, მაგრამ არის განცხადება: „ჩვენ ვებრძვით ტერორიზმს. აი, იქ ტერორისტები არიან და ამიტომ ვიბრძოლებთ მათ წინააღმდეგ იქ“. და შეგიძლიათ ილაპარაკოთ, რომ ეს ცუდია ან კარგი. ეს გასაგებია, თუ

რაზეა საუბარი. საქართველოსთან დამოკიდებულებაში კი როგორ იქცევა რუსეთი? ვის ებრძვის იგი?

— მე მონი საქმე ისაა, რომ რუსეთი შეეჩინა „უფროსი ძმის“ სტატუსს, რუსეთის იმპერიის ძღვომარეობას.

— არა მხოლოდ საქართველო არაა რუსეთი იმპერია, არამედ არც ყაზახეთია რუსეთის იმპერია, არც აზერბაიჯანი, არც ესტონეთი. იმას ხომ არ განუსაზღვრავს, აი, ჩვენ ამას ვაკეთებთ იმიტომ, რომ...

შეხედეთ, ამერიკელები ისევ გვეუძნებიან: ბიჭებო, მოდით დავამყაროთ წესრიგი ერაყში და მოდით თქვენც ჩვენთან ერთად იყავით. თქვენ წესრიგი გინდათ? მოდით ჩვენთან ერთად.

იქ არიან პოლონელებიც, ქართველებიც, სხვათა შორის, ბევრია იქ ინგლისელებიც.

რუსეთი კი მიდის იქ და აცხადებს: ჩვენ იქ წესრიგს ვამყარებთ და ჩვენ არავის მივცემთ უფლებას იქაც დაამყაროს წესრიგი. ამას მხოლოდ ჩვენ გავაკეთებთ. და მხოლოდ ჩვენი მშვიდობისმყოფელი ძალები მოახდენენ საქართველოს ნაწილების ოკუპირებას. რატომ? აქ არაა ლოგიკა.

როგორც ერთ ანეკდოტშია ნათქვამი ბრეუნევის შესახებ, „ნუ ეძებთ ლოგიკას“. აქაც ასეა.

„ნუ ეძებთ ლოგიკას“.

საქართველოს შესახებ

ავტორის შენიშვნა. კანადაში პრაქტიკულად არ იციან, ვინ არიან ქართველები: რაღაც გაუგონიათ სტალინზე, რაღაც – შევარდნაძეზე და მხოლოდ მას შეძლევ, რაც CNN-მა აჩვენა „ვარდების რევოლუციის“ უკრანიზაცია, მსოფლიომ გაიცნო მიხეილ სააკაშვილი. პრაქტიკულად ნებისმიერმა ტაქსისტმა მისისაგში, ტორონტოს დასავლეთით, იცის ვინაა ივი და ისიც, რომ ივი სწავლობდა კოლუმბიის უნივერსიტეტში... შემოდგომაზე კანადის ტულვიზით აჩვენეს ფილმი ერთი შოტლანდიული უურნალისტისა, რომელიც გაძარცვეს თბილისის მეტროში ერთ დღეში სამჯერ.

ამ სამარცხეონო ამბავს ატრილებდნენ კანადაში რაძღვნიშე კვირის განმავლობაში და როგორც ჩემთან საუბარში მითხრა ერთმა ცნობილმა კანადულმა მხატვარმა, საქართველოდან იმიგრირებულმა იაკობ ფიჩხაძემ, ივი თვითონ გადაუხდიდა ფულს ტელეარხს, ოლონდ არ ეჩვენებინათ ეს სირცხვილი მთელი მსოფლიოსათვის.

– ბატონო კახა, რით ამაყოთ ყველაზე მეტად საქართველოში თქვენი მუშაობის პერიოდში?

– მე ყველაზე მეტად ვამაყობ იმით, რომ ვიყავი აქტიური მონაწილე იმ მოვლენებისა, რომელთა შედეგადაც შესაძლებელი გახდა ქვეყნის წაყვანა განვითარების სხვა გზით: რომ ჩამოვალიბეთ მოქმედების ეფექტიანი

ლიბერალური პოლიტიკა, რომელიც ემყარება იმას, რომ მივცეთ ხალხს შესაძლებლობა თავად გამოიმუშაონ სახსრები და ნაკლებად მისჩერებოდნენ პირში სახელმწიფოს. მიმართ, რომ ჩვენ შევძლით მთლიანად ქვეყნის შემობრუნება ე.წ. რადიკალურ-სამართლებრივი მთავრობის მხარეზე. ვფიქრობ, ეს იმის შედეგიცაა, რასაც მე ვაკეთებ. კონკრეტულად ეს მრავალი განყოფილებისაგან შედგება. ესაა ყველაზე მრავალფეროვანი რეფორმები და ეს, ერთგვარად, იმის შედეგია, რომ ჩვენი ეკონომიკა მყარად იზრდებოდა დაახლოებით 8%-ით შარშან და წელსაც ასევე გაიზრდება, ან უფრო უკეთესად, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია და იქ არაა საზღვრები, ამ სიტყვის ნორმალური გაგებით; მიუხედავად იმისა, რომ იყო მრავალი საზოგადოებრივი კორუფცია, როცა მოხდა რევოლუცია, დაინგრა მრავალი საზოგადოებრივი ინსტიტუტი და ეს არაა ქვეყანა, სადაც არის ნავთობი, მიუხედავად ყოველივე ამისა, აი, ჩემი აზრით, ძირითადი შედეგი.

– თქვენ ძალიან ძლიერი წინააღმდეგობა გხვდებათ საქართველოში?

– ეს გააჩნია საკითხს. სადაც ყველაზე პასუხსაგები და ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, იქ ძლიერია წინააღმდეგობაც.

– ვისგან მოდის ეს?

– რასაკვირველია, ეს ინტერესე-

ბის წრეა. ინტერესების წრეში, ჩემი აზრით, აქ არის ისეთი რამე, როგორიცაა პირადი, ეგოისტური ინტერესი, რისთვისაც ეს იდეოლოგიურად მიუღებელია,

ესაა, უწინარეს ყოვლისა, მიწის პრივატიზაცია, ამ წლის ბოლოს, აღბათ, სახელმწიფოს აღარ ექნება სასოფლო-სამეურნეო მიწები, მხოლოდ რამდენიმე პროცენტი დარჩება, ამან გამოიწვია მოფაშისტე ჯგუფების დიდი წინააღმდეგობა და დიდხანს არავის უნდოდა ამ კანონის მიღება პარლამენტში. კანონი სხვადასხვა ფორმაში მზად იყო მრავალი წლის წინათ, მაგრამ არავის არ უნდოდა იგი. იმიტომ, რომ შეგვჭამენ, დაგვაბრალებენ საქართველოს გაყიდვასო. ეს როგორ, რატომ უნდა იყოს დედამიწა ვიღაც ადამიანების საკუთრებაში, აგრე კიდევ უცხოელებიც გამოჩდნენო. და არავის უნდოდა ამის შარში გახვეულიყო. აქ იყო საკითხები, რომლებიც უფრო იდეოლოგიურ ხასიათს ატარებდა, ვიდრე პირად, ეგოისტურს. არადა, პიროვნული საკითხია. ზოგჯერ მცირე რეგულირების ლიკვიდაცია დაკავშირებულია რომელიმე სააგენტოს ლიკვიდაციასთან, რომელიც უზრუნველყოფდა ამ რეგულირებას. და რაც უფრო უაზროა რეგულირება, მით უაზროა სააგენტო, მით უფრო მნელია მისი ლიკვიდაცია, იმიტომ, რომ ხშირად იქ ძალიან ბევრი ინტერესი იყრის თავს.

— თქვენ კი გემუქრებიან?

აუტორის შენიშვნა: საქართველოში

კახასადმი ინტერესი ერთგვაროვანი როდია: ზოგიერთი მას დოდ პატივს სცემენტი, ზოგიერთი — არ უყვართ და მას ბრალს დებენ რუსეთის პოლიტიკური კაპიტალის ლობირებაში. პირადად მე თავს პირველი კატეგორიის ადამიანებს მივაკუთვნებ. მე, დამოუკიდებელ კანადელს, არ მაქს საბაბი „წავიძლიქვნელო“ ბენდუქიძის წინაშე და გულწრფელი მიმაჩნია, რომ მისი დანიშვა საქართველოს მინისტრად პრეზიდენტ სააკაშვილის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საკადრო გადაწყვეტილებაა... მიმაჩნია, რომ ე.წ. ოპოზიციის კრიტიკის უკან დგას ბანალური შური პოპულარული, ნათელი და თავის თავში დარწმუნებული ადამიანისადმი, რომელმაც შეძლო რუსეთში კავკასოფობის ატმოსფეროში გამხდარიყო ერთ-ერთი ყველაზე ძღიდარი და გავლენიანი ბიზნესმენი. საქართველო დღემდე იქის ზვიადისეული მართვის „შეცდომებს, რომლებმაც ქვეყანა მიიყვანეს ლოკალურ და სამოქალაქო ომებამდე, მრავალი წლით დასწიეს ივი უკან. მე მახსოვს საქართველო სხვანაირი: უვაზო, უშუქო, მათხოვერებით, რომლებიც იქცებოდნენ სანავე ყუთებში (ძალიან უნდა გარჯილიყავი), რომ პურმარილიანი საქართველო მიგეცანა ასეთ ძღვომარეობამდე), ლამის სროლებით, ბანდიტი-მხედრიონელებით, რომლებიც სამინელუბებს ქმნიდნენ ჩემი ძმობლიური თბილისის ქუჩებში.

— კიდევ ერთი შეკითხვა. აღბათ, ბოლო: როგორს ხედავთ

საქართველოს 10 წლის შემდეგ?

— საქართველოს აქვს შანსი იყოს თუმცა ჯერ ძალიან მდიდარი არა, მაგრამ მაინც მდიდარი ქვეყნა. ასე ჩქარა ეს არ მოხდება. ეს იქნება დინამიურად განვითარებადი ქვეყნა, იგი იქნება ცხოვრების ასეთი ცენტრი რეგიონში. ვფიქრობ, რომ ეს იქნება ყველაზე სწრაფადმზარდი ეკონომიკა დედამიწის ამ ნაწილში და იგი გაიზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე ნებისმიერი მეზობელი ქვეყნის ეკონომიკა.

ავტორის შენიშვნა: მართლაც, ვინ, თუ არა მან — ადამიანმა, რომელსაც აქვს მილიონების გამომუშავების გამოცდილება და აკონტროლებს მილიარდიან პროექტებს, უნდა მართოს ქართული ეკონომიკა. სამწუხაროდ, შორეულის დანახვას მანძილი სჭირდება და არ არის წინასწარმეტყველი თავის სამშობლოში. მამაჩრდა, რომ ბენდუქიძის დაბრუნება მშობლიურ მხარეში, ეს ქართული ეკონომიკის დადი წარმატება. მე და ჩემი ცოლი ერთხელ ვსეირნობდით ბარსელონის ქუჩებში, მისი ზოგიერთი რაიონი სულითაც და არ-ქიტეკტურითაც მშობლიურ თბილისს გვაგონებდა. და ჩვენ ვუთხარით ერთმანეთს: ალბათ, საქართველო ასეთი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყვნებ კომუნისტები, ზვიადისტები, ბანდიტი მხადრიონებები. და მსურს წარმოუთქა: „ქართველებო, ნუ ვჭამთ ერთმანეთს! გვეყიფა. გაიხსენეთ ჩვენი დიდი წინაპრები: შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, ამბროსი ხელია. არ არის ნავის

რყევა საჭირო, რომელსაც ისედაც უპირებებ ვარებან ვადაყირავებას. დროა, გავერთობდეთ ყველა — ჩვენ, ვინც დასავლეთში ვცხოვრობთ და თქვენც — საქართველოში. მოდით, ერთობლივი ძალისხმეული დავიძრუნოთ ჩვენი საქართველო — „მზის და ვარდების მხარე“.

— რა გაძლიერთ ასეთი ფიქრის საფუძველს? აქ ხომ არც ნავთობია, არ გაზი?

— აი, სწორედ ამიტომ იქნება ყველაფერი კარგად. ქართველები ისეთივე ნიჭიერები არიან, როგორც კანადელები, ესტონელები, რუსები, ჩუქჩები. გესმით? ადამიანებს უნდა მისცე იმის საშუალება, რომ გამოიმულავნოს თავისი ნიჭი. ნიჭი კი შეიძლება გამოამჟღავნო მაშინ, როცა ამას სახელმწიფო არ უშლის ხელს, როცა მას არ გააჩნია სხვა საშუალება, გარდა იმისა, რომ მისცე ადამიანებს თავის გამოჩენის საშუალება, იმიტომ, რომ ესაა სახელმწიფოს არსებობის ერთადერთი საშუალება და პლუს ჩვენ, რომლებსაც შეგვიძლია ავირჩიოთ სწორი მიმართულება, ე.ი. ჩვენ მივდიოდეთ სახელმწიფოს როლის შემცირების გზით, რეგულირების შენელების გზით, პრივატიზაციის გზით, ცხოვრების გაუმჯობესების გზით გადასახადების შემცირების კვალობაზე. აი, ეს არის მოძრაობის მიმართულების პროექტი და პლუს პროექტის დაცვა, რომ არავის ეშინოდეს ქუჩაში სიარული, არავის ეშინოდეს პროდუქციის წარმოება. ეს ყველაფერი მეტად მნიშვნელოვანია.

რასაკვირველია, ეკონომიკა ამის გამო გაიზრდება. ამიტომ მეც მიმაჩნია, რომ ჩვენ გვაქვს ყველა შანსი იმისათვის, რომ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ვიზრდებოდეთ საკმაოდ სწრაფად. შემდეგ კი ეს ხდება ისეთი ფენომენი, რომ უკვე ყველას ენდომება ჩამოვიდეს ასეთ ქვეყანაში, დააბანდოს ფული.

ავტორის შენიშვნა:

აქ თბილი კახა ბენდუქიშვილი, სამწუხაროდ, თავდება. ფირი გამოითავდა. მიუხედავად ამისა, მე ძალიან კმაყოფილი დავრჩი და ძალიან მიხარია, რომ ჩემი საქართველოს ხელმძღვანელობაში დგანან ისეთი ჭრიანი და კომპეტენტური ადამიანები, როგორებიც არიან კახა ბენდუქიშვილი, კახა ლომაია... ძალიან მიხარია, რომ საქართველოში დაბრუნდენ ნინო ანანიაშვილი, ბადრი პატარკაციშვილი, ბიძინა ივანაშვილი. ეს ნიმნავს, რომ ქვეყანა აყვავდება. ასეთი ადამიანები უნდა გააღმეროთ, ხელისგულზე ატარო თუნდაც იმიტომ, რომ ისინი ქმნიან სამუშაო აღვილებს, თუ იმასაც ვიტყვით, რომ ისინი ამაღლებენ ქართველების რეპუტაციის ხარისხს. მე მაღლობა გადავუხადე კახას ჩემთვის გამოყოფილი დროისათვის და გულია საუბრისათვის, მიმართ ამიტომ მანძილით მანამდებრივ გვინდებოდეთ კანადაში ვიზიტით.

ერთი-ორი კუთილი სიტყვა მინდა კოქვა დღევანდელ პრეზიდენტზეც. მჯერა სააკაშვილისა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს - ეს ძალიან ჭრიანი და გაბედული ადამიანია. მას ძალიან ბევრი მტერი ჰყავს და ძალიან ბევრს, დაწყებული ქართველი „კანონიერი ქურდებიდან“ პოლიტიკურ ოპონენტებამდე, რომლებიც უკვე მრავალი წელია მოსკოვში ეწვევიან ანტიექროტულ პროპაგანდას და ამით იხვეჭებ პოლიტიკურ და ფინანსურ კაპიტალს, ძალიან გაეხარდებოდათ გადაეხადათ ქილურისათვის დიდი თანხა მისი მოკვლისათვის. ივი რეალურად ებრძვის კორუუციას საქართველოში, ქსენოფონბას, აშენებს გზებს, ტაძრებს და ცდილობს ამაღლოს ერის სულისკვეთება. როგორც ჩემი ფილმის მთავარი გმირი ამბობს, „ნეტა მიხეილ სააკაშვილს გამოუვიდოდეს ის, რაც ვერ გამოუვიდათ მის წინამორბედებს. ნეტა მან აყვანოს საქართველო იმ მაღალ საფეხურზე, რომელზეც გვინდა ვინილოთ ივი ჩემს, ყველა ქართველს, ვინც ვკროვრობთ ამერიკასა და სხვა ქვეყნებში, თვით საქართველოშიც.“

გიორგი მარიამშვილი

არაფერი არ დავინახოთ?

სადღეისო ციტატები შარსულიდან

„ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია.არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის“, – წერდა ილია ჭავჭავაძე 1897 წელს ცნობილ წერილში „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“.

ამ დაუკიტყარმა ციტატამ გვიბიძეა მცირე წერილის დაწერისაკენ, რადგან ასზე მეტი წლის წინ შექმნილი სტრიქონები ჩვენ დღევანდელობასაც კარგად ეხმიანება.

დღეს ბევრი ცდილობს გააკრიტიკოს საქართველოს ხელმძღვანელი, მთავრობა თუ პარლამენტი, ეს მაღალი ინსტანციები. ახლა კრიტიკა ადვილია, დემოკრატიის პრინციპები და სიტყვის თავისუფლება უმტკივნეულოდ იძლევა ასეთ შესაძლებლობას და ბევრიც გადასულია კრიტიკაზე – ზოგიერთი საკუთარი ხასიათიდან გამომდინარე, ზოგიერთი განაწყენებული ადამიანის პოზიციიდან, ზოგიერთი იაფფასიანი ავტორიტეტის სწრაფად მოპოვების სურვილით, ზოგიერთიც დღეს თუ ვერა, ხვალ მაიც სანატრელი ადგილის მოპოვების იმედით.

ძალზე სამწუხაროა, რომ დღევანდელი უკმაყოფილო სპექტრის ზოგიერთ წარმომადგენელს ისიც კი უხარია, რომ თითქოს ხელისუფლების მოღვაწეობას ამერიკაში უარყოფითად

აფასებენ, საქართველოში კი დემოკრატიული მშენებლობის დონე საერთაშორისო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს.

აქვე ისიც შეიძლება შეინიშნოს, რომ ადრეულ წლებში მსგავსი უკმაყოფილო ადამიანები რუსეთში, მოსკოვში გარბოდნენ საჩივლელად, დღეს კი ძალიან მოსწონთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა ან სტრასბურგში თუ მოსჭრიან თავს საკუთარ სამშობლოს, ვის სიყვარულშიც თითქოს დღეს და დამეს ასწორებენ.

კი ბატონო, კრიტიკა და ზემდგომი ინსტანციებისათვის მრავალი ცხოვრებისეული საკითხის შეხსენება ცუდი არ არის, თუმცა გააჩნია ვინ როგორ ვახსენებთ – კეთილგანწყობილად თუ მტრულად, ქვეყნის მოყვარულისა თუ მგლური ბუნების ადამიანის პოზიციებიდან, საზოგადო მოთხოვნებიდან თუ მხოლოდ პირადული მოსაზრებებიდან.

ხალხის ნაწილის აზრით უკვე ჩამოყალიბდნენ და ჩვენც გვყავს საკუთარი ქართველი ჟირინოვსკი, მიტროფანოვი, ზატულინი, რიკოვი, როგოზინი, მიგრანიანი, ალქენისი, საკუთარი სლისკაც და გორიაჩევაც კი გვყავს.

ზოგი რამ, დადებითი, ძალზე მოკლედ შეიძლება ჩვენი თვალთახედვი-

თაც განვიხილოთ, განვიხილოთ ისე, როგორც ამას აკეთებს უამრავი კეთილად და ნორმალურად განწყობილი ადამიანი.

ზედაპირულად, მიმოხილვის წესით მანც უნდა ვაჩსენოთ, რისი გაკეთებაც მოხერხდა საყოველთაო ნგრევისა და ტოტალური ქურდობა— დატაცების თორმეტწლიანი ბაკქანალიის შემდეგ: ქვეყნის მართლა სამარცხინო, ხელმოკლე ბიუჯეტმა რომ მიღიარდებს გადაჭარბა ეს ყველასათვის საამაყო ფაქტი უნდა იყოს, თუმცა ამ უდიდესი პრობლემის კრიტიკაშიც კი ადამიანების ჯგუფი ერთმანეთს ტოლს არ უდებს, ხან რას მოიგონებენ, ხან რას, ერთ გაზეთში იმასაც კი წერდა გააფორმებული ოპოზიციონერი, ბიუჯეტი ისეა შედგენილი შხოლოდ პირად გამორჩეაზეა გათვლილი. ნუთუ ისე დაბრძავდა ადამიანი, რომ მაინცდამაინც პირად სიკეთედ შეიძლება მოეჩვნოს ქვეყანასა და მის დედაქალაქში 20-30 წლის მანძილზე ანგრეულ-დანგრეულ გზებზე ასფალტის დაგება, უმძიმესი ზეწოლის პირობებში ნამდვილი სასწაულის მოხდენა— ჩაწყვდიადებული ქვეყნის ოცდაოთხსაათიანი განათება, საავადმყოფო— პოლიკლინიკებისა და სკოლების აშენება, ყავლგა-დასული სახლების შეკეთება და მომხიბლავი ფერების გადაწყვეტილების უკვე შესანიშნავი და არა დამთრგუნველი სამსახურებრივი შენობა-ნაგებობების შექმნა, ბავშვთა მოედნებისა და სპორტული დაწესებულებების ქსელის ახლებური ჩამოყალიბება, ხავსმოდებული საბჭოთა მილიციის ნაცვლად თანამედროვეობის დონეზე აღჭურვილი საპატრიულო პოლიციის დაბადება, სანაგვებად ქცეულ ადგილებზე მომღერალი ფერადი შადრევნებისა და მომავალი თაობის გამაჯანსაღებული აუზების გამართვა, აღებ-მიცემობის სფეროდ ქცეული თავისმომჭრელი მისაღები გამოცდების ერთ ეროვნულ ყალიბში მოქცევა, ქვეყნის დამაქცევარი მსხვილი კორუფციის წინააღმდეგ ხმალშემართული ბრძოლა, უსისტემო, ჩაუცმელი ჯგუფების ადგილას ძლიერი, ორგანიზებული, კარგად გაწვრთნილი ჯარის მოვლინება, ეროვნული ლირსების აღდგენა, ორასწლოვანი უმძიმესი ბორკილის-რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის დაწყება, ასობით სამხედრო ტექნიკისა და ტრაქტორების ყიდვა-შემოტანა.... ყველაფრის ჩამოთვლაც კი ძალიან ძნელია.

კიდევ ხაზს ვუსვამთ — 200-წლიანი უმძიმესი მონობის შემდეგ რუსეთის სამხედრო-დამპყრობლური ბაზების გაყვანის დაწყებაც თითქოს არ მოეწონათ. ლაპარაკობენ, ეძებენ ნაკლოვანებებს, დარღვევებს, დათმობებს, თითქოს ტოტალიტარული-შოვინისტური სულით აღზევებული რუსეთი

ულაპარაკოდ გავიდოდა, არაფერს მოგვთხოვდა, პირიქით, კოცნითა და ზელის ქნევით დაგვემშვიდობებოდა.

ზოგიერთს უკვე კარგი, დადებითიც არ მოსწონს. შესანიშნავად, ჭკვიანურად, გაბედულად, თანასწორობის პრინციპით ელაპარაკა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს სანკტ-პეტერბურგში გამართულ შეხვედრაზე მიძღინარე წლის 13 ივნისს. მაინც ცდილობენ რაღაც ნაკლის აღმოჩენას, პრობლემის საკუთარი სურვილებით გაშუქებას, რაც უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს,. აქვე კიდევ ერთი დამადასტურებელი მაგალითისთვის შეიძლება გავიხსენოთ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის გამოსვლა სანკტ-პეტერბურგში რუსეთის დუმის 100 წლისთვისადმი მიძღვნილ სხდომაზე. ხალხის უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ მას ქართველი ქალების მრავალსაუკუნოვანმა ვაჟკაცურმა სულმა და გენმა არ უდალატა, ხელის შეშლის მცდელობის მიუხედავად ზემოქმედების ძალით, მაღალ ტონში წარმართა მოხსენება. ქცევით, თავდაჭერით, შესახედაობით, ლაპარაკის მანერით, აზროვნებით, თუნდ ჩაცმის კულტურითაც კი პარლამენტის თავმჯდომარე საამაყოდ გამოიყურებოდა და კიდეც მოახდინა ძლიერი შთაბეჭდილება. მხოლოდ მტრობით, შურით დაბრმავებულებს, რუსეთის ქვეშვრდომობისკენ მიღრეკილებს თუ შეეძლოთ

ასეთი დონის გამოსვლის გაკრიტიკება. საინტერესოა ზოგიერთი რუსი დეპუტატის უზრდელური დემარშები უფრო მოეწონათ თუ ინტელიგენტური რუსულითა და ქალური სინაზით გამოთქმული პატრიოტული კრიტიკა. მადლობა ღმერთს, სიმართლეს მთლიანად საზოგადოებრიობა ადგენს, შეფასებასაც ის ახდენს და არა რამდენიმე გონარეული.

რა თქმა უნდა, პოზიტიურის თუნდაც ფრაგმენტული აღნიშვნის შემდეგ შეიძლება სამართლიანი ოპოზიციური კრიტიკაც გამოითქვას, რაც უნდა იყოს სამშობლოსთვის სასარგებლო და არა საწინააღმდეგო, კონსტრუქციული და არა მტრული, ეკროპული სულისკვეთების და არა მხოლოდ რუსული. ბუნებრივია, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო სფერო ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა, დიდ მიღწევებთან ერთად კრიმინალურმა პოლიციამ უხეში შეცდომებიც დაუშვა, ეროვნული ცნობიერება და თვითმყოფადობა ითრგუნება, გლობალიზაცია და სოროსიზაცია ბევრი ჩვენი მისასალმებელი ტრადიციის გადაგვარებითა და დაკარგვით გვემუქრება, მეცნიერებისა და მწერლობის როლი არნაზულად დაკნინდა, ვეება რუსეთის ეკონომიკური დაწოლის გამო ყველაფერი გაძვირდა, საკმაოდ დიდია უმუშევრობა, ხალხის დიდ ნაწილს ხელფასი და პენსია არ ჰყოფნის. თუმცა ასეთ დროს ავიწყდებათ, რომ სულ სამიოდე წლის წინათ მთელი საქართველოს მოსახლეობა 14-ლარიან პენსიას

საერთოდ ვერ იღებდა, ახლა კი ყოველ-თვიურად მიღებულ 33-38- ლარიან პენისასაც უდიერად აქრიტიგბენ, თუმცა ბაზრის გაძირებაც რეალური მოვ-ლენაა.

აქ ერთი ფაქტიც შეიძლება გა-ვიხსენოთ: ამ ცოტა წნის წინ შემთხ-ვეცით შეგვხვდა ერთი მაღალჩინისანი აჭარიდან. ჩვენთან საუბრის დროს მან გულახდილად განაცხადა, ახალი ზე-ლისუფლების სიყვარულს ვერავინ დამწამებს, პირიქით, შეიძლება ითქვას, ვერ ვიტან, მძულს, მაგრამ შეუძლებე-ლია არ ვაღიარო: რაც ამ ორი წლის მანძილზე აჭარაში, ბათუმში გაკეთდა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას გან-ვლილი ოცი წლის მანძილზეც არ გაკეთებულა, ჩაბრძანდით და ნახეთ, ბათუმს ვეღარც კი იცნობთო.

ასეთი სახის კრიტიკა და თუნ-დაც ნაკლები დაფასება-სიყვარულის გამოვლენა, ასატანიცაა და გასათვალ-ისწინებელიც, რაც მნელია ითქვას ოპოზიციური ფრთის ზოგიერთი წარ-მომადგენლის დაუნდობელი, მტრულზე-მტრული კრიტიკის გათვალისწინებით, იქნებ ამიტომაც, მეტი შეგონებისა თუ ერთგვარი შეხსენება-გამოფხიზლების მიზნით, რადგან ჩვენი აზრების წაკითხ-ვას თუ გამოყენებას მაინცდამაინც არ შეეცდებიან, გადავწყვიტეთ ჩვენი დიდი წინაპრების აზრები მოვიშველიოთ, მათ მაინც ვერავინ დასწამებს მიკერძოებას, ვინმეს „ისტობას“, უცოდინარობასა და ჩამორჩენილობას, თუმც ამგვარი ბო-ლომდე გაუბედავი ცდებიც იყო ზოგი-

ერთი ოპოზიციონერის თუ მომწერ-ლო-მოპოეტო არსებების მხრიდან, რო-მელთაც შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა თუ გა-ლაკტიონ ტაბიძის უკვდავი შემოქმედე-ბის უბადრუკი ხელყოფაც კი სცადეს.

მოვუსმინოთ დიდ ქართველ მწ-ერალსა და მოაზროვნეს ილია ჭავ-ჭავაძეს: „ბალლური, ანუ უკეთ ვთქვათ ქუჩური კრიტიკა ხომ იმაში მდგო-მარეობს, რომ წუნი დასდო იმასაც კი, რაც დასაწუნი არ არის და საცა „ჰოა“ სათქმელი, იქაც „არა“ სთქვა, და ამის-ათვის თუნდ ლოლიკა გაიწიროს, თუნდ ჭეშმარიტება გაითელოს, თუნდ მარ-თლმსაჯულება გაილახოს, ბევრს არაფერს დაგიდევს. ეს არის ქუჩური კრიტიკა, რომელსაც დღეს ჩვენში დიდ-ძალი ტაშის მკვრელი ჰყავს ჩვენს ბულვარზედ“.

„ქურდაბაცაცაზედ უარესენი არიან ისინი, ვინც იძოდენად ხელს იღებენ თავზედ, რომ ცილისწამებით, ხმების დაყრით, ჩუმად და იდუმალად უბლა-ლავენ თავის მოაირისპირეს პატიოს-ნებას და ნამუსსა. რაკი ჯავრი ვის-მეზედმე ჩაიდეს გულში, მაშინ იმათ-თვის მოსარიდებელი აღარ არის რა: კაცია თუ ქალი, არ მოერიდებიან, რომ ყოველგვარი ლაფი თავს გადაასხან და ერთსაც და მეორესაც სახელი გაუტეხ-ონ, სახელი დაუმხონ“.

„უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქარ-თველების, წინ და აინუნშიც არ მოგვ-დის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და ხელი გკვრან შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად“.

„საჭიროა ზნე გაწმენდილი და გაფაქიზებული პქონდეს პატიოსნებითა, ნამუშიანობითა, კაცომოყვარეობითა და სამართლიანობის გრძნობითა. უამისოდ მისი მსჯელობა და ყოფა-ქცევა ერთმანეთს გადაუდგება, ერთმანეთს არ შეეთანხმება, მისი აზრი სხვა იქნება და ყოფა-ქცევა სხვა, გონება ერთს ეტყვის და გული სხვას ათქმევინებს“.

„ვაი, იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვაი, იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში – ყველა, საცა თვითული ყველასათვის არ პფიქრობს და ყველა თვითულისათვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ – იშვიათი!“.

„არ არის ქვეყანაზე საგანი, რომ უჭირუ უმეცარმა არ დაიჩემოს მისი ზედმიწენით ცოდნა და თავისს უგეგმურ და უთავბოლო საღეჭავად არ გახადოს მსმენელთა სააბეზაროდ. რაც ენაზე მოადგება, პროშავს გამარჯვებულსავით დოინჯშემოყრილი და თავმოწონებული, მაღალფარდებიან სიტყვებს ჰემარობს უანგარიშოდ, განუკითხველად, მოგაყრით ტყუილუბრალოდ გაბერილ ფრაზებს, რომელიც არც თითონ ესმის და არც მსმენელს გაეგება და ჰყოფორთობს, აი რაები მცოდნია და რა ბრძენი კაცი ვარო!“.

„ყველაზე საშიშარი და საზიზღარი ბეზღობა ის ბეზღობაა, რომელსაც საგნად მთელი ერი ჰყავს, ნამეტნავად იმისთანა ერი, რომელიც „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ყოველ ღონეს მოქლებულია, რომ თავი იმართლოს,

თავის გულისნადები, სულისწყურვილი საქვეყნოდ გამოპფინოს. ამისთანა ერის წინაშე ერთი გაცვეთილი მაბეზღარი უფრო შემძლებელია და ღონიერი, ვიდრე მთელი ერი. იმიტომ რომ მაბეზღარს ყოველივე იარაღი ხელში აქვს და დაბეზღებული – კი იარაღაყრილია. დაბეზღებულს აღარა დარჩება–რა ხოლმე იმის მეტი, რომ გულში უნდა ჩაიხვიოს უსამართლოდ გაუპატიურებული, მაგრამ სამართლიანად გაბოროტებული გრძნობა. ეგრეთ ჩახვეული გრძნობა სალესავია იმისი, რის დაჩლუნგებაც სასურველია ხოლმე“.

საქართველოს უგვირგვინო მეფეს სულმნათ აკაკი წერეთელსაც მოვუსმონთ: „ბევრი რამ თქმულა ჩემზე, ბევრსაც ამბობენ, მაგრამ მე ყურადღებასაც არ ვაქცევ ამ ნათქვამებს და მიტომ კი არა, რომ სიმართლე იყოს და ვეთანხმებოდე! მე მხოლოდ მეუკადრისება, რომ მათვის მოვიცალო საპასუხოდ“.....

„ადამიანს რომ შუბლის კანი გაუმაგრდება და სირცხვილ-ნამუსს დაჰკარგავს, მაშინ ენასაც იგრძელებს, რომ თავისი ჩირქი სხვას გადასცხოს როგორმე“.

თანამედროვე საქართველოს დიდ მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას მაინც დავუგდოთ ყური:

„ჩვენი უბედურება ამჟამადაც უგაა: ჩვენში მოღალატენი სჭარბობდნენ ერთგულებს განა თუ სხვისი, საკუთარი თავის, თავისი ხალხის მოღალატენი... როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა

ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას“.

„ოდითგანვე ასე მოგვდგაშს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდკაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“.

ჩვენი თანამედროვე გამოჩენილი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ირაკლი აბაშიძის ბრძნული სიტყვების გათავისება მაინც უნდა შევძლოთ: „ჩვენში პოლიტიკური ასპარეზისკენ ქალაქადაც და სოფლადაც მიისწრაფვოდნენ უმეტესად ის ადამიანები, რომლებსაც სხვა რამე თვალსაჩინო დარგში განსაკუთრებული ნიჭით არ აჯილდოებდა გამჩენი (მათ შორის, ხშირად სხვა საქმეებში ხელმოცარული ადამიანები), რათა ჩვენში, — ეტყობა, ყველგან ასეა“.

„როგორც ირკვევა, ყოველ დროს არიან მემბოსეები, რომელთაც მხოლოდ

ოპოზიციაში დგომა შეუძლიათ, „მარადოული ოპოზიციონერები“ და, როგორც ირკვევა, გამარჯვების შემთხვევაში მათ პოზიტიური საქმეების კეთება არ ხელეწიფებათ. მეამბოხე ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი და პროფესიული პოლიტიკური მოღვაწე. ჩანს, ნამდვილ პოლიტიკურ მოღვაწეს ძველისადმი ზიზღისა და აღშფოთების გარდა, ძველის ნგრევის წყურვილის გარდა, ხელო აუცილებლად უნდა ეპყრას ახლის, მომავლის შენების ნათელი პროგრამაც. როგორც ჩანს, პოლიტიკური მოღვაწე იწყება იქ, სადაც თავდება მეამბოხე“.

ასეთი სახის ღრმა და შთამბეჭდავი წერილებისა თუ მოტანილი ციტატების გახსენება არასოდეს არ გვაწყენს, პირიქით, გამოფხიზლებასა და სწორ აზროვნებაში დაგვეხმარება.

რედაქცია

ტრადიცია უნდა გაგრძელდეს

„...ათეული წლების გრძელ მანძილზე საზოგადოება „ცოდნა“ ღირსეულად ემსახურებოდა და ემსახურება თავის დიდ, საშვილიშვილო საქმეს“, – აღნიშნავდა საზოგადოების 40 წლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ წერილში დიდი ქართველი პოეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე.

ეს იყო თითქმის ოცი წლის წინათ, 1987 წლის დასწყისში, გაისაღ, 2007 წელს კი „ცოდნას“ დაარსებიდან 60 წლისთავი უსრულდება. ამგვარი შემაჯამებელი თარიღის დადგომის დროს სრულიად ბუნებრივად ისმება ხოლმე კითხვები: აქამდე რა გაკეთდა და აწი რა უნდა გაკეთდეს, ან უფრო ზუსტად – მართალია, ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა მთავარია ტრადიციები გაგრძელდეს და ახალი განვითარებაც პოვოს.

სულ ცოტა რამე მაინც გავიხსენოთ წარსულიდან, რადგან კარგის თუ კეთილის გახსენება ადამიანს ფიქრის, განსჯისა და დღევანდელობის უკეთ შეცნობის საშუალებას აძლევს.

დრო იყო, როცა გამოჩენილი ადამიანების მიერ ლექციების კითხვას დიდი ზემოქმედების ძალა, ასევე დიდი რეზონანსი ჰქონდა, ხალხი ინტერესით ელოდა შეხვედრას ლექტორებთან, მითუმეტეს აკადემიკოსთან, პროფესორთან, გამოჩენილ მწერალთან,

მრავალი პროფესიის ცნობილ ადამიანებთან, ეს ინტერესის დონეს ერთიანად ზრდიდა.

მრავალი გაჭირვებისა და ექსტრემალური პირობების მიუხედავად ხალხთან ცოცხალი სიტყვით შეხვედრა, უშუალო კონტაქტის დამყარება მაინც ყოველთვის ხდებოდა, დრო ვერ აჩერებდა სულიერი ღირებულებების პროპაგანდის აუცილებლობას. შეიძლება წინა ათწლეულების ეტაპებიც გავიხსენოთ ჩვენი თვალსაზრისით თუ სხვების ციტატების მოშველიებით, თანაც ეს გახსენება უდავოდ ზღვაში წვეთი იქნება იმ ვრცელ, სახალხო საქმეებთან დაკავშირებით, რაც მაშინ კეთდებოდა.

იყო პერიოდი, როცა თითქმის ყველა გამოჩენილი ადამიანი, ვისაც კი შეეძლო და ხელეწიფებოდა ლექციების, ან უფრო ვრცელი საჯარო ლექციების კითხვა, თავს არ ზოგავდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქმის ფართო პიპულარიზაციისათვის. ყველაფერი ეს ძირითადად უკვე გარდასულ და ისტორიის საკუთრებად ქცეულ მეოცე საუკუნეში ხდებოდა. ლექცია – მოხსენებებს სისტემატურად კითხულიბდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე, ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ახვლედიანი, შოთა მესხია და ჩვენი ერის უამრავი სახელოვანი შვილი.

რა თქმა უნდა, მაშინ სხვა დრო იყო, სხვა მიზნები, სხვა მოცანები, თუმცა ის ძველი პატრიოტული მუხტი მაინც

ყველა დროში უნდა გამოვატაროთ, სიახლეებთან ერთად ძველი სასიკეთო მიმართულებებიც არ დავკარგოთ, ძველისგანაც ავიღოთ ყველაფერი რაციონალური.

დიდმა ქართველმა მწერალმა გრიგოლ რობაქიძემ ნაყოფიერი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დასაწყისში სწორედ საჯარო ლექციებით მოიხვეჭა პოპულარობა. ის იყო ევროპაში ფართოდ განსწავლული ლიტერატურათმცოდნე, ფილოსოფოსი, ესთეტიკოსი. საფუძვლიან განათლებასთან ერთად დაზვეწილი დიქცია, თემატიკის უჩვეულო მრავალფეროვნება, შთამაგონელი შესახედაობა და ზემოქმედების გამორჩეული ნიჭიც გააჩნდა. მის ყველა გამოსვლას, მრავალფეროვნებით აღბეჭდილ ნაირგვაროვნებიც ლექცია-მოხსენებებს, მოუთმენლად ელოდა ფართო საზოგადოება, გაზეთები კი წინასწარ იტყობინებოდნენ ყველა მოსალოდნელი ლექციის შესახებ.

1908 წელს, 18 მაისს, მაშინდელ ტფილისში გამომავალი გაზეთი „ისარი“ თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებდა განცხადებას:

„სამშაბათს, 21 მაისს, ტფილისის არტისტული საზოგადოების შენობაში ბატონი გრიგოლ რობაქიძე წაიკითხავს ლექციას თემაზე „სექსი და სიყვარული“. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

24 მაისს ამავე შენობის დარბაზში ბატონი რობაქიძე წაიკითხავს ლექციას „მარქსიზმი და პიროვნება“.

გვპირდებიან, რომ ლექციები საინტერესო იქნება.“

ამის გარდა ათობით და ასობით განცხადება ქვეყნდებოდა მაშინდელ უურნალ-გაზეთებში.

ცნობილი ადამიანები არაფერს იშურებდნენ საერთო-სახალხო საქმეში საკუთარი წვლილის შესატანად, ლექცია-მოხსენებებით გამოსვლა კი ხალხთან უშუალო ურთიერთობის ერთერთ ყველაზე საუკეთესო ფორმად მიაჩნდათ. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ დიდმა პატრიოტმა, მწერალმა, უურნალისტმა, თეატრმცოდნე იოსებ იმედაშვილმა გარდაცვალებამდე სულ ორიოდე წლით ადრე მთელი საქართველო მოიარა მკვეთრად გამოკვეთილი პატრიოტული სულისკეთების ლექციით „რანი ვიყვით, რანი ვართ და რა უნდა ვიყვნეთ“ ლექციებსა და ხალხთან შეხვედრას მეტად სასარგებლო რეზონანსი ჰქონდა.

გამოჩენილი მწერალი და უურნალისტი ვახტანგ ჭელიძე ქართული პრესის ფურცლებზე აღწერდა გასული საუკუნის 50-იანი წლების ვითარებას:

„თბილისში ამ დროს სისტემატურად იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, ტარდებოდა საგანმნათლებლო ლექციები, დისკუსიები.

ფილარმონიის სახამთრო შენობაში ძველ ბერძნულ ფილოსოფიაზე ლექციების ციკლს კითხულობდა პროფესორი სერგი დანელია... სერგი დანელიას ლექციები ფილარმონიის ზემო

სართულზე ტარდებოდა, ერთ დიდ ოთახში, რომელიც ლექციების დროს ხალხით გაიჭედებოდა ხოლმე... ზშირად ტარდებოდა საგანმანათლებლო ლექციები და დისკუსიები მასწავლებელთა სახლში, რომელიც ფურცელაძის ქუჩის დასაწყისში მდებარეობდა.... ლექციებზე ყველას უფასოდ უშვებდნენ. სალექციო და კინო-დარბაზი მეორე სართულზე ვრცელი იყო, ხუთასამდე კაცს იტევდა, იქნებ უფრო მეტსაც, და ლექციას კითხულობდნენ თუ კინოს უჩვენებდნენ, მუდამ ხალხით იყო გაჭედილი“.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ისტორიკოს შოთა მესხიასადმი მიძღვნილ ვრცელ წერილში „ცხოვრება და ღვაწლი სახელოვანი მეცნიერისა“, აკადემიკოსი როინ მეტრეველი იხსენებდა:

„შოთა მესხია სასარგებლო საქმიანობას ეწეოდა საზოგადოება „ცოდნაში“. იგი საქართველოს ისტორიის სექციის თავმჯდომარე იყო და ინტენსიურად მუშაობდა, როგორც ლექტორი. მას ზშირად ნახავდით საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში, სადაც მეცნიერი დარბაისლური ქართულით მოუთხრობდა მსმენელებს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეპიზოდებს“.

მოტანილი ციტატები მართლა წვეთია ზღვაში იმ დროის აღსწერად, როცა ხალხს და ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებს, მეცნიერებსა თუ მწერლებს საუკუნოვანი პატრიოტუ-

ლი შემართება მოსდგამდათ, როცა ლექციები ფართო მასების, ახალგაზრდობის დასარაზმად, რუსეთის მიერ ბორკილებდადებული ხალხის გამოსაფხიზლებლად, ეროვნული სულისკვეთების გაღვივებისაკენ იყო მიმართული.

ეს ძლიერი ინტელექტუალურ-სულიერი ვითარება არ ნელღებოდა, თითქმის სამოცი წლის მანძილზე მოჰყვებოდა „საზოგადოება ცოდნას“, რომელიც 1990 წლიდან ოფიციალურად იწოდება საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირად, რაც დროისა და ახალი კანონების მოთხოვნით იყო განპირობებული. „საზოგადოება ცოდნამ“ ხალხის გათვითცნობიერებისათვის უამრავი სასარგებლო საქმე გააკეთა და დღესაც ცდილობს არ დათმოს პოზიციები, არ დაკარგოს წინაპართა მიერ შექმნილი, ჩამოყალიბებული ტრადიციები, პირიქით, განავითაროს და ახალ ცხოვრებისეულ დოგმებს მიუსადაგოს.

თუმცა ისიც გარკვევით უნდა ითქვას, რომ საქმიანობა გაცილებით გართულდა და გაჭირდა. ათეულობით პარტია და მოძრაობა ცდილობს საკუთარი ვიწრო იდეოლოგია დამკვიდროს, ზოგი ოპოზიციური პარტია საერთოდ თავდაყირა აყენებს ყველა მონაპოვარს, თვითდამკვიდრების ყველაზე საუკეთესო გზად ხელისუფლების ლანდგა-გინება და ხალხისათვის ჭკუა-გონების არევა მიაჩნია. იგივეს აკეთებს

ზოგიერთი ტელე-რადიო მაუწყებლობა თუ მკვეთრი ყვითელი ფერით გადაღებილი გაზეთი. ამ ბაქეანალიისა და სიტყვიერ-აზორბივი კაკოფონიის ლექტორთა სიტყვებით გადაფარვა ან შერბილება-გაკეთილ შობილება ძალიან ძნელი ხდება, თუმცა ეს ბუნებრივი ამოცანა ნაწილობრივ მაინც სრულდება, სხვანაირად ყოფნაც კი შეუძლებელია.

დღეს ცივილიზაციის ყველა სიკეთე ფართოდ მკვიდრდება ახალ, დემოკრატიულ საქართველოში, უკვე ათობით რადიომაუწყებლობა და სატელევიზიო არხი, როგორც თუნდ მობილური ტელეფონების ქსელი, ჩვეულებრივზე-ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ახლა ფართოდ და შეუქცევადად იყიდებს ფეხს კომპიუტერი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, რითიც მოქლი გადატრიალება და წინსვლა ხდება ადამიანების აზროვნებაში. აქვე ისიც შეიძლება აღინიშნოს, რომ აღმავალი დროის, ტექნიკის ეს მიღწევები ასჯერ და ათასჯერ მეტია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში და სხვა მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების მქონე ქვეწებში. თუმცა ხაზგასმას საჭიროებს ის გარემოება, რომ ყველა აქ მოყვანილ და მრავალ სხვა ქვეყანაში არსებოს „საზოგადოება ცოდნის“ ზედიწევნით მსგავსი, მონათესავე ორგანიზაციები, რომელთაც ხშირ შემთხვევაში მოზრდილთა უწყვეტი განათლების კავშირები, ცენტრები თუ

კლუბები ეწოდებათ. თუკი ასეთი მაღალი დონის ქვეწებში ხალხს, მასას, ახალგაზრდობას სჭირდება დამატებითი უწყვეტი განათლება, ჩვენ მით უმტეს გვჭირდება, გვჭირდება კი არა, ჰარივით გვჭირდება.

ამ ერთ-ერთ სასაცოცხლო მიმართულებას აუცილებელი ყურადღება უნდა დაუთმოს საქართველოს ხელისუფლებამ, რაც ეროვნული იდეოლოგიისა და საკონსტიტუციო მოთხოვნების უდავოდ წინ წამოწევა იქნება, რადგან სალექციო-საინფორმაციო საქმიანობა სწორედ იდეოლოგიის ერთ-ერთი სეგმენტი თუ შემადგენელი ნაწილია.

ასეთ საღ აზრს გამოხატავდა და ასეთი მოთხოვნების აუცილებლობას ამკვიდრებდა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რომლის ერთ-ერთი მაღალი ფუნქციაც არის ყველა ორგანიზაციის წესდებისა და სამოქმედო პროგრამის მკაცრი, მიუდგომელი განხილვის შემდეგ დამტკიცება და ოფიციალური სამოქმედო ვიზის მიცემა. 2006 წლის დამდეგს უმაღლეს ზემდგომინსტანციად დაკანონებულმა იუსტიციის სამინისტრომ ხანგრძლივი შესწავლის შემდეგ „საზოგადოება ცოდნის“ ახალ შესწორებულ-შევსებულ წესდებაში მატებილ, ყველასათვის გასაგებად ჩასწერა: (პარაგრაფი 3.2. და 3.2.1): „ცოდნას“ კანონით დადგენილი წესით უფლება აქვს ქვეყნის ნებისმიერი ქალაქისა და რაიონის წარმოებებში, ორგანიზაციებში, კერძო სტრუქტურებსა თუ სასწავლო-სამეც-

ნიერო დაწესებულებებში ჩაატაროს ლექცია-მოხსენებები ან სამეცნიერო-შემეცნებითი ღონისძიებები, კონფერენციები, ტრენინგები, კოთხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები აკადემიკოსებთან, მწერლებთან და ა.შ.“

ეს დადგნილება უნარიანად, მართლაც ახლებურად უნდა იქნეს გამოყენებული და კვლავაც მთელი ძალით გაგრძელდეს სალექციო-საინფორმაციო და ახსნა-განმარტებითი საქმიანობა, რაც დღეისათვის, ისე როგორც არასოდეს, სჭირდება ხალხს და რასაც შეუნელებელი ინტერესით ელოდებიან ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა, დაბებსა თუ სოფლებში.

აქ აღარ გვინდა ძველი წესების მიხედვით დავიწყოთ წერა: აქ კარგად მუშაობენ, იქ არა, ამ რაიონში ამდენი ლექცია ჩატარდა, იქ კი გაცილებით ნაკლები, ან საერთოდ არაფერი გაკეთებულა. საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნა“ მონდომებით ცდილობს რეგიონების, ქალაქებისა თუ სოფლების ხელმძღვანელობის დახმარებით და კოლეგიალური თანადგომით ცოდნის გავრცელების აქტიური სფერო კვლავაც ყველასათვის საჭირო, სასარგებლო მიმართულებად აქციოს.

**უშროესობა
„სიტყვის“ რედაქცია**

მეგობარი სლოვაკეთის მატიანე

საქართველოსა და სლოვაკეთის ურთიერთობა მრავალ ცხოვრების უეულ ტრადიციაზე იყო და არის დაფუძნებული, ამ სიახლოვეს გარკვეულწილად განაპირობებს სულიერი, კულტურული, ისტორიული თუ გეოგრაფიული ფაქტორები.

მეგობრული ტრადიციები წლების მანძილზე ღრმავდებოდა, იხვეწებოდა და ფართოვდებოდა. ახლობლობის სხვა ასპექტებზე რომ არ ვიღაპარაკოთ, საკმარისია დავასახლოთ ორივე ქვეყანაში გახმაურებული ერთობლივი კინოფილმები: „შეწყვეტილი სიმღერა“ და „რაჭა, ჩემი სიყვარული“, რომლებმაც მაყურებელთა ფართო წრეების მოწონება დაიმსახურეს.

გასული საუკუნის ბოლო 20 წლის მანძილზე ახალ საფეხურს მიაღწია საქართველოსა და სლოვაკეთის ლიტერატურულმა ურთიერთობამ. ბრატისლავის გამომცემლობებში გამოვიდა ქართველი ავტორების წიგნები, შეატვირული თუ მეცნიერული ნაშრომები, დაიდგა პიესები, შესრულდა მუსიკა, მოწყო ცალკეული საყურადღებო ნაწარმოებების გადაცემა სლოვაკიის რადიოსა და ტელევიზიაში, დიდი ადგილი დაეთმო ლიტერატურულ უერალთა ფურცლებზე ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატებს.

ამ პერიოდში ცალკეულ წიგნები

ბად გამოვიდა ან ანთოლოგიებსა და უერნალებში დაიბეჭდა ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, ნოდარ დუმბაძის, იოსებ ნონეშვილის, ანა კალანდაძის, ჭაბუა ამირეჯიძის, არჩილ სულაკურის, გურამ რჩეულიშვილის, გურამ ფანჯიძიძის, მორის ფოცხიშვილის, თამაზ ჭილაძის, ოთარ ჭილაძის, გურამ გეგეშიძის, რეზო ჭეიშვილის და სხვების წიგნები თუ ცალკეული ნაწარმოებები.

რამდენჯერმე განმეორებით გამოიცა ნოდარ დუმბაძის, ჭაბუა ამირეჯიძისა და გურამ ფანჯიძიძის წიგნები, რაც თანამედროვე ქართული ლიტერატურისადმი სლოვაკი მკითხველის დიდ ინტერესზე მეტყველებს.

ჩვენი მწერლებისა და პოეტების გვარების თუნდაც ასეთი უბრალო ჩამოვლაც კი მიგვანიშნებს, როგორი ფართო ყურადღება ექცეოდა სლოვაკეთში ქართულ ლიტერატურას.

ჩვენც შევეცადეთ სლოვაკი მეგობრების სიყვარულისათვის სიყვარულითვე გვეპასუხა.

სამოცდაათიანი წლების ბოლოს საქართველოში, კერძოდ საავტორო უფლებების რესპუბლიკურ სააგენტოში, საქმიანი ვიზიტით ჩამოვიდა სლოვაკეთის ლიტერატურული სააგენტოს „ლიტას“ დელეგაცია მისი გენერალური დირექტორის მატეი ანდრაშის მეთაუ-



რობით.

სლოვაკება მეგობრებმა და პარტიიონებმა უამრავი თარგმნილი მასალა და პწყარედები ჩამოგვიტანეს. მათ შორის იყო სლოვაკური პოეზიისა და პროზის ანთოლოგიები, გამოჩენილი სლოვაკი პოეტების მიროსლავ ვალე-კის, ვიოტეხ მიპალიკის, მილან რუფუსის და სხვათა პოეტური კრებულები. მეგობარი ქვეყნის წარმომადგენლებს ჩვენც ასევე გავატანეთ ქართველი ავტორების თარგმნილი წიგნები და შესაბამისი პწყარედები, რითაც კარგი საფუძველი ჩაეყარა ურთიერთგაცნობის პროცესს.

დოქტორი მატეი ანდრაში უკვე მეგობრობდა პოეტ მორის ფოცხიშვილთან. ჩვენც დავმეგობრდით და სისტემატური მიმოწერა გვქონდა, ლიტერატურული მოღვაწეობის სფეროშიც უახლოესი პარტნიორები გავხდით.

შემდეგ მატეი ანდრაშის ხელმძღვანელობით კიდევ რამდენიმეჯერ გვეწვია სლოვაკეთის ლიტერატურული სააგნტოს დელეგაცია, გვეწვივნენ ცნობილი გამომცემლობა „სლოვენსკი სპილოვატელისა“ და სხვა გამომცემლობების წარმომადგენლები.

კონტაქტების დასამყარებლად და გასაფართოებლად საქართველოში ჩამოვიდნენ გამოჩენილი სლოვაკი პოეტი, აქ ნახსენები გამომცემლობა „სლოვენსკი სპილოვატელის“ ყოფილი დირექტორი ვლიტეხ მიპალიკი, შემდგომში მისი შემცვლელი, სლოვაკეთის ცნობილი საზოგადო მოღვაწე ვლადიშირ

დუდაში და სხვა მეგობრები.

სლოვაკეთში დასასვენებლად და მეგობარი ხალხის ცხოვრების გასაცნობად რამდენჯერმე იყვნენ მიწვეულნი გრიგოლ აბაშიძე, მორის ფოცხიშვილი, გურამ ფანჯიკიძე და სხვა ცნობილი ქართველი მწერლები.

1982 წელს ბრატისლავის გაცნობის შემდეგ სლოვაკეთის კულტურის სამინისტრომ და პირადად კულტურის მინისტრმა, დიდმა სლოვაკმა პოეტმა მიროსლავ ვალე-კვამა მეუღლესთან ერთად მაღალ ტატრებში, კერძოდ ახალ სმოკოვეცში მდებარე სანატორიუმში დასასვენებლად მიგვიპატიჟა.

ახალ სმოკოვეცში გატარებული ივლისის თვე მთლიანად სლოვაკური პოეზიის გაცნობასა და თარგმნას დაეთმო, რაღაც ხელსაყრელი პირობებიც მქონდა და თარგმნისათვის საუკეთესო კონსულტანტებიც მყავდა, თან გულდასმით ვეცნობოდი ჩემთვის უკვე მახლობელ ქვეყნად ქცეულ სლოვაკეთს.

მატეი ანდრაშისა და დელეგაციის წევრების მიერ ჩამოტანილ ვრცელსა და საინტერესო მასალას თავიდანვე დიდი ფურადღებით გავეკანი. საოცრად მიმიზიდა ევროპის შუაგულში მცხოვრები ამ პატარა, უძველესი, მამაცი და ნიჭიერი ხალხის ლიტერატურამ, განსაკუთრებით კი თვითმყოფადმა და უაღრესად საინტერესო პოეზიამ.

ჩამოტანილი მასალების გარდა ბიბლიოთეკებშიც მოვიძიე სლოვაკური პოეზიის არაერთი ნაწარმოების თარგმანი რუსულ ენაზე და გარკვეულად

განვიმტკიცე სლოვაკური პოეზიის ცოდნა.

თარგმნას ადრიდანვე ვცდილობდი, ჯერ კიდევ მე-9-მე-10 კლასის მოსწავლემ დავიწყე რუსული პოეზიის ზოგიერთი ნიმუშის თარგმნა. შეძლებ ინგლისური და ოსური პოეზიიდანაც ვთარგმნე რამდენიმე ნაწარმოები. უკვე სტუდენტობის წლებში გამოქვეყნდა ჩემი ცალკეული თარგმანები.

მტკიცედ გადავწყვიტე ქართველი მკითხველისათვის გამეცნო სლოვაკური პოეზიის საუკუთხსო ნიმუშები. გულდაგულ შევუდექი საქმეს და შედეგმაც არ დააყოვნა.

უკვე 1980 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ჩემს მიერ თარგმნილი სახელოვანი სლოვაკი პოეტის მიროსლავ ვალეკის ლირიკულ-ფილოსოფიური და პოლიტიკურ-პუბლიცისტური პოემა „სიტყვა“.

1983 წელს „ნაკადულმა“ გამოსცა მისი საბავშვო ლექსების კრებული საერთო სათაურით „ცირკის კარი იღება“. სწორედ ეს მეტად ორიგინალური და საინტერესო ლექსები ვთარგმნე მაღალ ტატრებში.

1983 წელსვე „ნაკადულში“ გამოვიდა სლოვაკეთის გამოჩენილი თანამედროვე პოეტის მილან რუფუსის „რჩეული ლექსები“. ეს პატარა წიგნიც სლოვაკური პწკარედებით შევასრულე.

მორის ფოცხიშვილმა და მე ვთარგმნეთ 60 სლოვაკი პოეტის 200-ზე მეტი ნაწარმოები, შევადგინეთ ანთოლოგია და 1985 წელს გამომცემ-

ლობა „მერანში“ დავსტამბეთ მშვენიერი კრებული. იმავე წელსვე მორის ფოცხიშვილმა ბრწყინვალედ თარგმნა და თავისივე მხატვრობით ძალზე მაღალ დონეზე გამოსცა სლოვაკური პოეზიის კორიფე პაველ ორსაგ ჰვიეზდოსლავის ცნობილი „სისხლიანი სონეტები“.

1985 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ცალკე კრებულად გამოსცა ჩემს მიერ თარგმნილი მიროსლავ ვალეკის ლექსები და პოემები საერთო სათაურით „აკრძალული სიყვარული“, აგრეთვე ვოიტებ მიჰალიკის ლექსები და პოემები „აპასიონატა“.

1987 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ჩემს მიერ თარგმნილი გამოჩენილი თანამედროვე სლოვაკი პოეტის პაველ კოშმის რჩეული ლექსები „დიდება მოძრაობას“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სლოვაკიის ლიტერატურული სააგენტოს დირექტორს მატეი ანდრაშს, პოეზიის განყოფილების გამგეს, ცნობილ პოეტ-სა და კრიტიკოსს იაროსლავ რეზნიკსა და სხვა სლოვაკ მეგობრებს სისტემურად ვხვდებოდით მოსკოვის წიგნის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობის მუშაობის პერიოდში. ეს უაღრესად ფართო მნიშვნელობის კულტურულ-ეკონომიკური ღონისძიება ათვერ ჩატარდა და ათივეში ფართოდ ვმონაწილეობდით.

როგორც ცნობილია, წიგნის აღნიშნული მოსკოვის საერთაშორისო

გამოფენები ორ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა. ყოველ გამოფენაზე ჩვენ აუცილებლად ვაფორმებდით კონტრაქტებს ქართველი თუ სლოვაკი ავტორების წიგნების გამოცემაზე, აგრეთვე ვდებდით ე.წ. ოფციონებს ახალი, საუკეთესო ნაწარმოებების შესახებ, რომელთა გაცნობის შემდეგაც მუშავდებოდა მომავალი გამოცემების გეგმა.

მოსკოვის წიგნის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზეც ოფიციალურად გავაფორმეთ კონტრაქტები სლოვაკი ავტორების წიგნებზე, რომელთა ძალითაც საქართველოში გამოიცა ცნობილი სლოვაკი პოეტის, კრიტიკოსისა და პუბლიცისტის ლიუბომირ ფელდეკის რჩეული ღერძები და პოემები, სლოვაკური ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენლის, ქართული ლიტერატურის პოპულარიზატორისა და უანგარო მეგობრის იაროსლავ რეზნიკის პოეტური კრებული და სხვა წიგნები.

ამავე გამოფენა-ბაზრობაზე გაფორმდა წინასწარი ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც ცალკე წიგნებად გამოიცა სახელმოხვეჭილი სლოვაკი პოეტების მიკულაშ კოვაჩის, იოზეფ მიგალკოვიჩის, რუდოლფ ჩიჟმარიკის რჩეული ღერძები.

განზრახული იყო აგრეთვე სქელტანიანი პოეტური კრებულის საერთო სათაურით „თანამედროვე სლოვაკური პოეზიის თანავარსკვლავების“ გამოცემა, სადაც შევიდოდა ქართულ ენაზე თარგმნილი სლოვაკი

პოეტების ყველაზე საუკეთესო ნაწარმოებები.

მკითხველს რომ არ დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს მხოლოდ და მხოლოდ პოეზიას ვთარგმნიდით, გავიხსენებთ, რომ გამოიცა გამოჩენილი თანამედროვე სლოვაკი მწერლის მილოშ კრნოს მოთხრობები, მწერლისა და გამომცემლის რუდო მორიცის საბავშვო მოთხრობები, აგრეთვე სქელტანიანი „სლოვაკური პროზის ანთოლოგია“, რომელიც სლოვაკურიდან ქართულ ენაზე თარგმნა ცნობილმა მთარგმნელმა აღეკო კაკულიამ. მანვე თარგმნა და 1986 ცალკე წიგნად გამოვიდა პრუმოვსკის ფართოდ ცნობილი სათავგადასავლო რომანი „იანოშიკი“.

ჩვენი შეხვედრების დროს თბილისში, მოსკოვსა თუ ბრატისლავაში სლოვაკი მეგობრები ყოველთვის გვირჩევდნენ გვეთარგმნა სლოვაკური მწერლობის კლასიკოსის, დიდი პროზაიკოსის ფრანტიშეკ გერგოს გახმაურებული რომანი „წითელი ღვინო“.

ეს რომანი კრიტიკის ერთობლივი აზრით მიჩნეულია სლოვაკეთის მატიანედ, ერთგვარ ნაციონალურ სიამაყედ და სახალხო ძეგლად.

რომანი „წითელი ღვინო“ სამი წიგნისაგან შედგება და დაახლოებით ორმოცდახუთ საავტორო თაბახს შეიცავს, ის ბევრჯერ არის გამოცემული, რამდენჯერმე შესანიშნავი გამოცემა სლოვაკმა მეგობრებმა ჩვენც გამოგვიგზავნეს.

პირადად მე თითქმის 20 წლის

მანძილზე ძირითადად სლოვაკურ პოეზიას ვთარგმნიდი, პროზას გულს ვერ ვუდებდი, ამიტომაც ვთხოვე ცნობილ მთარგმნელს, აწ გაუქმებული „საქინფორმის“ მთარგმნელთა ბიუროს თავმჯდომარეს, რესპუბლიკის დამსახურებულ ჟურნალისტს ნოდარ ზედელაშვილს ეტვირთა ამ გახმაურებული რომანის თარგმნა. მაშინ იგი თარგმნიდა გამოჩენილი ბულგარელი მწერლის ორლინვასილევის მოთხრობებს, შესანიშნავდ თარგმნა კიდეც და 1987 წელს ერთტომეული დაისტამბა გამომცემლობა „ნაკადულში“ „დიდი ნულის“ საერთო სახელწოდებით.

მთარგმნელმა ორ წელზე მეტი წელის გულმოდგინე შრომა მოანდომა სქელტანიანი რომანის თარგმნას. დადებული წელშეკრულების თანახმად, „წითელი ღვინო“ ქართულ ენაზე 35 საავტორო თაბახის მოცულობით უნდა გამოცემულიყო. ამდენად, ქართველი მკითხველისათვის ზოგიერთი ნაკლებ საინტერესო ადგილი შემცირდა და რომანი უფრო კომპაქტური, ერთგვარად დახვეწილი და საინტერესო წასაკითხიც კი გახდა. მით უმეტეს, რომ ამ რომანში შესანიშნავი ფერმწერის ოსტატობით არის ასახული სლოვაკი მევნენახების ოჯახში დაიბადა. მისი მშობლები მთელი სიცოცხლის განმავლობაში წელებზე ფეხს იდგამდნენ, ქნცის გაწყვეტამდე შრომობდნენ, მაგრამ მაინც შიმშილსა და უკიდურეს გაჭირვებას თავს ვერ არიდებდნენ. მცირე მეურნეობის მოსავლელადაც კი იძულებული იყვნენ სესხი აეღოთ ხოლმე მდიდარი მევნეშებისაგან. მოუსავლიან წელიწადს ვალის გადახდას ვერაფრით ახერხებდნენ, პროცენტებით ნასესხები თანხა კი იზრდებოდა და მათ წალეკვით ემუქრებოდა.

რომან „წითელი ღვინოს“ მო-

ქმედება ვითარდება სამხრეთ სლოვაკეთის ერთ-ერთ პატარა სოფელში. სოფლის სახელწოდებად მწერალს შერჩეული აქვს ვოლჩინდოლი. ჩვენი აზრით, ეს სპეციალურად მოფიქრებული და მისადაგებული სახელწოდებაა, რათა დასაწყისიდანვე კარგად წარმოჩნდის ის მგლური და ადამიანის დამთრგუნველი კანონები სლოვაკიის ძველ ცხოვრებას რომ ახასიათებდა.

თავად ფრანტიშეკ გეჩკო, მომავალი დიდი მწერალი, სლოვაკეთის ტრნავის რაიონის პატარა და მევენახეობით განთქმულ სოფელ სუხაში 1905 წელს დარიბ-დატაკი მევნენახების ოჯახში დაიბადა. მისი მშობლები მთელი სიცოცხლის განმავლობაში წელებზე ფეხს იდგამდნენ, ქნცის გაწყვეტამდე შრომობდნენ, მაგრამ მაინც შიმშილსა და უკიდურეს გაჭირვებას თავს ვერ არიდებდნენ. მცირე მეურნეობის მოსავლელადაც კი იძულებული იყვნენ სესხი აეღოთ ხოლმე მდიდარი მევნეშებისაგან. მოუსავლიან წელიწადს ვალის გადახდას ვერაფრით ახერხებდნენ, პროცენტებით ნასესხები თანხა კი იზრდებოდა და მათ წალეკვით ემუქრებოდა.

მრავალი ცდის მიუხედავად, ბოლოს მაინც იძულებული გახდნენ ვალის დასაფარავად ყველაფერი გაეყიდათ და უსახლკაროდ დარჩენილებს უკვე ქალაქების ფაბრიკა-ქარხნებში შავი სამუშაოს შესრულებით ეცადათ არსებობა.

უღარიბესი მევენახის შვილი-სათვის ძნელზე-ძნელი იყო სათანადო განათლების მიღება. მიუხედავად ამისა, გეჩკო მაინც შევიდა ბრატისლავის მევენახობის სკოლაში, შემდეგ ქალაქ კოშიცეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში, რათა გულმოდგინე სწავლით თავი დაედწია სიღარიბისათვის და ცხოვრებაში თავისი ადგილი ეპოვა.

ამ პერიოდისათვის სოფლის მეურნეობის დამწყები მუშაკი არმიაში გაიწვიეს და ორი წლის მანძილზე ეწეოდა მძიმე ჯარისკაცულ ჭაპანს. მოვალეობის მოხდის შემდეგ კი მან პრაღის კოოპერაციული სკოლა დაამთავრა.

ოცდახუთი წლის ფრანტიშეკ გეჩკომ მუშაობა დაიწყო ბრატისლავის კოოპერატივების სამმართველოს მოხელედ. სამსახურებრივი მოვალეობის გამო იგი გამუდმებით იმყოფებოდა მშობლიური სლოვაკეთის სოფლებში და მოსაწყენი მოვალეობის გვერდით გულდაგულ ცენობოდა სლოვაკი გლეხობის დუხშირ ცხოვრებას, საკუთარი თვალით ხედავდა სოფლად გამეფებულ ტრაგიკულ ვითარებას და თითქოს მომავალი დიდი სათქმელი-სათვის იმუხტებოდა.

ბურჟუაზიულ სლოვაკეთში გლეხობა დრტვინავდა და მძიმე გაჭირვებით ქედოხრილი ძლივდლივობით ირჩენდა თავს. მოელი სიმდიდრე ერთი მუჭა მყვლეფავების ხელში იყო მოქცეული. ისინი მონებივით ეპყრობოდნენ ხალხს, სტაციურების სარჩო-სა-

ბადებელს, უფიდინენ უკანასკნელ მიწის ნაჭერს და გეჩკოს მშობლებივით აიძულებდნენ სოფლის მიტოვების შემდეგ ქალაქების ფაბრიკა-ქარხნებში კატორლული შრომით ერჩინათ თავი.

ამ ვითარებას მტკიცნეულად აღიქვამდა ახალგაზრდა მწერალი, უმძიმეს განცდებს საკუთარი სულის ქურაში ადინბდა და დიდი სათქმელის ხორც-შესასხმელად მასალებს აგროვებდა. ჯერ კიდევ კოოპერაციულ სკოლაში სწავლის დროს ფრანტიშეკ გეჩკო ლექსების წერამ გაიტაცა. 1931 წელს უკვე ცალკე კრებული გამოსცა საერთო სათაურით „ახალმოსახლენი“. იგი ლექსებში თავისებურად ამაორახებდა სინამდვილეს და უსამართლობის მიმართ პროტესტს გამოხატავდა. პესიმიზმითა და ღრმა გულისტკივილით ავსილი მისი ლექსები გამოხატავდნენ გლეხობის მძიმე ხვედრს, რომელთაც აუტანელ სიღარიბესთან ერთად ძლიერთა ამა ქვეყნისათა მიერ საკუთარი მიწიდან განდევნაც კი ემუქრებოდათ. ლექსების შემდგომ კრებულებში იგივე თემა დომინირებდა, ოღონდ აქ უკვე ისმოდა ომის მოწინააღმდეგე პოეტის მძლავრი ხმა მიმართული ნგრევისა და უკანონობის წინააღმდეგ.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ გამოვიდა ფრანტიშეკ გეჩკოს „სლავიანური ლექსები“, რომელიც ეძღვნებოდა ფაშისტური უდლისა და მოსალოდნელი სამარცხვინო მონობისაგან განთავისუფლებულ სლავ ხალხებს. ეს იყო ფაშისტის ბოლო პოეტ-

ური კრებული. შემოქმედებითი სულის-კვეთებით ავსილი მწერალი გამოსახ-ვის ახალ ფორმებსა და საშუალებებს ეძებდა, სურდა თავისი სათქმელი კიდევ უფრო ფართოდ და მასშტაბურად გამოხატა, რისთვისაც პროზა უფრო მრავლისმომცველად ეჩვენებოდა.

წლების მანძილზე გეჩკო აქტი-ურად თანამშრომლობდა უურნალ-გაზეთების რედაქციებთან, წერდა სოფ-ლის მეურნეობის საჭიროობო სა-კითხებისადმი მიძღვნილ სტატიებსა და წიგნებს. ეს ყველაფერი გამიზნული იყო გლეხობისათვის, ხალხის ფართო მასებისათვის. ამიტომაც ავტორი ცდი-ლობდა ნათელი, ლამაზი, ყველასათვის გასაგები და მისაწვდომი ენით ეწერა, რაც მისთვის საუკეთესო საშუალება იყო მომაყალი დიდი პროზისაკენ მი-მავალ გზაზე.

1943 წლის ზაფხულიდან ფრან-ტიშეპ გეჩკომ დაიწყო მუშაობა თავის უმთავრეს რომანზე „წითელი ღვინო“. თავდაპირველად მწერალი თურმე დე-დისადმი მიძღვნილი მოთხრობის დაწ-ერას აპირებდა, მაგრამ მცირე ზომის ნაწარმოებმა არ დააკმაყოფილა — უა-მრავი სათქმელი ჰქონდა დაგროვილი, უამ-რავი განცდილი გადმოსაცემი, უამ-რავი ფაქტი ასამეტყველებელი და მოთხრობის ვიწრო ჩარჩოები სრული-ადაც არ მოერგო მის ფართო ჩანა-ფიქრს.

ფგეჩკომ გააგრძელა გულმოდგინე შემოქმედებითი მუშაობა ნაწარმოებზე და დაწყებული მოთხრობა შემდგომ

სამტომიან რომანად იქცა, სადაც ასახ-ული იყო სლოვაკი ხალხის, სლოვაკი გლეხობის რთული და უაღრესად და-ძაბული ცხოვრება ათეულობით წლის მანძილზე.

რომანი „წითელი ღვინო“ 1948 წელს გამოვიდა ცალკეულ წიგნებად. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო მეტად საყურადღებო და მნიშვნელო-ვანი ნაწარმოები, რომელშიც ნათლად გამოჩნდა არსებული სინამდვილე, სლო-ვაკი გლეხობის ცხოვრებისა და ფსი-ქოლოგიის ღრმა ცოდნა, ლირიკული საწყისებისა და დრამატიზმის ორგან-ული შერწყმა, მწერლობის რეალის-ტური მიმართულების წინა პლანზე გაბედული დაეყენება.

რომანის მთავარ მოქმედი გმირე-ბის უაღრესად საინტერესო გალერეა მწერლის დუხშირი ცხოვრებიდან, რე-ალურად არსებული მძიმე ვითარებიდან იყო აღებული. ყველა მათგანს პრო-ტოტიპი გააჩნდა, რაც მწერალს უად-ვილებდა რომანზე მუშაობას და სათ-ქმელს მეტი ზემოქმედების ეფექტს მა-ტებდა. რეალურისა და ლიტერატუ-რული ნააზრევის შერწყმამ კი ნამდ-ვილად დიდი ზემოქმედების მომხდენი შედეგი გამოიღო.

რომან „წითელი ღვინის“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირის მარეკ გაბჯას სახით მწერალმა თითქოს საკუთარი გაუსარელი ცხოვრება დაგ-ვიხატა, შიმშილით, შიშით, სიცივითა და უფროსი თაობის ტრაგედიით ავსილი ბავშვობა. რომანის ასევე მთავარი მო-

ქმედი გმირის კრისტინას სახით გეჩკომ საკუთარი დედის მრავალტანჯული, მოწამებრივი, მძიმე ცხოვრებით დათრგუნვილი სახე გამოძრიწა. მარეკის მამის ურბან გაბჯას სახე კი თითქოს უფრო განაზოგადა და უღარიბეს მევენახეთა სავალალო მდგომარეობის შეძრწუნებამდე რეალური სურათი დაგვიტოვა.

„წითელი ღვინოს“ დასაწყისი-დანვე მწერალს მკითხველი გაბედულად შეჰყავს უმკაცრეს, მაგრამ სწორედ თავისი მკაცრი მომხიბვლელობით მრავალფეროვან სამყაროში. აქ ვოლჩინდოლის ერთგვარად ფანტასტიკურ წარმოშობას უხვად ერწყმის რეალურად არსებული სინამდვილე. თითქოსდა ისტორიულად შემორჩენილ თუ გადმოცემულ წარსულთან ერთად ფრანტიშეკ გეჩკო დიდი, ორიგინალური მწერლისათვის დამახასიათებელი ძლიერი საღებავებთ ხატავს სლოვაკი მევენახების თანამედროვე ცხოვრებას, არსებობისათვის გააფთრებულ ბრძოლას, აგრეთვე შეუპოვარ შეტაკებას გათავსედებული, უგულო ბურუჟიული სამყაროსა და ღატაკი გლეხობის წინააღმდეგ მიმართული ბუნების მრისხანე ძალებისადმი.

თავისებურ რეფრენად უღერს რომანის სათაური „წითელი ღვინო“. ის თითქოს წითელ სისხლს განასახიერებს, რომელიც მევენახეთა დაუღალავი გარჯისაგან დაბერილ ძარღვებში ჩქეფს. წითელი ღვინო სიმბოლოა მომქანცავი, გამანალგურებელი შრომისა,

რომელსაც თავის რჩენისა და უკეთეს მომავლზე ფიქრით ეწეოდნენ დარიბდატაკი სლოვაკი მევენახები. ვაზი და ღვინო მათვის აუტანელი სიღარიბიდან ცხოვრების თუნდ მინიმალური ადამიანური პირობებისაკენ მიმავალი ერთადერთი გზა იყო.

ფრანტიშეკ გეჩკოს ფართო სოციალური და, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, ეპოქალური ტილო იწყება ახალგაზრდა, ჯან-ღონით აღსავსე ურბან გაბჯას და მისი მომხიბლავი ცოლის კრისტინას ცხოვრების აღწერით. დიდი გზის დასაწყისთან მდგარმა ურბანმა, ბუნებრივი პატიოსნებითა და წინაპარითა სიკეთით მომადლებულმა ვაჟკაცმა, პროტესტი განაცხადა უზრუნველ ცხოვრებაზე, მამამისის – მიხაილის მიერ შეძენილ ქონებაზე და პატიოსანი შრომით ცხოვრების შექმნა არჩია. მან წრფელი სიყვარულის ძახილით ცოლად შეირთო უღარიბესი ობოლი და მეტისმეტად ლამაზი კრისტინა. ამგვარი მოქცევის გამო ურბანს განრისხებულ და გაკერპებულ მამასთან (დედის სახე უფრო თბილი, ადამიანური ტონებით არის შექმნილი) გაჩერება აღარც შეეძლო. ამიტომ იგი ოჯახიდან წავიდა, ყოველგვარ მზა სიკეთეზე უარი განაცხადა და უსაყვარლეს კრისტინასთან ერთად დასახლდა ჯერ კიდევ აუთვისებელ და წყეულ ადგილად მიჩნეულ ვოლჩინდოლში.

დაიწყო თავგამოდებული ბრძოლა ბუნებასთან. გაჭირვებით, მეზობლების დახმარებით და საკუთარი მხრე-

ბით აშენდა სახლი, დაირგო ვაზი, გაიჩეხა ეკალ-ბარდები, გატყდა ყამირი, ღობით შემოირაგვა ეზო და სახლიდან ცოტ მოშორებით მდებარე ვენახი. ფრთებშესხმული ურბანი დღე და ღამე შრომობდა, საყვარელი მუელლე ერთგულად ედგა მხარში. ზოგჯერ მოსავალი კარგი იყო, ზოგჯერ ბუნების ჭირვეულობა სარჩოს უკარგავდა მათ და მთელ გლეხობას, მაგრამ ცხოვრება მაინც მიდიოდა, მიძღინარეობდა და თითქოს მომავალიც უკეთესი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბუნების მძვინვარებასთან ერთად ურბან გაბჯას ყველანაირად უშლიდა ხელს დაუძინებელი მტერი, სოფლის ბობოლა და გლეხობის სისხლის მწოველი სილვესტრ ბოლებრუხი.

ბოლებრუხს სმულდა ურბან გაბჯა, მასაც მოსწონდა ლამაზი კრისტინა, რომელმაც პატიოსანი და მამაცი ურბანი არჩია ცხოვრების თანამგზავრად. ამ ნიადაგზე წარმოშობილ სიმულვილს ემატებოდა ის გარემოება, რომ ძლიერი, გამბეჭდავი, ჭკვიანი ურბანი არ ეპუებოდა მდიდრებს, ცდილობდა გამოეშკარავებინა მათი უნდო ხასიათი, მათი ულმობელობა და სამართლიანობის დამკვიდრებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში ღარიბი გლეხობაც შემოეკრიბა.

ეს უთანასწორო შეტაკება არა-ერთხელ მთავრდებოდა ურბან გაბჯას განადგურების პირამდე მიყვანით, გლეხობის დარბევით. შრომისა და შენებისათვის დაბადებულ პატიოსან ურბანს

გზებს უღობავდნენ, აპატიმრებდნენ, ბოლოს კი ხუთი პატარა შვილის მარჩენალ მამას ჯარში უკრეს თავი, რათა იქ როგორმე დაღუპულიყო და მისი ლამაზი ცოლი ხელო ჩავარდნოდა კაცომობულე სილვესტრ ბოლებრუხს.

საოცარი ძალის შთაბეჭდილების მომზდენია რომანის ეს მოზრდილი მონაკვეთი. ქვეყნად ომი და შიმშილი მძვინვარებდა, მარტოდმარტო დარჩენილი კრისტინა შვილებს დედობასაც უწევდა და მამობასაც, შრომობდა, წვალობდა, კაპიკ კაპიკზე აწებებდა. ამგვარი გაჭირვების დროს ქონებაში ყელამდე ჩაფლულმა ბოლებრუხმა დახმარებისა და ადამიანური ხელის გაწვდენის სანაცვლოდ მისი ძალით დამორჩილება და ხასად გახდომა მოინდომა, მაგრამ კრისტინამ დაიცვა ქალის დირსება, ჯარისკაცი ქმრის სახელი. იგი ბოლომდე სიყვარულის ერთგული დარჩა. კრისტინას გაჭირვებას დიდი უბედურებაც დაერთო — მისი ორი ტყუპი შვილი სახადით მძიმედ დაავადმყოფდა. ღამით ბავშვები ძალზე ცუდად გახდნენ, ყველაზე უფროსი, მაგრამ ჯერ კიდევ პატარა, ათიოდე წლის მარეკი ბნელი დამით წავიდა ვოლჩინდოლის საქმაოდ შორი უბნიდან ექიმის მოსაყვანად. გაყინულმა, აკანკალებულმა ბიჭმა მოიყვანა ექიმი, მაგრამ ტყუპებს ვეღარაფერი უშველეს და ორი პატარა ბავშვი დაეღუპათ გაბჯების ოჯახს.

ამასობაში ომი დამთავრდა და მრავალტანჯული, გაბოროტებული

ურბან გაბჯა ოჯახს დაუბრუნდა, თუმცა ცხოვრება ოდნავადაც არ შეცვლილა უკეთესობისაკენ. სლოვაკეთის ბურჟუაზია ისევ დაუნდობლად ყვლეფდა ხალხს. მშრომელთათვის გათენება ჯერ კიდევ შორს იყო. გლეხობის ბრძოლაც არ ნელღებოდა.

ჯარგამოვლილი და დაბრძენებული ურბან გაბჯა სოფელ ვოლჩინდოლის მამასახლისი ხდება. იგი მთელი მონდომებით ცდილობდა როგორმე დახმარებოდა თანამომებებს, შეემსუბუქებინა მათვის მძიმე ცხოვრება. მას სურდა გლეხობა გაეერთიანებინა კოოპერატივში, ერთიან ძალად შეეკრა, მაგრამ კულაკები და ბობოლები მათ სიკეთის ყოველგვარ გზას უხშობდნენ.

ცხოვრება უმოწყალოდ ანგრევდა ურბანისა და კრისტინას ყველა იმედს. პატიოსანი, ნათელი ყოფისათვის მოწოდებული ადამიანები ისე წავიდნენ ამ ცხოვრებიდან, რომ ვერაფერი სასიკეთო ვერ იპოვეს. დასრულდა მათი პატიოსანი და მრავალტანჯული სიცოცხლე.

ცხოვრების რთული გზა გაბჯების მეორე თაობამ გააგრძელა. მარეპ გაბჯაც იბრძოდა თავისი ადგილის დამკვიდრებისათვის. იგი გრძნობდა, რომ მხოლოდ გლეხური შრომა აღარ იყო საკმარისი ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის და სწავლას ეწაფებოდა. ბოლოს კი სილვესტრ ბოლებრუხის მშვენიერი ლუციკაც შეირთო ცოლად და მასთან ერთად შეუდგა ახალ ცხ-

ოვრებას, რასაც ფრანტიშეკ გეჩკო აღარ აღწერს. მკითხველს კი ღრმად სჯერა, რომ ეს ახალი ცხოვრება მარეკის წინა თაობის დუხშირ ყოფაზე გაცილებით უკეთესი და ადამიანური იქნება.

ფრანტიშეკ გეჩკომ რომანით „წითელი ღვინო“ შექმნა დიდი სოციალური ჟღერადობის ნაწილოები. ის აღიარებული იქნა XX საუკუნის პირველი ათწლეულების სლოვაკეთის მევენახეობისა და ღვინის მწარმოებლების მძიმე ცხოვრების ჭეშმარიტ მხატვრულ მატიანედ.

სლოვაკეთის კრიტიკული აზრის ერთსულოვანი მტკიცებით, „წითელი ღვინო“ არის უმდიდრესი და თვითმყოფადი „სლოვაკური ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო რომანი“. ამ ფართო განზოგადებით შექმნილ ნაწარმოებს განვლილი დროის მანძილზე ოდნავადაც არ დაუკარგავს ღირებულება და წლების შემდეგაც ითვლება თანამედროვე სლოვაკეთში რომანის განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობად.

კრიტიკოს კაროლ ტომიშის აზრით, „წითელი ღვინო“ არის „დიდი მხატვრული ძალისა და ღრმა ესთეტიკური შთაბეჭდილების ნაწარმოები“, იგი დღემდის რჩება მიუწვდომელ დონედ შეცნობის ფართო და მრავალპლანოვანი ეპიკური სტრუქტურით. სლოვაკეთის მევენაზე და ღვინის მწარმოებელმა სოფელმა ამ რომანით ხოტბა და დიდება ჰქონდა.

აქ მოცემულია სასიათებისა და

სახეების ფართო, დამაჯერებელი, შთამა-გონებელი გალერეა, რაც ნაწარმოებს ენციკლოპედიურ მნიშვნელობას სძენს.

რომან „წითელი ღვინოს“ ამშვენებს დაძაბული, მოშხიბლავი და ტრაგიკული სიუჟეტი სავსე დრამატული სიტუაციებით, რითაც ტიპიური სლოვაკი გლეხი ამზეურებს თავისი ხასიათის ყველა თვისებას. კრიტიკონი ა.მატუშკა, გამოხატავდა რა საერთო აზრს, წერდა, რომ „რომანი „წითელი ღვინო“ იყო ფრანტიშეკ გეჩკოს უდიდესი იდეა, უმთავრესი ნაწარმოები, ურომლისოდაც სლოვაკური ლიტერატურა ძალზე ბევრს დაკარგავდა თავისი ნაცოლნალური არსის გამოხატვის თვალსაზრისით“.

გამოჩენილი სლოვაკი მწერლის ვმხნაჩის აზრით, „წითელი ღვინო“ არის ახალი ლიტერატურისა და კლასიკური სლოვაკური რეალიზმის შემაკავშირებელი ხიდი. თანაც გეჩკომ ეს რეალიზმი კიდევ უფრო აამაღლა და განავთარა.“

დიდი სლოვაკი მწერლის ფრან-

ტიშეკ გეჩკოს შესანიშნავი რომანის „წითელი ღვინოს“ ქართულ ენაზე თარგმნით, რაც მთავარია, სათანადო დონეზე გამოცემით, ქართველი და სლოვაკი ხალხების მეგობრობისა და ლიტერატურული ურთერთობების კიდევ ერთი თვალსაჩინო ფურცელი გადაიშლება.

როგორც აღნიშნეთ, რომანის გამოცემის თაობაზე საქართველოსა და სლოვაკეთს შორის კანონის ძალის მქონე ოფიციალური ხელშეკრულება იყო გაფორმებილი, თუმცა ნგრევისა და არეულობის წლებში მისი გამოცემა ვეღარ მოხერხდა. თუკი გამოჩნდება ვინმე კეთილშობილი პიროვნება, ვინც დააფინანსებს მეტად მნიშვნელოვან წიგნს, ღრმად ვართ დარწმუნებულები, რომ მეგობარი სლოვაკეთის დიდი მწერლის ფრანტიშეკ გეჩკოს სლოვაკი ხალხისათვის ნაციონალურ სიმაყდე ქცეული რომანი ქართველი მკითხველის დაინტერესებასა და მოწონებას დაიმსახურებს.

„მხოლოდ სიყვარული გადაგვარჩენს“

ვინმეს თუ პგონია ჟურნალისტების ცხოვრებაში ნაკლებ საიტერესო კურიოზები ხდება, ვინებ გამოჩენილი ან რიგითი მოქალაქის ცხოვრებაში, ძალიან ცდება, თანაც თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენ, ჟურნალისტები, სწორედ ის ხალხი ვართ, რომლებიც ბევრს წერენ და უდროობის გამო ცოტას კითხულობენ. ეს ნათლად ეტყობა პრესას და საერთოდ, ჩვენს საინფორმაციო საშუალებებს.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: დიდი ხნით ადრე, როცა ქვეყნა სხვაზე დამოკიდებული ცხოვრებით ცხოვრობდა, დაახლოებით ოცდაორი წლის წინ მივლინებული ვიყავი ბიჭვინთაში ჟურნალისტთა და კინემატოგრაფისტთა საერთაშორისო სემინარში მონაწილეობის მისაღებად. დეკემბრის მოღუშული დღე იდგა, ცივად ცრიდა კიდეც-არ ვიცი რატომ, მაგრამ სამგზავროდ უამრავი ბარგი-ბარსანა დამიგროვდა. გამგზავრება კი გურიის ერთ-ერთი სოფლიდნ მომიხდა. ის იყო, რის ვაივაგლახით გაჩერებამდე უნდა მიმეღწია, რომ ნანატორი ოქროს თევზივით, ჩემს წინ ცისფერი ჟიგული გაჩერდა. ასეთი ფერის მანქანა სოფელში მხოლოდ ერთადერთ იქაურს, ყოვლად უხეირო კაცს ჰყავდა. როგორ მოხდა ბარგით დატვირთულ ქალს მაგ უვარ-

გისმა მანქანა რომ გამიჩერა, საკვირველია და დაუჯერებელი პირდაპირ. მხოლოდ ეს კი გავიფიქრე და ჩემს ბარგთან ერთად, ისე რომ მძღოლისათვის არც კი შემთხვედავს, დიდი ზარ-ზეიმით „ჩავიპრესე“ მანქანაში. ბარგი კი, რა თქმა უნდა, ამჯერად გურულისათვის არადამახასიათებელი სიდინჯით ჩავაწყე. როცა დაღლილი სავარძელს მივეყრდენი, „აბა, დავიძარით“ – განკარგულება გავეცი და უეცრად სახტად დავრჩი. რაღა დაგიმალოთ და გულმა ბაგაბუგიც კი დამიწყო. სარკიდან უხეირო თანასოფლელის ნაცვლად უცნობი სიმპათიური მამაკაცი მიღიმოდა.

– საით გავწიოთ? – მკითხა თბილისური კილოთი. მისმა იუმორით სავსე კეთილმა მზერამ უცებ დამამშვიდა.

მანქანა დაიძრა და უცნობი მამაკაცი ყველა წვილმანს დაწვრილებით მემიებოდა.

– კეთილი, რახან შორ მანძილზე მიემგზავრებით, გნებავთ სამტრედის ვაგზალზე მიგიყვანთ, ან იქნებ ქუთაისის აეროპორტი გირჩევნიათ. აირჩიეთ.

– ვინ ბრძანდებით ასეთი თავაზიანი? – დავეკითხე ქალური ცნობისმოყვარეობით, – დღეს, ხშირ შემთხვევაში, საკუთარი ბიძაშვილებიც არ

აჩერებენ მანქანებს.

— ცუდი ბიძაშვილები გყოლიათ. მე გახლავართ მწერალი ნუგზარ წერეთლი.

— ვინ? — უკვე გაოცება შემე პარა, ალბათ დამცინის-მეთქი.

— როგორ, უურნალისტს მწერალი ნუგზარ წერეთელი არ გაგიგიათ?

— ფარული ირონია ახლა შესამჩნევი გახდა, — ეს მამაკაცი კი ჩემს გეგრდით რომ ზის, „ცისფერი ტრიოს“ ერთი მომღერლის მამაა.

მთელი გზა სამტრედიამდე ისე განვლეთ, რომ იმ მამაკაცს ხმა საერთოდ არ გაუდია, განსხვავებით პიროვნებისაგან, რომელიც მწერალ ნუგზარ წერეთელის სახელით გამეცნო. იგი საკმაოდ ენაწყლიანი, მხიარული მოსაუბრე გამოდგა და გზა საუბარში გავლიერ, როგორ მივედით სამტრედიის ვაგზლამდე, არც გამიგია. ბარგი სადგურში შემატანინა და გამოშვიდობებისას მხოლოდ ერთი ფრაზა დამიგდო, ისევ ისეთი აშკარა იუმორით აღსავსე: „ლექსებს ნაკლებად მიბეჭდავენ და კარგი იქნება ჩოხატაურის გაზეთში თუ მომიხერხებთ რამესო“. ეს იყო და ეს, მეტი აღარც შემხვედრია, თუმცა მე მაშინ არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ის კაცი ნამდვილად ნუგზარ წერეთელი იყო თუ არა. ამას მივხვდი მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ, როცა ნამდვილ ნუგზარ წერეთელს შევხვდი და დღესაც არ ვიცი, „რას მერჩოდა“ ის კაცი, ან რაში დასჭირდა ასეთი „ოხუნჯობა“, მაგრამ მე მისი

დიდად მადლობელი გახლავართ, რადგან ამის შემდეგ კიდევ ერთხელ დიდი ინტერესით გავეცანი ბატონი ნუგზარის შემოქმედებას და დიდად ნასიამოვნებიც დავრჩი. არაფერი რომ არ დაეწერა, მარტო ის რად ღირს, მწერალ გურამ რჩეულიშვილის ხსოვნას მონოგრაფია რომ მიუძღვნა: „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“, ესოდენ ძალზე საინტერესო მხატვრულ-პუბლიცისტური ნაწარმოები.

ხოლო რაც შეეხება იმ ფსევდო „წერეთელს“, თუ იგი დღესაც ცოცხალია, ქვეყანაში ყოფილ არეულობას გადაურჩა და შემთხვევით ეს ინტერვიუც ხელში ჩაუგარდება, ყველაფერი, რა თქმა უნდა, გაახსენდება. მე კი უურნალის საშუალებით მადლიერებით მივესალმები „უცნობ ნაცნობს“.

ასე საინტერესოდ შემოვიდა ნუგზარ წერეთელი ჩემში და ასე საინტერესოდ გაიხმიანა მისმა სახელმა ჩემს პიროვნებაში, თუმცა, რა თქმა უნდა, მის შემოქმედებას, ასობით ქართველი მკითხველის მსგავსად, მეც დიდი ხნით ადრე ვიცნობდი.

ყოველივე ამის შემდეგ, სიმართლე გითხრათ, გამიჩნდა სურვილი მომებებნა და ინტერვიუ ამეღო მისგან, მაგრამ ვერა და ვერ იქნა, ამ სურვილის შესრულებას თავი ძლივს მოვაბი.

ძალიან გავწვალდი და ტელეფონის ნომრისათვის 09-ს მივმართე, მათ კი რაღაც ნომერი მომცეს. ამჟერად ბედმა გამიღიმა. ნომერი „საზოგადოე-

ბა ცოდნის“ საორგანიზაციო-საინფორმაციო განყოფილების გამგეს ბატონ ავთანდილ ხოდის ეტუთვნოდა, რომელ-მაც კარგად „დამაკვალიანა“ და სურვილიც ამისრულდა.

მეორე დღესვე ბატონ ნუგზარ წერეთლის კაბინეტში გახლდით.

თავადურმა დალოცვილმა სისხლმა თავისი პქმნა და ბატონმა ნუგზარმა წერეთლებისათვის დამახასიათებელი დიდებული სტუმართმოყვარეობითა და სიყვარულით მიმიღო,

ახლა დროა ჩემს შთაბეჭდილებებს დავუბრუნდე და ორიოდე სიტყვით მაინც გადმოვცე ჩემი მყისიერად აღბეჭდილი შეხედულება მისი პიროვნების შესახებ.

ბატონი ნუგზარ წერეთელი არა-ჩვეულებრივი კაცია, ანუ მართლაც არაჩვეულებრივი ადამიანია. გაიცანით და ამაში ჩემზე უკეთ დარწმუნდებით. თუმორით, სიკეთით, სიცოცხლით სავსეა და, რაც ყველაზე მთავარია, რაც ყველაზე მეტად გვინდა ან რაც ყველაზე ძნელად იშოვება და მართალ ადამიან-თა შორის ფასობს : იგი სიყვარულით დაჯილდოებული კაცია, კაცი, რომლის სულზეც თავისი ლამაზი და ერთობ საინტერესო შემოქმედების გარდა ამოტვიფრულია ყოველივე პროგრესული და მშვენიერი, რომელთა შორისაც შეუძლებელია არ აღინიშნოს ვან-გოგისეული ნათქვამი: „რაც უფრო დიდი დრო გადის, მით უფრო მეტად ვრწმუნდები, ყველაზე დიდი სილამაზე, ყველაზე დიდი ხელოვნება ადამიანთა

სიყვარულია“.

კითხვას ტრადიცული წესით ვიწყებთ:

— როგორ აფასებთ ქვეყანაში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ კითარებას?

— საქართველოში დღევანდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, სამწუხაროდ, რთულია და საკმაოდ აწეწილ-დაწეწილი, მიზეზები, რამაც ქვეყანა ჯერ ვერ დაალაგა, ვერ გაამოლიანა, ბევრია, ყველაფერზე ერთბაშად ვერ ისაუბრებ, თუმცა შევეცდები ორიოდ სიტყვით ზოგიერთ საკვანძო მომენტს შევეხო, ჩვენ ისე უცებ გავიარეთ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციები, რომ ძნელი იყო 80-წლიანი მონიბა-განვლილი ხალხისათვის ახლებურ ყაიდაზე ცხოვრება, დემოკრატიის სიკეთების გათავისება. ადვილი როდი აღმოჩნდა ცვლილებებთან შეგუება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

მე ბუნებით ოპტიმისტი კაცი ვარ. მჯერა, როგორც მაჭარი დაღვინდება, ეს არებული პერიოდიც გაივლის, დაიწრიტება და ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება. ბევრ უსამართლობას ვისმენთ დღეს, შეური და ჭორი ჩვენი ცხოვრების თანამგზავრად იქცა, ბევრი ილანძღება, იკბინება. აცხადებენ, რომ არ არის სიტყვის თავისუფლება, დემოკრატია ჩვენს ქვეყანაში, ეს კი ნამდვილად ტყუილია. კარგად ვხედავთ თუნდაც წინა პლანზე როგორ წამოვიდა მასმედია. რა აკლიათ გულს, რას

მიესწრაფვიან ცოტა არ იყოს, გაუგებარია. რასაც გინდა იმას წერენ, როგორც უნდათ, ისე აშუქებენ მოვლენებს, ხანდახან უადგილო ლანძღვასაც არ იკლებენ. ეს ყოველივე სამწუხაროდ, თან ახლავს ქვეყნის სამოქალაქო მშენებლობას, მაგრამ უთუოდ გამოინათებს, ხალხი არ დაუშვებს, ვერაფრით შეეგუება იმას, რომ ყველაფერი ასე დაუსრულებლად გაგრძელდეს. დავიღალეთ, ყველაზე მეტად გვჭირდება სიმართლე, სიმშვიდე, სიყვარული.

გავიხსეოთ ძევლი თბილისი, ვიკრიბებოდით, ვვოცნებობდით, ვვიყვარდა, მოყვასს ვეფერებოდით, ერთგულები ვიყავთ. როგორ გამოიცვალა, გაცივდა ეს ვითარება. ყველამ უნდა ჩავჭიდოთ ხელი ერთმანეთს, ჩვენი განცდები და გულები შევაერთოთ. დამნაშვერა, ვინც კიდევ აცხადებს: ეს „შევარდნაძისტია, ის ზვიადისტი, ის სააკაშვილისტი. ცხოვრება ითხოვს ერთად ვიყოთ, ვიფიქროთ ერთად, მოვუაროთ მამა-პაპათა დანატოვარს ერთად და ერთად გადავარჩონოთ საქართველო. თანაც დღეს, როცა დიდი თუ პატარა მეზობლების მხრიდან გააფთრებული ბრძოლა მიდის საქართველოს სახელმწიფოებრიობის, დემოკრატიისა და აყვავების წინააღმდეგ.“

ყველა ვერ გაიქცევა საზღვარგარეთ, არც ევროპა და არც ამერიკა არ არის ჩვენი სმშობლო და ბუნებრივია, ვერც იქნება. მართალია, ეკონომიკურ-მა ვითარებამ, დროებით წაიყვანა ბევრი ქართველი საზღვარგარეთ, მაგრამ

ჩვენ ხომ კარგად ვიცით, ჩასულთა უფლებები როგორია სხვა ქვეყნის კარზე, იქ არასოდეს ექნებათ ის პრივილეგიები, რაც მათ თბილისში ეკუთვნით. ჩემს თბილისში, ჩემს საქართველოში მე სიყვარულის უფლება მაქვს, მეგობრობით ძლიერი ვარ, რადგან საკუთარ მამულში ვცხოვრობ.

მთვარია ერთმანეთი და ერთად დგომა გვიყვარდეს, როგორც უწინ გვიყვარდა ერთმანეთი და ერთად ვაკეთებდეთ ეროვნულ საქმეს, არ ვიყოთ დაყოფილნი, თუნდაც ამდენ პარტიებად. ეს არანორმალური ვითარებაა. მაგალითისათვის შეიძლება ინგლისი და-ვასახლოთ. ამხლა ქვეყნაში შხოლოდ სამი-ოთხი წამყვანი პარტიაა. იქნებ ესეც ჩვენი ამბიციურობის ბრალია. უნდა გადავლახოთ ეს რთული პერიოდი და მხარში ამოვუდგეთ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს, საბოლოოდ გავხდეთ ევროპელები. მინდა აქვე ორიოდ სიტყვით კვლავაც პრესას შევეხო, როგორც თავად უურნალისტი. ქვეყანაში ამდენი ოპოზიციურ-პოზიციური გაზეთი დიდად სასიკეთო როლს ნამდვილად ვერ თამაშობს. მოვა ის დროც, როცა ე.წ. ბულვარული ყვითელი პრესა ფესვებს ღრმად ვეღარ გაიდგამს, ფასი დაედება სოლიდურ, გაწონასწორებულ პრესას.

— **მინდა გვითხოთ, ამჟამინდელი კავშირი „ცოდნა“, რომელიც ადრულ პერიოდში შეიქმნა, მიზნად ისახავდა განათლების შეტანას აღამიანებში, რაც სჭირდე-**

ბოდა სახელმწიფოს. დღეს, როცა ასე საჭიროა ნაღნისათვის თქვენი ორგანიზაციის კეთილშობილური მოღვაწეობა, რა ფუნქციები ეკისრება თქვენს კავშირს, აქეე მინდა დავსძინო, რომ თქვენი პიროვნული ავტორიტეტი ორგანიზაციას მუშაობაში ხელისშემშლელ პირობებს უთუოდ მოუხსნის.

— „საზოგადოება ცოდნას“ უკვე თხუთმეტი წელიწადია, რაც ეწოდა საქართველოს იღია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამუნიცირო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი. ეს მოხდა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და ამოცანების შესაბამისად.

ხშირად გვეკითხებიან რამ გადაგვარჩინა? — იმან, რომ ჩვენს სულიერ ფასეულობებს, ეროვნულ ღირებულებებს დაარსებიდანვე დიდი ყურადღება ექცეოდა, არ მივდიოდით მხოლოდ ძველი დროის სულისკვეთებით, ვეხმაურებოდით და ძალიან საინტერესოდაც ქართულ ღირებულებებს, მართულ ეკონომიკას, ისტორიას, სულიერებას, მარადიულ ღირებულებებს. მართლაც, იყო ისეთი მარადიული თემები, რომელთაც ვერასოდეს ვერავითარი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია ვერ შეცვლის, ამიტომ ჩვენს პროფესორ-მასწავლებლებს ახალ ნიადაგზე გადასვლა არ გასჭირებიათ. სახელმწიფო ადრე გვეხმარებოდა, ახლა ეს ვეღარ ხერხდება, თუმცა რეალური თავისუფლებისა და ხელის შეწყობის პირობებში შეძლებისდაგვარად ვმუშაობთ,

ეროვნული სულისკვეთებით ვეწევით ლექციურ, სანფორმაციო, საგამმანათლებლო, ახსნა-განმარტებით მუშაობას მოსახლეობაში, რაოდენობას აღარ ვართ გამოდევნებულები, უფრო მეტად ხარისხზე ვფიქრობთ. ამასთან ერთად ბევრი საინტერესო წიგნიც დავბეჭდეთ, რომელთა შორის აღსანიშნავია: „საერთაშორისო ბიზნესი“, „საქართველოს კონსტიტუცია და კანონი პოლიციის შესახებ“, „დემოკრატიის ცნება და მოდელები“, „მაკროეკონომიკის შესავალი“, პოლიტოლოგიის რამდენიმე სახელმძღვანელო, „საბაჟო საქმე“, „თუშეთი“, არა ერთი და ორი მხატვრული ღირებულებურის ნაწარმოებები და სხვა, რაც მოითხოვა ჩვენმა დღევანდელმა ცხოვრებამ. პირადად მე დავბეჭდე გურამ რჩეულიშვილზე წიგნი, ლექსების ერთტომეული, ნარკვევების კრებული, ორი რომანი.

ჩვენთან თანამშრომლობები განათლებული ადამიანები, ვისაც შეუძლია ასწავლოს ეროვნული სულისკვეთებით, ვისაც გულწრფელად უყვარს თავისი სამშობლო. წელიწადში 4-5 ათასი ლექცია იკითხება როგორც ფასიანი, ასევე უფასო — მოსახლეობის დახმარების, ინფორმირებისა და ხელის შეწყობის მიზნით. „საზოგადოება ცოდნის“ ერთ-ერთი დანიშნულება არის სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობა და ამ მხრივ მოღვაწეობაც გრძელდება. რაც შეეხება „ჩემს“ ავტორიტეტს, ვიტყოდი, რომ „ჩემს“ მარტო არა, ჩვენ ერთად ვშრომობთ, ვსაქმიანობთ, ვიღ-

წვით, ჩვენს გვერდით არიან არა მხოლოდ მეცნიერები, ლექტორები, მწერლები, არამედ სხვა საინტერესო პროფესიის ადამიანებიც.

— თქვენ ძალზე საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლეთ, განათლებული საზოგადოება კარგად გიცნობთ, გაფასებთ. ამ ურთულეს გზაზე კვლავ რა შემოქმედებითი სიახლეები გველოდება?

— წელან მოგახსენეთ, ბუნებით ოპტიმისტი ვარ-მეთქი. მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარი გაჭირვება გამოვიარე: მე არასოდეს დამავიწყდება ის ტანჯვა, რაც 200 გრამი ტალახივთ შავი პურისათვის მიმიღია, არც ნავთის გაუთავებელი რიგები მავიწყდება, მაგრამ ყოველვე ამას შემოქმედებითი საქმიანობისათვის ხელი არ შეუშლია. 35 წიგნზე მეტი გამოვცი, ბევრია მათ შორის უცხოური ლიტერატურიდან ნათარგმნი. ცოტა ხნის წინ ლექსების კრებული გამოვეცი, რომელსაც „შესანდობარი“ ჰქვია. ამით კიდევ ერთი ხარკი გადავუხადე არა მხოლოდ ნაცნობ-მეგობრებს, არამედ მათაც, ვისაც პირადად თუმცა არ ვიცნობდი, მაგრამ თავიანთი ღრმა სულიერებით წარუშლელი კვალი აღბეჭდეს ჩემში.

გამოვეცი იაპონური ტანკას მსაგავსი 5 პწყარიანი ლექსების კრებული, რაც, აღბათ, ჩინურ-იაპონური პოეზიის გავლენით შევქმნი. ჩემი აზრით, საინტერესო კრებულია. როგორც ვთქვი, გამოვეცი ორი რომანი „სიკვდილი ღცდაათ ლარად“, „ღაუსრულებელი ზამ-

თარი“, აგრეთვე ლექსების კრებული „უიმედობის და იმედის გზაჯვარედინზე“. ამ ბოლო პერიოდში გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებების სრული კრებულის გამოცემით ვარ დაკავებული, გურამის დის, მარინე რჩეულიშვილი-ფალავანდიშვილის დაუდალავი შრომით მომზადდა ხუთ ან ექვსტომეულის აკადემიური გამოცემა. ფართო საზოგადოება გურამს მხოლოდ რამდენიმე წიგნით იცნობდა, ახლა კი მათ საშუალება ექნებათ წაიკითხონ ტომეულები, უფრო ახლოს გაეცნონ მის თვითმყოფად შემოქმედებას. ჯერ მარტო გურამის დღიურები რად ღირს, მხატვრული პროზის უმაღლეს დონეზე რომ არის დაწერილი, ამასთან ერთად, ლექსები, პიესები, ეს ყველაფერი ერთად დიდი ეროვნული საჩუქარი იქნება ჩვენი მკითხველებისათვის.

ეს საშური საქმე ითავა და დააფინანსა მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილმა შემოქმედმა, დიდმა ქართველმა მხატვარმა, რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა ზურაბ წერეთელმა. იგი გურამის ახალგაზრდობის მეგობარიც გახსნდათ. ზურაბი ისეთივე დიდი მეცნატია, როგორი ბუმბერაზი მხატვარ-მოწუმენტალისტიცაა. ის არაჩეულებვი ადამიანია, სიკეთითა და კეთილშობილები სავსე, მისი მსგავსი არც შემზედრია ჩემი ცხოვრების გზაზე. კარგად მახსოვს, რამდენიმე წლის წინათ გურამ რჩეულიშვილის ტომეულების გამოსაცემად საქართველოში არავინ გამოჩნდა არცთუ ისე მნიშ-

ვნელოვანი თანხის გამღები, თვით გურა-
მის ახლობლებს შორისაც კი. როცა
ზურაბს დავურეკე მოსკოვში და ვუთხ-
არი ჩანაფიქრის შესახებ, მან მოკლე
და ყველაფრის დამტევი ფრაზით მი-
ჰასუხა „ჩვენი რჩეულასთვის ყვე-
ლაფერი უნდა გავაკეთოთ“ და გააკე-
თა კიდეც.

ეს ფაქტი ერთი წევთია ზურაბის
ოკეანის ტოლ საქმიანობაში, თუმცა
აქაც და ყველა საქმეშიც ნათლად გა-
მოსჭვივის მისი მაღალი ბუნება და
განუმეორებელი კაცურკაცობა.

— **შემოქმედებითი ინტელიგენ-
ციის თვალი მახვილია, რა თქმა
უნდა, ვინც განზრახ არ დაიბრმა-
ვებს თვალებს. დღეს, როცა ქვეყ-
ანა ჩინიდან გამოდის, როგორ
ფიქრობთ, როგორი „შემოქმედე-
ბითი“ ინიციატივა უნდა გამოვიჩი-
ნოთ?**

— მთავარი ინიციატივა ერთმანე-
თის გაგება და დაახლოებაა. ეს ყვე-
ლაფერზე მეტად გვჭირდება. სანამ არ
მოხდება სიყვარულის ჭეშმარიტი ზე-
იმი, რომელშიც თითოეული ადამიანი
მიიღებს მონაწილეობას, სანამ არ
მოხდება ხალხისა და ქვეყნის გამთლი-
ანება, უნდა ვიცოდეთ, რომ არაფერი
გამოვა. ერთიანობა და სიმტკიცეა ჩვენ-
თვის აუცილებელი, მით უმეტეს დღეს,
როდესაც ვებერთელა რუსეთმა ეკონო-
მიკური ბლოკადისა და ცივი ომის
ტოტალიტარული მიმართულებები აირ-
ჩია, ეს მათთვისვე ბევრად უარესია.

უნდა შევიგრძნოთ თითოეულმა

ქართველმა, რომ დაქსაქსულობა და
შუღლი დაღუპავს ჩვენს ქვეყნას. ნუ
ვუყურებთ სხვა ქვეყნებს: რუსეთი დიდ-
ია, თუ დაიშლება, ბევრი ქვეყანა დარ-
ჩება. ასევე შეიძლება ვთქვათ თუნდ
შეერთებულ შტატებზეც, ჩვენ კი ისე-
დაც ტერიტორიულად პატარა და
მცირერიცხოვან ერს რა გადაგვარჩე-
ნს?! მხოლოდ ერთიანობა, ერთ მუშ-
ტად შეკვრა, სიყვარულის უზენაესობა.
ამით თუ მოხდება ჩვენი აღორმინება
და წინსვლა.

**— საინტერესოა თქვენი აზრი
მინისტრთა კაბინეტის შექმნასთან
დაკავშირებით.**

— მე მწერალი და უურნალისტი
გახლავართ, მაინცდამაინც არ მიყვარს
მთვრობასა და პოლიტიკაზე საუბარი,
მაგრამ მჯერა, რომ ამ ეტაპზე ქვეყნის
შველა მოითხოვდა ერთიანი გუნდის
ჩამოყალიბებას, რადგან მაშინ პასუხის-
მგებლობას ვერავინ აიცილებდა, საერ-
თო საქმე კი მეტი მონდომებით გა-
კეთდებოდა, რასაც რეალურად ვხედავთ
დ ვგრძნობთ.

უურნალისტებზე მკითხეთ და
ბევრიც ვილაპარაკეთ, მით უმეტეს, რომ
მე თავად მწერალი და უურნალისტი
ვარ. ამ საპასუხისმგებლო საქმეში, ისევე
როგორც მწერლობაში, საჭიროა პა-
ტიონსება, გულისხმიერება, კვლავ სიყ-
ვარული და სიფრთხილე. ერთ პატ-
არა მაგალითს გავიხსენებ. ჯერ კიდევ
შორეულ 1972 წელს მივიღე ბინა,
რომელშიც ამჟამადაც ვცხოვრობ. ერ-
თხელ მოდის უურნალისტი გოგონა

ინტერვიუს ასაღებად და მეკითხება: საცხოვრებელი ბინა როგორ იყიდეთ, ამდენი ფული სად გქონდათო. ამ დროს ბინის მისაღებად ერთი თეროიც არ გადამიხდია, იმ დროში ასე იყო, რაც უპევ აღარ ხდება. უურნალისტს კი ამგვარი რამის არ სჯერა და ურჩევნია დაწეროს წერეთელს ორასიათასლარიანი ბინა აქვსო. ბევრის აზრით სიცრუე უფრო მომგებიანია, მაგრამ ხომ გახსოვთ ანდაზა: „ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“.

მინდა ვთქვა, რომ სანამ არ მოისპობა ჩასაფრება, შუღლი, გაუტანლობა, მანამ ვერ გავიმარჯვებთ. კვლავ და კვალავ გავიმეორებ — ჩვენ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, მხოლოდ სიყვარული გადაგვარჩენს. ადამიანს მუდმივად უნდა უყვარდეს, უსიყვარულოდ ერთი დღეც კი არ უნდა იცხოვროს.

— უკვე ითქვა, ოღონდ ტომეულების შესახებ და მაინც მინდა გვითხოთ, თქვენ იყავით დიდი ქართველი მწერლის გურამ რჩეულიშვილის უახლოესი ძეგობარი. თქვენი მხატვრულ-პუბლიცისტური ნაწარმოები „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“ ძალზე ძირფასია მათვის, ვისაც უყვარს მწერლის შემოქმედება, ის დღესაც დიდი ინტერესითა და სიყვარულით იკითხება. როგორ ფიქრობთ, გურამ რჩეულიშვილი ცოცხალი რომ ყოფილიყო, სად იქნებოდა, სად დადგებოდა და რამდენად მისაღები იქნებოდა მისთვის ის არსე-

ბული ვითარება, რომელიც სუფე- ვს ქვეყანაში.

— როგორი კითხვაა, ცოტა ტრა- ფარეტულიც. გურამ რჩეულშვლი დიდი პატრიოტი გახლდათ თავისი ქვეყნისა. დარწმუნებული ვარ არ იქნებოდა ზოგიერთებივით აქეთ-იქეთ მარბენალი. ის იქნებოდა ქვეყნის ცენტრში, როგორც ერის გამაერთიანებული, ორივე მხარეს ხომ მხოლოდ ქართველები, ჩვენი ძმე- ბი და ახლობლები დგანან.

გურამი იყო სამაგალიოო ქართვე- ლი ვაუკაცი, გასაოცარი შემკრები სა- ზოგადოებრიობისა. ვის არ ნახავდით მის საზოგადოებაში: მწერალს, ექიმს, მხატვარს, კომპოზიტორს, ქურდს თუ მოჩხუბარს. ის მოჩხუბარიც და ის ქურდიც საოცრად კარგი ხდებოდა მასთან ძმაკაცური ურთიერთობის შემ- დეგ. მან რამდენიმე კრიმინალიც კი გამოასწორა. დიდი ბიჭი იყო და იმი- ტომ. ის იქნებოდა ნამდვილი გამაერ- თიანებელი ქართველი ერისა. გახსოვთ, ალბათ, მისი ნაწარმოებიდან — ალა- ვერდზე რომ ავიდა და ხალხს გად- მოსძახა, ასევე გადმოსძახებდა და გააერთიანებდა შუღლისა და კონფრონ- ტაციისათვის დაგეშილ ქართველებს. წორედ ამგვარი დიდებული თვისებების გამო დიდად აფასებდნენ და მას- თან მეგობრობდნენ ზვიად გამსახურ- დია და მერაბ კოსტავა. მათ უბრწყინ- ვალესი წერილებიც დაუტოვეს ქართვ- ელ ხალხს დიდი მწერლის შესახებ.

— თქვენი ვაჟი, ბატონი გიგი წერეთელი მმართველ წრეში გა-

მორჩეული პოლიტიკოსი გახდავთ. როგორც მამა, რამდენად კმაყოფილი ბრძანდებით მისი მოღვაწეობით ამ ურთულეს სფეროში?

— ჩემი ვაჟიშვილი პროფესიით ექიმი და იურისტია. მისი პოლიტიკური მოსვლა თავისთვის ბუნებრივად მოხდა. 1992-1993 წლებში ძალიან

დიდი გაჭირვება სუზენდა ქვეყანაში. გაუთავებელმა პურის რიგებმა, დაპირისპირებამ, არეულობამ გამოიწვია მისი ბიზნესში ჩართვა, შეძლებ კი სრულიად ბუნებრივად პოლიტიკური კურსის აღება. გიგი ძალზე მობილიზებული პოლიტიკოსია, განათლებული, უცხო ენებიც იცის, რაც მთავრია, ძალზე უფვარს კითხვა. როგორც მამა, მყაცრად ვზრდიდი, ცელქი იყო და იმიტომ. ყველა ცელქი კი მეტწილად ნიჭიერია. მისმა დიდმა განათლებამ და სურვილმა იმისა, რომ ქვეყნისათვის ხელშესახები საქმე გაეკეთებინა, პოლიტიკაში მოიყვანა. ახლა სწორედ პოლიტიკოსების დროა. ჩემს დროს კი მწერლებისა და პოეტების დრო იყო. გიგი თვალსაჩინო პოლიტიკოსია, არის ჩამოყალიბებული პიროვნება, ერთგული, უდალატო, გაწონასწორებული, კაცური, მიმტევებელი.

სახლში შეადამით რომ მოვიდეს, მაინც კითხულობს და კითხულობს. სხვანაირად ვერ გაიზრდები კაცი. მამაც და შვილიც შეაღამემდე ვმუშაობთ — „ქვეყნად ყველას აქვს დღე დასვენების, პოეტის გარდა“, როგორც ამბობდა

დიდი გალაკტიონი. ოღონდ ახლა თუ მოგანდენთ პერიფრაზირებას, პოლიტიკოსი უნდა ჩავწეროთ.

— თქვენი ოპტიმიზმის შესახებ ბრძანებდით, იმედი გაქვთ რომ ხვალ საქართველო უთულ უკეთესი იქნება. რა გარანტიებით პასუხობთ ამ როგორ და დაშტამპულ კითხვას?

— ჩემს ოპტიმიზმს რწმენას მატებს ის, რომ საქართველო ბევრჯერ უარესი მდგომარეობიდან გამოსულა. როც ბოლშევიკური ჩექმით გასათელად მე-11 არმია შემოვიდა, საქართველომ არ დაკარგა საკუთარი იერსახე. შეძლებულიც ყველა უმძიმეს წინებს გაუძლო. განა ეს ცოტაა? გავიხსნოთ რა ბედი ეწია იმპერიაში შემავალ სხვა ხალხებს. თუნდაც ყაზახების მაგალითი ავიღოთ: ყაზახების 75% გარუსდა, არც უზბეკებს ან მოლდავებს დადგომიათ კარგი დღე. ჩვენ ძლიერი ერი ვართ, გავუძელით მონდოლებს, სპარსელებს, არაბებს, ოსმალებს, რუსებს, ლეკებს, გადავრჩით. ასე რომ, ძალზე ბევრი ძნელი პერიოდი შექმნილა ჩვენი ქვეყნის არსებობის ისტორიაში, მაგრამ ერთიანობით, თავდადებითა და ბრძოლით გადაგვილახავს. დღეს ქართველი ხალხის უდიდეს ნაწილს იმედი აქვს ახალგაზრდა, მომზადებული, გაბედული ხელისუფლების, სჯერა ყოველგვარ გაჭირვებიდან ისინი გამოგვიყვანენ, საქართველო მოწინავე დემოკრატიულ ქვეყნად იქცევა.

— კითხვა, რომელიც მსურდა დამესვა და ვერ დაგისვით. ეს ალბათ სახუმარო კითხვა უნდა ყოფილიყო. ამჟამად გიყვართ თუ არა კინძე?

— ჩემი სოლიდური ასაკის გამო „გადახვევებს“ აღარ ვაკეთებ. ის დრო უკვე წავიდა, გაქრა. ძალიან მიყვარს ჩემი მეუღლე, არაჩულებრივი ქართველი ქალი, ძალიან მიყვარს ჩემი ოჯახი, მართლა ვგიუდები შეილიშვილებზე, მიყვარს თავაღებული მუშაობა, ამავე დროს მიყვარს კარგი სუფრა, ქეიფი, ქართველი კაცების უმრავლობის მსგავსად, თუმცა როგორც ერთ-ერთ ლექსში ვწერდი: ბოლო საღვური თურმე სახლია“.

— ბარემ კურიოზებზეც გეთქვათ ორიოდე სიტყვა.

— გავიხსნებ თუნდაც ძალიან დიდი ხნი წინანდელ შემთხვევას — რუსთაველის პროსპექტზე მივდიოდი. ერთი ნაცნობი, რომელსაც შესახედად ვიცნობდი, სახელი და გვარი კი არ მახსოვდა, შემხვდა და გადამეხვია, როგორ მიხარია ცოცხალი რომ ხარო.

— კი მაგრამ, რატომ უნდა მოვმკლარიყავი-მეთქი, — გამიკვირდა, თან შინაგანად გავბრაზდი, ასეთი უტაქტო მომართვის გამო.

— რას ამბობ, თქვენზე მითხრეს ზღვაში დაიხრჩო.

— ზღვაში რა დამახრჩობდა, შე კათ კაცო, ცურვა არც კი ვიცი-მეთქი,

— ისევ გავიკვირვე.

— შენ გურამ რჩეულიშვილი არა

ხარო? სულ ერთად გხედავდით და შეიძლება ამერიაო.

— გურამი ჩემი მეგობარი იყო და საუბედუროდ, დაიღუპა-მეთქი — ავუჩსენი.

— მაშინ შენი ჭირიმე, ისე მიხარია ცოცხალს რომ გიყურებ, უნდა დაგატივო, შენი სიცოცხლისა უნდა დავლიოო, — მთხოვა.

უარი ვერ ვუთხარი, წესისამებრ, დავლიეთ, კურიოზი კი ისიც იყო, რომ ფული მე გადავიხადე.

— თქვენი სურვილები?

— ერთად აღვუდგეთ თავისუფლების ხელყოფის მსურველს, მოვითმინოთ, გავიჭირვოთ, იმედი არ დავკარგოთ, სანამ ჭეშმარიტად ევროპულ ქვეწად არ გადავიქცევით, როგორიცაა საფრანგეთი, გერმანია, იტალია, თუნდაც ბალტიისპირეთის ქვეწადი. რომ დავიცვათ ის მონაპოვარი, რაც დემოკრატიამ მოგვიტანა. ისიც საჭიროა ბოროტად არ გამოვიყენოთ სიტყვის თავისუფლება, არ ვაქციოთ ბეჭდვიოთ სიტყვა დაპირისპირებისა და ლანძღვის საბაბად, ისიც უპირველესად საქართველოს წინსკლის საშუალება უნდა იყოს.

რა დამავიწყებს საბჭოეთის დროინდელ მბვინვარე ცენტურას. მახსოვს უნივერსიტეტიდან სამხედრო ბანაკში ვიყავით, ლეიტენანტობა უნდა მიგვეღო. როცა გატარებული დღეების შესახებ დავწერე, როგორ შეიძლება სამხედრო ბანაკზე წერა, უცხოური დაზვერვა გაიგებსო და ამიკრძალეს. იძულებული გავხდი სამხედრო ბანაკი

„სპორტულ“ ბანაკად გადამეკეთებინა.,
ასევე არ შემიძლია არ გავიხსე-
ნო – ტიციანზე და პაოლოზე ვწერდი,
მათდამი მიძღვნილ ლექსში: „არ ჩააბ-
არეთ სული კაცუნებს“. „კაცუნებს“ –
როგორ შეიძლება ამის დაწერაო და
ესეც ამომაღებინეს.

ასეთი ცენზურა შორეულადაც
აღარ აწუხებთ მწერლობას, დღევან-
დელ საინფორმაციო საშუალებებს,.
ათასჯერ უფრო მეტად თავისუფლები

და ლაღები არიან. საერთოდ, თუ ვი-
ტყვით, შიშით არაფრის არ უნდა გვეშ-
ინოდეს, იმედი არ უნდა დავკარგოთ,
წერა ყველაზე მეტად იძლევა იმის
საშუალებას, დაკავებული იყო და დრო
არ გრჩებოდეს არეული, ცუდი ფიქრე-
ბისათვის, ოღონდ საჭიროა მართლად
წერა, სამშობლოზე ფიქრით წერა, სიკე-
თის კეთებისათვის წერა. მადლობა ღმ-
ერთს, აზროვნება გვაქვს, შეგვიძლია სი-
მართლეს ვემსახუროთ და ეს ყვე-
ლაფერი მხოლოდ საქართველოს
გამთლიანებას, წინსვლას, წარმატებას
მოგახმაროთ.

ინტერვიუ ნუგზარ წერეთელთან
მიპყვდა ურნალისტ რუსუდან გურიელს
თბილისი, 2006 წ.

უდიდესი მხატვარი და პიროვნება

გამომცემლობა სარედაქციო წინამდებარების აღნიშნავს:

„წიგნი „გული პალიტრაზე“, რომელიც ეძღვნება რუსთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტს, საბჭოთა კავშირის და რუსთის სახალხო მხატვარს, სახელმწიფო პრემიების მრავალგზის ლაურეატს ზურაბ წერეთელს, დაწერილია ცნობილი მოსკოველი ჟურნალისტისა და მწერლის ლევ კოლოდნის მიერ. იგი ავტორია მოსკოვის შესახებ მრავალი გამოცემისა, აგრეთვე წიგნებისა: „ როგორ ვიპოვე „წერარი დონი“, „პოეტები და ბელადები“, „ბელადი უგრიმოდ“ და მრავალი სხვა.“

სახელგანთქმულ მხატვარზე გამუდმებით წერენ გაზეთები და ჟურნალები, თუმცა წიგნები მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მაინც ნაკლებად იყო.

„გული პალიტრაზე“ ერთ-ერთი საფუძვლიანი მცდელობაა მონოგრაფიული თვალსაზრისით მოუთხროს მყითხველებს გამარჯვების ობელისკის, პეტრე დიდის მონუმენტური ქანდაკების და სხვა ფართოდ გახმაურებული ძეგლების ავტორზე, რომელთა გარეშეც დღეს მოსკოვი და მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნები წარმოუდგენ-

2005 წლის ბოლოს მოსკოვის გამომცემლობა „გოლოს-პრესმა“ მესამედ დაბეჭდა ცნობილი მწერლისა და ჟურნალისტის პროფესორ ლევ კოლოდნის უხვად ილუსტრირებული სქელტანიანი წიგნი „მხატვარი ზურაბ წერეთელი – გული პალიტრაზე“.

ლევ კოლოდნის წიგნის ძალიან დიდი ტირაჟით გამოსული წინა გამოცემები კარგა ხანია გაიყიდა. მესამე გამოცემა კიდევ უფრო შევსებულია და გადამუშავებული.

ლია“.

როგორც ვთქვით, უხვად იღუსტრირებული და გარეგნულად ბრწყინვალე გაფორმებული წიგნი უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული, მისი უპირველესი ღირსება ზურაბ წერეთლის ცხოვრებისა და ნაყოფიერი შემოქმედების მხატვრული აღწერის გულმოლებინე ცდაა. აქ ხდება საზოგადოებრიობისათვის საყურადღებო ისეთი ცხოვრებისეული მოვლენების გამომზეურება, რაც აქამდის შედარებით ნაკლებად იყო ცნობილი. დიდი ადამიანების ცხოვრების ფურცლების გადაშლა ყოველთვის აინტერესებს ხალხს, ცალკეული მოვლენებისაგან კი ერთი უზარმაზარი სიცოცხლე იკვრება, თვითმყოფადობითა და განუმეორებლობით გამორჩეული სამაგალითო სიცოცხლე.

ლევ კოლოდნის საინტერესო მწერლურ-ურნალისტური ხერხი აქვს გამოყენებული. იგი აღწერს მხატვრის ცხოვრების ამა თუ იმ მომენტს დასაწყისიდან, პატაწინა ბიჭობიდან თითქმის 2005 წლამდე, უკვე ისტორიის საკუთრებად ქცეულ გუშინდელ დღემდე, თან საკუთარი თხრობის დროს შიგადაშიგ, ოღონდ თანმიმდევრულად, სისტემატურად, ურთავს თავად წიგნის მთავარი მოქმედი გმირის ზურაბ წერეთლის მეტად საყურადღებო მოგონებებს, შსჯელობას, მოსაზრებებს.

ეს ორიგინალური მეთოდი სათქმელს მეტ დამაჯერებლობას მატებს, ხაზს უსვამს დოკუმენტურობას, უტყუ-

არობას და წიგნისადმი ინტერესს უდავოდ აძლიერებს. კიდევ მინდა გავიმეორო – ეს მართლაც შთამბეჭდავი ხერხია, ოღონდ ჩემი და იმ ადამიანების, ვინც ძალზე ახლოს იცნობს ზურაბს, გაკვირვება გამოიწვია შემდეგმა ფაქტმა: მსოფლიო მასშტაბის მხატვარ-მონუმენტალისტის უკიდურესი მოუცლელობის დროს, როცა ყოველი საათი კი არა წუთიც მოქმედებისა და მოღვაწეობისათვის არის გათვლილი, როგორ მოახერხა ლევ კოლოდნიმ ამდენი საინტერესო მოსაზრების დაფიქსირება, ასეთი რამ ზელეწიფებათ მხოლოდ ნამდვილ მწერლებსა და უურნალისტებს.

მივყვეთ მეტად საინტერესო წიგნის დინამიკურ დინებას.

თბილი, კეთილი ბუნებით ცნობილი, მილიონთაგან გამორჩეული ზურაბ წერეთელი ცხადად იხსენებს ძალიან დიდი ხნის წინანდელ ამბებს, თანაც არავინ არ ავიწყდება: დედა, მამა, ბებია, ბაბუა, უმცროსი და, ბიძები, ახლობლები, მეგობრები, მასწავლებლები თუ მეზობლები. ეს მისი ბუნებრივი დამახასიათებელი ნიშანთვისება, მისი ხასიათის კეთილშობილების ხილული გამოვლენაა, ამიტომაც ცდილობს ყველას ღირსეული პატივი მიაგოს, ან ვისაც კი თუნდ მცირე სიკეთე გაუკეთებია, ერთიათად და ერთიასად გადაუხადოს.

სიყვარულით იგონებს ზურაბი მამას, დაუვიწყარ კონსტანტინე წერეთელს:

– „მამაჩემი 98 წლისაა. უს-

ათვალოდ კითხულობს, წერს, ყოველ-დღე ათ კილომეტრს დადის აქეთ იქეთ დედას სასაფლაომდე. მაგიდასთან გამართული ზის. მაგიდიდან სტუმრები ხუთჯერ გარბიან ტუალეტში, ის კი ქანდაკებასავით არ ირჩევა. ვეხ-ვეწები, ვემუდარები ჩემთან გადმოვიდეს საცხოვრებლად. არაო, მეუბნება, შენს მუზეუმს უყურადღებოდ ხომ ვერ მი-ვატოვებო. იცით რას ეძახის მუზეუმს? იმ ორ ოთახს, სადაც ცხოვრობს. ოთახები იატაკიდან ჭერამდე ჩემზე დაწერილი სტატიებითაა მოფენილი. ხშირად ამბობს, აი, როგორი შვილი მყავსო. მსგავსი ადამიანები საქართველოში ჯერ არ გადაშენებულან. წერს მოგონებებს, ისეთ დონეზე მაქებს, რომ ზოგჯერ მრცხვენია კიდეც“....

ღრმა პატივისცემით იხსენებს მხატვარი დიდ წინაპრებს დედისა და მამის მხრიდან – წერეთლებს, ნიუარამებს, მიქელამებს, ლოლობერიძეებს, ლორთქითანიძეებს, ერისთავებს.... თბილად იხსენებს ბაბუას, სიმონ ნიუარაძეს, ვისთანაც სამ წლამდე იზრდებოდა ხონში. მწიგნობარი და განათლებული ბატონი სიმონი 1937 წლის ბოლოს დახვრიტეს, მას შემდეგ დედას თამარ ნიუარაძეს და სანკტ-პეტერბურგში კლასიკურად განსწავლულ ბებიას მარიამ ღოღობერიძეს მთელი ცხოვრება შავები აღარ გაუხდიათ.

ბებიას ხაზგასმული სიყვარულით იხსენებს დიდი მხატვარი. პატარაობის წლებშივე ზურაბს კომუნისტების მომულე ბებომ მკერდზე ოქროს ძე-

წევი და წმინდა გიორგის ოქროსავე მედალიონი დაკვიდა. ეს საჩუქარი ზურაბს მთელი ცხოვრება თილისმასავ-ით ეკიდა და დღესაც ყელზე ჰკიდია, თითქოს წმინდა გიორგის მედალიონმა შორული წლებიდანვე სტიმული მისცა, რომ საქართველოს მფარველი წმინდანის საქვეყნოდ აღიარებული ქანდაკე-ბებით მოეფინა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, მათ შორის ზესახელმწიფოები – ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი.

საოცარი შინაგანი სითბოთი იგ-ონებს ზურაბი დედის უმცროს ძმას, ცნობილ ქართველ ქართვარსა და ღირ-სეულ მამულიშვილს გიგლა ნიუარაძეს.

– „ჩემი ბიძა, გიორგი ნიუარაძე, იყო ძალიან საინტერესო, წარმოსადე-გი, ლამაზი და ძალიან ნიჭიერი კაცი. ის უაღრესად დიდ დროს უთმობდა ჩემთან მეცადინეობას.... მე მასში ყვე-ლაფერი მომწონდა: სიარულის მანერა, ძალლონე, გავარჯიშებულობა, ხატვის პროცესი. მე ბიძაჩემზე ვიყავი შეყვარე-ბული და მჯეროდა ისეთივე მაღალი ვიქნებოდი, როდესაც გავიზრდებოდი. არ გამოვიდა.... დედის მხრივ ყველა მაღლები და ძალიან კარგი შესახე-დავები იყვნენ, შესანიშნავად ძლევროდ-ნენ. მამის ხაზით კი ყველა ბიძა თითქოს ერთი სიმაღლისა იყო. ხასიათით ძა-ლიან დავემსგავსე დედას, სიმაღლეში კი არაფერი გამომივიდა“.

სიყვარულით იხსენებს ზურაბი მშობლიურ თბილისს, პლეხანოვის

პროსპექტს, კრილოვის ქუჩას, სადაც დღეგანდელი მასშტაბებით არცოუ დიდ ბინაში სამი ოჯახი შეხმატებილებულად ცხოვრობდა, შეშის ღუმელი კი ძლიერს ათბობდა ოთახებს.

კონსტანტინე წერეთლისა და უკვე ცნობილი მხატვრის გიგლა ნიუარაბის საერთო ბინას ხშირად სტუმრობდნენ კოტეს მეგობრები და გიგლას კოლეგები, სახელმოწვევილი დიდი მხატვრები: დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, უჩა ჯაფარიძე, აპოლონ ქუთათელაძე....

ზურაბი ჩვეული პატივისცემისა და სიყვარულის გამომხატველი მანერით იხსენებს:

„მხატვრებს მე ბავშვობიდანვე დავუახლოვდი. ძალიან ხშირად იმყოფებოდნენ ჩვენთან, აგრეთვე დედის ღვიძლ ძმასთან. ისინი საათობით ლაპარაკობდნენ ხელოვნების შესახებ, კამათობდნენ მხატვრობაში სხვადასხვა მიმდინარეობებზე. ეს ადამიანები მე ღმერთებად მიმაჩნდა. ყველანი მამაჩემის ახლო მეგობრები იყვნენ. ჩვენს ფართოდ კარგაღებულ სახლში მათ ძალზე ხშირად ვხედავდი. მე სულგანაბული, სუნთქვაშეკრული ვუსმენდი მოსაუბრებს. მაშინ დამებადა ბავშვური ფიქრი მათსავით ყოვლისშემძლევ ვყოფილიყვავი და მეც მრგებოდა მხატვრად გაზრდის ბედნიერება“.

ამგვარად, მხატვრობისადმი დიდ სიყვარულს მომავალში მსოფლიოს მასშტაბით სახელგანთქმული მხატვარი პატარა ბიჭობის წლებიდანვე ამჟღავნებდა. საბავშო ბალში ყველაზე მეტად

ფერადი ფანქრები და აკვარელის საღებავები უყვარდა. ერთხელ საბავშო ბაღის აღსაზრდელი სახლში მარტო დარჩა. ყურადღების მისაქცევად გამოყოფილი ნათესავი სამზარეულოში საქმიანობდა. ხუთიოდე წლის ზურაბმა გამოიტანა უკვე საკუთრად მოპოვებული აკვარელის საღებავები, შედგა სკამზე და სასტუმრო ოთახის კედელი ბავშვის გაუწავავი ხელით მოხატა. შეიძლება მშობლები ბავშვური ალალი ნამუშევრითა და გასარემონტებელი კედლით მთლად კმაყოფილები ვერ დარჩნენ, მაგრამ ღვთის განგებით თითქოს აქედან დაიწყო მონუმენტური ხელოვნებისაკენ გადადგმული პატარა ნაბიჯები, რაც მომავალში გიგანტურ ნაბიჯებად იქცა.

ღვევ კოლოდნი საინტერესო მანერით აღწერს ზურაბის ბავშვობას, გონიერი პატარა ბიჭისთვის დამახასიათებელ ქმედებებს, მისი პირველი სასიყვარულო გატაცებებიც კი არ ავიწყდება. ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს სკოლის, სტუდენტობის წლებს, საინტერესო კუთხით გადადგმულ საწყის ნაბიჯებს ცხოვრებასა და დიდ ხელოვნებაში.

ასეთი მიღვომა მე სრულიად გამართლებულად და სწორად მიმაჩნია. დღეს ზურაბ წერეთელზე უამრავი იწერება მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის პრესის ფურცლებზე, გამოდის ალბომები, წიგნები, ბუკლეტები, იდგმება სატელევიზიო და დოკუმენტური ფილმები. დაინტერესებულ ადამიანს

საშუალება აქვს, როგორც ხაზგასმით წერს ლევ კოლოდნი, გაუცნოს ამ ლეგენდარული და უკვდავი პიროვნების შემოქმედებით ცხოვრებას.

ასეთ დროს გაცილებით მეტ მნიშვნელობას იძენს დიდი მხატვრის სწორედ ყრმობისა და ახალგაზრდობის წლები, რის შესახებაც დაინტერესებული ქართველი თუ რუსი მკითხველი ბეგრის წაკითხვას ვერ მოახერხებს. ალბათ, ამ მიზნითაც ხდება, რომ ღრმა შინაარსიანი წიგნის ავტორი ცდილობს ის შორეულად ქცეული მონაკვეთი შთამბეჭდავად და მიმზიდველად გააშუქოს.

ცხოვრების პრაგმატულ-პროგრესული მოთხოვნებიდან გამომდინარე, მამას – კონსტანტინე წერეთელს მიზნად პქნდა დასახული შვილისათვის აუცილებლად საინჟინრო განათლება მიეცა. თუმცა თვითმყოფადი ბუნებისა და პრინციპების ქონე ახალგაზრდა ზურაბ წერეთელი მხოლოდ ბაქშვობის ტკბილი ოცნებების განხორციელებისაკენ მიისწავლოდა. ასეც მოხდა. ზურაბმა საბუთები თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე შეიტანა.

იმ წელიწადს, მომდევნო წლების მსგავსად, სამხატვრო აკადემია ძალასა და კონკურსით გამოირჩეოდა. ფერწერის ფაკულტეტის 7 ადგილზე, სადაც მომავალი დიდი მხატვარი გამოცდების ჩაბარებას აპირებდა, თითო ადგილზე თხუთმეტზე მეტი ახალგაზრდა მოდიოდა.

სწრაფად გაირბინა ცხელმა ზაფხულმა, დამთავრდა ურთულები გამოცდები. აგვისტოს ბოლოს საჯაროდ გამოიკრა ჩარიცხულთა სია, სადაც ანბანის მიხედვით მე-6 ადგილზე ზურაბ წერეთლის სახელი და გვარი იყო განთავსებული.

აქ კი იოწმუნა ტექნიკური დარგების მოყვარულმა მამამ, რომ შვილის გზები სულ სხვა მხარეს მიემართებოდა, მისი სულიერი მოწოდება ხელოვნების თავდადებულ სამსახურში პოვებდა ფართო ასპარეზს, ამიტომაც გააგრძელა გადადებული მივლინება სანკტ-პეტერბურგში, საიდანაც მხატვრობისა და ხელოვნების შესახებ მნელად საშოვნი ძვირფასი წიგნებით დატვირთული დაბრუნდა.

გულმოდგინე შრომასა და ძიებაში გაფრინდნენ სტუდენტობის წლები. ზურაბი უკვე სადიპლომო ნაშრომის დასაცავად ემზადებოდა. ამ დროს მოსკოვიდან თანმხლებ პირებთან ერთად ჩამობრძანდა სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი, ლენინისა და სტალინის შელამაზებული პორტრეტებით სახალხო მხატვრის წოდებამდე აღზევებული რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ვლადიმერ სეროვი.

უპევ იმ წლებში ახალგაზრდა ზურაბის ნახატებს არა გაბატონებული სოციალისტური რეალიზმი, არამედ ფანტაზია, თვითმყოფადობა, იმპრესიონიზმისა და ავანგარდიზმის საბჭოთა კავშირში მიჩქმალული პრინციპები ამომრავებდა. მისი სადიპლომო ნაშ-

რომიც საქართველოსთვისაც ფერფლ-წაყრილი ძველი და მარად ახალი სტილით იყო შესრულებული. კომუნიზმის თავგადაკლულმა აპოლოგეტმა სეროვმა სასტიკად დაიწუნა მხატვრის გაბედული ნამუშევარი.

დადგა რეალური საშიშროება, რომ ზურაბ წერეთელს კერ დაემთავრებინა სამხატვრო აკადემია და დიპლომიც ვერ აეღო, რაც იმ შორეულ დროში ცხოვრების გზაზე უდიდეს ჩავარდნას უდრიდა. სხვა გზა აღარ რჩებოდა, ზურაბმა დღე და ღამე გაასწორა, თავდადებულად იშრომა და ათ დღეში შექმნა ნახატი, რასაც ნორმალურ პირობებში შეიძლება მთელი წელიც დაიდიც დასჭირებოდა. ახალმა სადიპლომო ნამუშევარმა ფრიადი შეფასება დაიმსახურა.

ლევ კოლოდნი შენიშნავს და ეს მეც მაქვს აღნიშნული 1995 წელს ზურაბ წერეთლისადმი მიძღვნილ რუსულ ენაზე გამოცემულ ჩემს წიგნში „სიკეთე იმარჯვებს“, რომ გაივლის ოთხი ათეული წელი და უკვე მსოფლიო მნიშვნელობის მხატვარ-მონუმენტალისტეს უდიდესი ქვეყნის სამხატვრო ელიტა ერთხმად აირჩევს რუსეთის უძველესი და ცნობილი საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის პირველ არა რუს, ეწ. „ნაცმენ“ პრეზიდენტად და ზურაბ წერეთელი სწორედ ერთ დროს მრისხანე მეტრის მაღალ სავარძელში ჩაჯდება, დიდ მხატვრობასთან ერთად, როგორც სახელოვანი ორგანიზატორი, დაშლის პირას მიყვანილი აკადემიის

აღმდგენი და არნახულად გამაძლიერებელი გახდება.

როგორც ვთქვით, ეს იქნება მოგვიანებით, ჯერ კი ახლადკურსდამთავრებული ახალგაზრდა ბიჭი, პატიოსანი, ინტელიგენტური, ბუნებრივია, არა მდიდარი ოჯახის შვილი, მხატვრობისა და დიდი მომავლის საოცნებო კარებს მოწიწებით აღებს.

დაიწყო ნოვატორული ძიებისა და მიგნების წლები, რასაც დიდად შეუწყო ხელი პარიზში სწავლისა და მსოფლიო მხატვრობის გრანდების შემოქმედებითი პრიციპების ღრმა გაცნობამ. გამოჩენილი შემოქმედების პაბლო პიკასოსა და მარკ შაგალის მაღალგამომხატველობითი ძალის ცხოვრებამ ახალგაზრდა მხატვარი დაარწმუნა, რომ უმთავრესი იყო მხატვრობაში მრავალფეროვნება, გაბედულება, სიახლე და შეუზღუდავი ფანტაზია და არა დამღუპველი სოციალისტური რეალიზმისაკენ სწრაფვა.

მალე ზურაბის სრულიად ახლებური ნამუშევრები მშობლიერ საქართველოში გამოჩნდა. თბილისი, ბათუმი, სოხუმი, ჭიათურა და სხვა ქალაქები მინანქრით, ჭედურობით, ფერადი ქვებით-სმალტით, მოზაიკით ამეტყველებულმა მხატვრობამ გააფერადა და დაამშვენა.

რამდენიმე წელიწადში უნიჭიერესი, უნარიანი, ფართო გულისა და გაქანების მხატვრის სახელი გახმიანდა, ბევრისათვის ცნობილი გახდა. მალე მას მიანდეს ბიჭვინთის ახლადაშენებ-

ული კომპლექსის მხატვრული გაფორმება, რაც უმაღლეს დონეზე შესრულდა.

ბიჭვინთას ადლერის საბავშვო ქალაქის შექმნა-გაფორმება მოჰყავა. ეს ნამუშევარი იმდენად ორიგინალურად და ახლებურ მოვლენად იქნა აღქმული, რომ ზურაბ წერეთელს სასწრაფოდ მიენიჭა მაშინდელი უმაღლესი ჯილდო-სახელმწიფო პრემია.

ეს იყო და ეს, დაიწყო ნიჭისა და შესაძლებლობის უკიდევანო აღზევება. მან უკვე მხატვრულად გააფორმა ყოფილი რესპუბლიკების ბევრი მნიშვნელოვანი ობიექტი, თუმცა მთავარი მის შემოქმედებაში მაინც ამერიკის შეერთებული შტატები იყო.

ამერიკაში მყოფი ზურაბი ბროკ-პორტის უნივერსიტეტში მიიწვიეს ლექციების კურსის წასაკითხად, სადაც იმხელა პოპულარობა მოიპოვა, რომ სთხოვეს ბავშვებისათვის რაიმე ძეგლი დაედგა. გულმოდგინე შრომის შემდეგ აქ აღიმართა მონუმენტური ქანდაკება „ბედნიერება მსოფლიოს ბავშვებს“. ძეგლი ინვალიდი ბავშვების ოლიმპიური თამაშების თემასაც მოიცავდა. ძეგლის გახსნას ესწრებოდა სენატორი ედვარდ კენედი, მსოფლიოს ჩემპიონი კრისტი მუჰამედ ალი და ასობით ცნობილი ადამიანი.

მეორე მნიშვნელოვანი მონუმენტური ქანდაკება ამერიკაში, იყო ცნობილი „პრომეთე ჩირალდნით“. ასე რომ ჯერ კიდევ ოცდათხუთმეტი წლის წინათ ზურაბ წერეთელმა ამერიკის

შეერთებულ შტატებში ორი ეპოქალური მონუმენტური ძეგლი აღმართა.

საინტერესო ფაქტებს ამზეურებს ლევ კოლოდნი აღნიშნულ ნამუშევრებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი ნამუშევრებისათვის პონორარის სახით ამერიკის მთავრობამ ზურაბ წერეთელს ორი მილიონ ორასიათასი დოლარი გამოუყო. ზურაბმა ინვალიდი ბავშვების სასარგებლოდ უარი განაცხადა საავტორო პონორარზე და, რაც მთავარია, უზარმაზარი თანხა დაუკარგა უცხოური ვალუტის მტაცებლურად მიმთვისებელ საბჭოთა კავშირს.

ამ ფაქტმა კი ჩვეული შურისძიებაც გამოიწვია და ნობელის პრემიაზე წარსადგენად გამზადებული ზურაბის მონაცემები გვერდზე გადადეს, მხატვრის გამბედაობა და თვითნებობა ვერ აიტანეს.

მომდევნო წლებში, როგორც ხაზგასმით აღნიშნავს ლევ კოლოდნი, დაიწყო უზარმაზარი ქალაქ მოსკოვის „წერეთელიზაცია“, ამ უმნიშვნელოვანებმა ფაქტმა რუსი კოლეგების გარკვეულ წრეებში შურიც გამოიწვია, თუმცა ყველა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მის მსგავსად საქმის შემოქმედებითად დამწყები და ბოლომდე მიმყვანი მეორე პიროვნება არ არსებობდა. აღნიშნავდნენ იმასც, რომ მხატვრობის, მონუმენტალიზმის ჩარჩოების არნახული გაფართოების დროს ზურაბმა პირველმა გამოიყენა ტიხორული მინან-

ქარი, ჭედურობა, მოზაიკა და სხვა კომპონენტები.

ქალაქ მოსკოვის „წერეთელიზაციას“ მოჰყვა „პოკლონნაია გორას“ გაფორმება, ღვთისმშობლის ტაძრის მოხატვა, შემკობა, თვით მთავარი ჯვრის აღმართვაც კი, მანეჟის მოედნის მხატვრულ-დეკორატიული ათვისება, გენერალ შარლ დე გოლის ძეგლის დადგმა სასტუმრო „კოსმოსის“ წინ, მრავალი მონუმენტური ქანდაკების შექმნა და, რაც მთავარია, უკვე მოსკოვის ემბლემად ქცეული რუსეთის უდიდესი იმპერატორის პეტრე პირველის მონუმენტური კომპლექსის აღმართვა ცენტრში მდინარე მოსკოვზე.

ლევ კოლოდნი ზშირად უსვამს ხაზს და ამტკიცებს ზურაბ წერეთლის უზარმაზარ სულიერ-შემოქმედებით თავისუფლებას. ერთი ფაქტიც მოჰყვას: როცა მოსკოვის ტრადიციულ ცენტრში „ბოლშაია გრუზინსკაიასთან“ მოედანზე ზურაბ წერეთელმა და მისმა უახლოესმა მეგობარმა გამოჩენილმა რუსმა პოეტმა, განათლებით არქიტექტორმა ანდრეი ვოზნესენსკიმ ცად აჭრილი ობელისკი აღმართეს, მასზე ქართულ და რუსულ ენებზე მეგობრობის ამსახველი სიტყვებიც იყო დიდი მოოქროვილი ასოებით წარწერილი. ზურაბ წერეთელი ზოგიერთი მონური სულის ადამიანის მსგავსად არ შეშინდა და თვით რუსული ოფიციოზის მიერ თითქმის აკრძალული მსოფლიო მასშტაბის დიდი რუსი პოეტის ბორის პასტერნაკის სტრიქო-

ნებიც სახალხოდ და საჯაროდ გამოჰკიდა. ამან მაშინდელი ბებერი პოლიტიკუროსა და კომუნიზმის იდეოლოგი რუსი კარდინალის სუსლოვის მწვავე უკამაყოფილებაც გამოიწვია, მაგრამ მხატვარი გადარჩა, ტოტალიტარიზმის წნებს გაუძლო.

ლევ კოლოდნი უამრავ ფაქტს აღნუსხავს ზურაბ წერეთლის უანგარო და უხმაურო მეცენატობის სფეროდან. იხსენებს როგორ გაუხარდა ჭეშმარიტად პატრიოტს თბილისში მეტროს მშენებლობა და შემდგომი განვითარება. „ოღონდ ჩემი ხალხის სახეს ღიმილი ამკობდეს, ამისათვის ყველაფერს გავაკეთებო“, – უთქამს და „თბილგვირაბმშენისთვის“ ორასოციათასი დოლარი ჩაურიცხავს.

სწორედ მეცენატის მაღალი ბუნების წყალობით ზურაბ წერეთელი საკუთარი ქვეყნისათვის თითქმის ყველაფერს უფასოდ აკეთებს და კვლავაც გააკეთებს. საკუთარი სახსრებით აქვს დაწყებული ღია ცისქვეშ საქართველოს ისტორიის მუზეუმის მშენებლობა თბილისის ზღვის ახლოს ყენის გორაზე, სადაც ქართველი მეფეებისა და საქართველოს დიდი შეილების 25 მეტრი სიმაღლის 64 ქანდაგება აღიმართება. საქართველოს ისტორიის მუზეუმის მშენებლობას ავტორმა უკვე ოცი მილიონი დოლარი მთაბმარა და სამუშაოები ჯერ კიდევ ბოლომდეა მისაყვანი.

როცა მუზეუმი დამთავრდება ზურაბ წერეთლის საფიცარ საქართვე-

ლოს ექნება ღია ცისქვეშ ეროვნული მუზეუმი, რომლის ბადალი მსოფლიოს მასშტაბითაც კი არ მოიძებნება. ეს იქნება დიდი მხატვრის, მამულიშვილისა და მოქალაქის გულწრფელი საჩუქრი სამშობლოსადმი.

ლევ კოლოდნი აღნიშნავს, რომ მსოფლიოს ისტორიას სამუდამოდ ჩაბარებული საბჭოთა კავშირის ოცდა-ათზე მეტ ქვეყანაში აქვს ჩატარებული ზურაბ წერეთელს მხატვრულ-გაფორმებითი სამუშაოები და აღმართული ფართოდ გახმაურებული მხატვრულ-მონუმენტური ძეგლები.

დიდი მხატვრისადმი მიძღვნილი სქელტანინი წიგნის ავტორი ბერ კეთილსა და კეთილშობილურ საქციელს იხსენებს, როგორიცაა სახელმოხვეჭილი პატრიოტის ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლის ნინა პოლტორაცკაიას ნეშტის პარიზიდან თბილისს გადმოსვენება და მეუღლის გვერდით დიდუბის მიწას მიბარება, აშლილ-დაშლილ, არეულ საქართველოში მსოფლიოში ცნობილი დედა ტერეზას ჩამოყანა, ქართველი ხალხისათვის ესპანეთიდან ტონობით დეფიციტური წამლების გამოგზავნა და მრავალი სხვა, რის აღრიცხვასაც ერთი და ორი წიგნიც არ ეყოფა.

ეს ადამიანური სფერო ზურაბის კეთილშობილური ბუნების ზუსტი ანარეკლია. როდესაც ზურაბის მეგობარმა გამოჩენილმა რუსმა მსახიობმა და მომღერალმა ვლადიმერ ვისოცკიმ ბრწყინვალე მსახიობი მარინა ვლადი-

შეირთო, ზურაბმა საქართველოში წამოყვანა მეგობრები და გულუბელი ქორწილიც გადაუხადა. ვლადის შემთხვევით გადმოუვარდა რამდენიმე ძვირფასი ბოკალი. ქალი ძალიან შეწუხდა, მის დასამშვიდებლად ზურაბმა ხელი მოჰკიდა სუფრას და უძვირფასესი ჭურჭელი მთლიანად გადმოჰყარა იატაკზე.

ერთხელ იგივე ვისოცკიმ დიდი თანხა ისესხა მეგობრისაგან. მერე სულ პირდებოდა დაგიბრუნებო, ზურაბი პასუხობდა ჩვენში უხერხულია ასეთი ლაპარაკიო. ბოლოს როცა ვისოცკიმ უთხრა, ახლა კი სულ მალე დაგიბრუნებო, უცებ გარდაიცვალა კიდეც. ახლობლებმა იცოდნენ სესხის შესახებ, ზურაბს თანხა მიუტანეს. ზურაბი გაბრაზდა, ეს რა საქციელიაო, და მთელი თანხა ვლადიმერ ვისოცკის ოჯახს დაუბრუნა.

მეც უამრავი გაუხმაურებელი ფაქტის დასახელება შემიძლია: ერთხელ, როგორც მახსოვს 1995 წელს ზურაბთან ვიჯექი „ბოლშაია გრუზინსკაიას“ სახელოსნოში. ტელეფონმა დარეკა, გარდაცვლილიყო სომხური წარმოშობის შესანიშნავი რუსი კომპოზიტორი მიქაელ ტარიცერდივეგი. ზურაბს უთხრეს, ოჯახს უჭირს, საგრძნობი თანხაა საჭირო და იქნებ დახმარება აღმოგვიჩინოთო. მან ტელეფონზე მოსაუბრებიროვნებას მიუსამბიმრა, ახლა ჯიბეზე არ მაქს მაგხელა თანხა, ხვალვე გამოგიგზავნითო და გაუგზავნა კიდეც.

ზურაბი არ ეტყოდა და ლევ

კოლოდნიც ვერ გაიგებდა, რომ მან დააფინანსა ცხოვრების დასაწყისში საკუთარი მასწავლებლის, გამოჩენილი ქართველი ეთნოგრაფის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ზუთტომეული, დიდი ქართველი მწერლის, ახალგაზრდობის წლების ახლო მეგობრის გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებთა ექვსტომეული, აფხაზეთის თემისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პილიტიკური წიგნების მთელი სერია და ასობით სხვა გამოცემა.

ლევ კოლოდნი საინტერესო შტრიხებით აღწერს როგორი ფაქტი გრძნობით შეუყვარდა ზურაბს ახალგაზრდა ინტერიერიშვილი, ცნობილი თავადური ოჯახის შვილი, შემდეგ დედით და მამით რეპრესირებული, უფროსი დის ამარა დარჩენილი. ზურაბმა ინესასთან ერთად ჩაუყარა საფუძველი მშვენიერი, უდიდესი მომავლის მქონე ოჯახს. ჯერ კი ძალიან უჭირდათ. ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრისათვის მე—6 სართულზე სხვენქვეშ მდებარე ორი პატარა ცხელი ოთახი სახელოსნოც იყო, საძინებელიც და სასტუმროც. მაღლე ქალიშვილი ლიკაც დაებადათ. ოჯახის, სამშობლის და არჩეული პროფესიის ანუ სულიერი მოწოდების ერთგულმა ზურაბმა მართლაც ფანატიკური შრომით, დიდი ტალანტით, ძიებით, მონდომებით, არცთუ იშვიათად ბედის გაღიმებით ყველაფერი შეძლო და ხელოვნების ყველა რთული მწვერვალი დაიპყრო. თუმცა აყვავებისა და ბედნიერების

სანაში ზურაბს საყვარელი მეუღლე გარდაეცვალა, ვისთვისაც ყველაფერი, ხშირად შეუძლებელიც კი გააკეთა.

საუცხოო მწერალი ლევ კოლოდნი ხაზგასმით შენიშვაგს, რომ უსაყვარლეს ადამიანს, მეუღლეს, ზურაბ წერეთელმა მანეჟის უდიდეს საგამოფენო დარბაზში გამართული თავისი უმნიშვნელოვანესი გამოფენაც კი მიუძღვნა. ფერწერული ტილოები და წმინდა ხსოვნა კი არასოდეს დაუკლია.

ლევ კოლოდნი ასევე გამოკვეთილად ადასტურებს, რომ ზურაბ წერეთელმა მთელ მსოფლიოს აჩუქა, უფრო სწორად დაუბრუნა წმინდა გიორგი ძლევამოსილის ხატება, თანაც ეს ხდებოდა ჯერ კიდევ იმ დროს, როცა სოციალისტურ-კომუნისტური რეჟიმი წმინდა გიორგის კი არა, ყველაფერ სასულიეროს კრძალავდა.

თავდაპირველად ორ პოლარულად საწინააღმდეგო ქვეყანაში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთში აღმართა მხატვარმა წმინდა გიორგის ბრწყინვალე სტელები. ამერიკაში ზურაბმა მეტად ორიგინალური ჩანაფიქრი განახორციელა და უსაშინელესი წყალბადის რაკეტების ნამსხვრევები ზეაღმართულ წმინდა გიორგის ფერთაქვეშ გაუფინა. დიდი მხატვრის ამ თვითმყოფად ხერხს ცნობილმა რუსმა ხელოვნებათმცოდნებმ, პროფესორმა ოლეგ შვიდკოვსკიმ „ავანგარდისტული გამბედაობა“ უწოდა.

ამერიკის პრეზიდენტმა, უფროსმა ჯორჯ ბუშმა წმინდა გიორგის ქან-

დაკება თანამედროვეობის გამოჩენილ ნაწარმოებს შეადარა. სულ მაღლე თბილისსაც დაამშვენებს მთავარ მოედანზე ცადაჭრილი წმინდა გიორგის ძეგლი და მისი მადლი ნათელივით გადაეფინება მთელ საქართველოს.

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ტრაგედიის – 11 სექტემბრის წლისთავზე ზურაბ წერეთელმა მეგობარ ამერიკელ ხალხს საჩუქრად უძლვნა ორიგინალურად გაპეტებული და ასეთივე თვითმყოფადი ხელწერით ჩამოკიდებული ბროლის ცრემლი.

ძეგლის გახსნას სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინიც დაესწრო და ზურაბ წერეთელთან სამახსოვრო სურათიც გადაიღო.

მუდმივად მაძიებელმა და შემოქმედებითი ჩანაფიქრებით მოუსვენარმა დიდმა მხატვარმა მოსკოვის ტრადიციულ ღრმა ცენტრში პრეზისტენკასა და პეტროვკაზე თანამედროვე ხელოვნების ორი დიდი მუზეუმი დააფუძნა, რომელთა მოცულობა ორმოცი ათას კვ.მეტრს აღემატება და სადაც ფართოდ არის წარმოდგენილი ზურაბის მრავალფეროვანი და შეუდარებელი ხელოვნება. მუზეუმების ამოქმედება იყო არა მარტო რუსეთის, არამედ მსოფლიოს კულტურულ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობის მოვლენა და ფერწერისა თუ ქანდაკების ახალი აღზევების დასაწყისი.

ლევ კოლოდნის შესანიშნავი წიგნი „გული პალიტრაზე – მხატვარი ზურაბ

წერეთელი“ ილუსტრაციებთან ერთად 600 გვერდზე მეტი მოცულობისაა. ილუსტრაციები ტყუილად არ მიხსენებია, ტექსტის გაცნობამდე უტყუარ მასალად წარმოდგენილ ფოტომასალას თვალი რომ გადაავლოთ დარწმუნდებით როგორ მეგობრობენ თანამედროვეობის უდიდეს მხატვართან მეფეები, პრეზიდენტები, მსოფლიოს გამოჩენილი პიროვნებები, ხელოვნების, ლიტერატურის, მეცნიერების სფეროს სახელგანთქმული ადამიანები. აյ ვხვდებით მეგობრული სითბოთი გაშუქებულ ფოტოსურათებს: ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ კლინტონი და ზურაბ წერეთელი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და ზურაბ წერეთელი, საფრანგეთის პრეზიდენტი უაკ შირაკი და ზურაბ წერეთელი, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ზურაბ წერეთელი, ინგლისის პრინცი და ზურაბ წერეთელი, ესპანეთის ინფანტა და ზურაბ წერეთელი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უფროსი და ზურაბ წერეთელი და სხვა. ზურაბ წერეთელთან მეგობრულ სურათებზე აღბეჭდილები არიან: მარგარეტ ტეტჩერი, ბორის ელცინი, ელუარდ შეგარდნაძე, იური ლუჟკოვი, პაბლო პიკასო, მარკ შაგალი, კოფი ანანი, მიხეილ გორბოჩოვი, ჯეიმს ბეიკერი, ჯორჯ შულცი, სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი II, ადრიანო ჩელენტანო, მსტისლავ როსტროპოვიჩი, მარქელო მასტროიანი, ლაიზა

ზურაბ და ნუგარ ფერთლები

მინელი, ჯინა ლოლობრიჯიდა, ანდრეი ვოზნესენსკი და მრავალი სხვა.

ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, მთავარია ეს წიგნი იშოვოთ და წაიკითხოთ.

ზურაბ წერეთლის კაცურ თვისებებზე ბევრს ლაპარაკობენ და მაღალი დონის წიგნის ავტორი მწერალი ლევ კოლოდნიც ძალიან ბევრგან ზაზგაშით აღნიშნავს ამას. უდიდესი მხატვარი და პიროვნება თავისი განუმეორებელი შემოქმედებით, ფართოდ გახმაურებული სახელით, იშვიათი კომუნიკაცელურობით სამეცნიეროდ განაწყობს საქართველოს, რუსეთის, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ასობით და ათასობით ცნობილ ადამიანს.

პირადად მე ჩემი ცხოვრების

მანძილზე არ შემხვედრია ზურაბ წერეთლის მსგავსი კეთილშობილი, გაწონასწორებული, დინჯი, ვაჟკაცური ხასიათის პიროვნება, უღალატო მეგობარი, მოყვასისადმი უშურველი გულით, სითბოთი და სიკეთით სავსე ადამიანი, უანგარო და უხმაურო მაღალი ბუნების მეცენატი. ჩემი აზრით, სასიკეთო საქმებში დახმარების მხრივ ზურაბ წერეთელს მხოლოდ მისივე მშობლიური კუთხის, საუკეთესო ქართული ტრადიციების შემომნაზველი ულამაზესი მხარის დირსეული შვილი, ცნობილი ბიზნესმენი ბიძინა ივანაშვილი თუ შეედრება.

მშობლიური კუთხის ხსენებისას მხედველობაში მაქვს ლოკალურად ჭიათურა და საჩხერე, აკაკი, გიორგი,

კავი, ალექსანდრე, თინათინ, გიორგი, ნიკოლოზ წერეთლების, გრიგოლ აბაშიძის, რევაზ ჯაფარიძის, მუხრან მაჭავარიანის და მრავალი სხვა გამოჩენილი ადამიანის სამშობლო კუთხე.

ნიჭიერი მწერლის ლევ კოლოდნის სქელტანიანი წიგნი და მით უმეტეს თუნდ ვრცელი საჟურნალო წერილი ვერაფრით დაიტევს ზურაბ წერეთლის უდიდეს შემოქმედებასა და სიკეთით განათებულ ცხოვრებას, რაც, მხატვრის მამისა და წინაპრების დღეგრძელობით თუ ვიმსჯელებთ, ჯერ შუა გზამდე მისულად შეიძლება მივიჩნიოთ.

ლევ კოლოდნის წიგნი კარგი

საჩუქარია ხელოვნების ჭეშმარიტი მოყვარული რუსი, ქართველი თუ ნებისმიერი ქვეყნის ადამიანებისათვის. ძალიან კარგი, მისასალმებელი საქმე იქნება თუ საკმაოდ დიდი მოცულობის წიგნი ითარგმნება და ქართულ ენაზეც გამოიცემა, ეს როცელი საქმე ისევ ჩვენ უნდა ვიტვირთოთ და მშობელ ქართველ ხალხს, ქართველ ახალგაზრდობას თუნდაც ნათელი მაგალითისთვის გადავცეთ სახსოვრად.

ნუზზარ ფერეთელი

2006 წლის ივნისი

შავი ზღვის პირას

ახალს არ ვიტყვი თუ განვაცხადებ, რომ შავ ზღვაზე ზღაპრული დასასვენებელი ადგილები გვაქვს, კონკრეტულად აღარ ვასახელებ, ისედაც ყველამ იცის მოუხედავად ამისა ხალხის საგრძნობი ნაწილი, ან გარკვეული ჯგუფი არჩევს თვითმფრინავით გაფრინდეს სტაბულში, იქიდან გადაფრინდეს ანტალიაში, ბოლორში, ან უფრო შორს, იწვალოს, გარისკოს, დახარჯული თანხებიც სხვა სახელმწიფოში დატოვოს, თუ გინდა ეს მეგობარი სახელმწიფო იყოს.

საქართველოში, ჩვენს საკუთარ სამშობლოში კი არავისზე ნაკლები დასასვენებელი ადგილები როდი გვაქვს, ამიტომაც მოუწოდებდა საქართველოს პრეზიდენტი ყველას პატრიოტული სულისკეთების გამომჟღავნებისაკენ: ჩამობრძანდით, დაისვენეთ აჭარაში, ბათუმში, ქობულეთში, თქევნი სწორი მოქმედებით მოსახლეობასაც დიდ დახმარებას გაუწევთ.

თურქეთსა და ბულგარეთში დასასვენებლად არ თუ ვერ გამგზავრებული ქართველების ნაწილთან ერთად, ალბათ, ამიტომაც დაიძრა მეზობელი სომხეთის მოსახლეობა აჭარისაკენ. ამბობენ, რომ წელს ყოველი მეორე თუ არა, ყოველი მესამე დამსვენებელი მაინც სომხეთის მოქალაქე იქნება, სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებიც ასევე უხვად ჩამოვლენ.

ამასთან დაკავშირებით, ვითარების უშუალო გავლენით გვინდა კურორტ ურეკის თემასაც შევეხოთ, რადგან ჯერ კიდევ როდის ამბობდა ქართული ხალხური ანდაზა: „თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო“. თუ ჩვენი საკუთარი სიმდიდრის მოვლა-პატრონობა არ ვისწავლეთ, საქმე ძალიან ცუდად იქნება, „თვალი გაგირბის სხვისასას“ პრინციპი აქ არ გამოდგება, ძალზე წამგებიანია.

ურეკი რომ შავი ზღვის სანაპიროს ერთ-ერთი მარგალიტი და ნამდვილი მშვენებაა, არც ქობულეთსა და არც ბიჭვინთას რომ არ ჩამოუვარდება, ამაზე ბევრი არც იკამათებს. სამკურნალო მაგნიტური ქვიშის ფართო ზოლით შედებილივით გადაფარულ სანაპიროს ქობულეთიდან ფოთამდე, ნაძვისა და ფიჭვის ტყეები ლამაზი სარტყელივით აქვს შემოკრული, სუბტროპიკული კლიმატი და ზღვიდან ტალღასავით მოვარდნილი გრილი ზღვაური აკრიალებს ჰაერს და ადამიანების, განსაკუთრებით ბავშვების ფილტვებს სასწაულებრივად ასუფთავებს, მაგნიტური ქვიშა კი ბევრ ავადმყოფობას არჩენს.

ურეკის მთელ უშესანიშნავეს სანაპიროზე თავისი მთლიანობით, საქმიანობითა და დანიშნულებით მკვეთრად გამოირჩევა სამკურნალო-დასასვენებელი კომპლექსი „კოლხიდა“. ადრეულ წლებში კომპლექსის ოხსართულიანი კეთილ-

მოწყობილი შენობა მომავალი თაობის გაჯანსაღების კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდა. განვლილი უმძმესი წლების მანძილზე შენობა გაიძარცვა, მიინგრ-მოინგრა, გაპარტახდა, ზღვის პირას გადაშლილ ფართო და ლამაზ ეზოს უარესიც დაემართა, ნაგვისა და საქონლის თავშესაფარ ადგილად იქცა.

რამდენიმე წლის წინათ დაიწყო „კოლხიდის“ შენობა-ნაგებობებისა და თითქმის სამი ჰექტარი ეზოს მკვდრეთით აღდგენა, განახლება, გალამაზება. ეს მოჩდა მას შემდეგ, რაც ზღვისპირა ფართო ეზოსა და შენობის მესაკუთრე გახდა ოზურგეთის მკვდრი ცნობილი ბიზნესმენი, პროფესიონისტები მესაკუთრე გახდა ჩხამე, შესანიშნავი პიროვნება, საქმის მოყვარული, ორგანიზატორი, კეთილშობილი და პროგრესული კაცი. სწორედ ამგვარი პატრიოტი ადამიანების მხრეზე დგას ჩვენი რაიონების, ქალაქების, სოფლების, მთელი საქართველოს კეთილდღობა.

უკვე მშვენივრად არის კეთილმოწყობილი „კოლხიდის“ მირითადი კორპუსი, დამსკვნებლების განკარგულებაშია 76 ორ და სამადგილიანი ნომერი, 12 ლუქსი და სამი აპარტამენტი, მაღალ დონეზე რემონტდება მირითად კორპუსს აქტივური მომდგარი დამხმარე შენობები, რაც ურთულესი საქმეა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეზოს და პლაზის კეთილმოწყობას, სადაც ნებისმიერი დამსკვნებელი ზღვაზე ყოფნის მირითად დროს ატარებს. ეზოს პლაზის მხარეს გასდევს 200— მეტრიანი თეთრი სტილიზებული ჯებირი. სასადილოსა და კაფე ბარის წინ დამონტაჟულია ფართო ეკრანი, სადაც დამსკვნებები ფეხბურთის მატჩებს, კინოფილმებსა და კულტურულ-მასობრივი მუშაობის უბნის წარმომადგენლის ჯე-

მალ ვაშალომიძის მიერ ყოველდღიურად გემოვნებით გადაღებულ დოკუმენტურ მასალას უცქერენ.

მომავალი თაობის გაჯანსაღები-სათვის გამიზნული ადრეული წლების ეზო-შენობაში ბავშვების გასართობად ბევრი რამეა შემორჩენილი და ახლებურად აღდგენილი. ეს არის სასრიალო მოწყობილობები, ხელოვნურ პალმაზე შემოჯდარი ხელოვნური მაიმუნები ჭოგრიტებით, ვეჯზვის, ჯიხვის, არწივების ქანდაკებები, ბაგშვების ფიგურები, ბრემენელი მუსიკოსები, ესტრადა ღია ცის ქვეშ, ასევე ღია ცის ქვეშ ჭადრაკის სათამაშო აღილი, ფრენტურთისა და ფეხბურთის მოედნები, მაგიდის ჩოგბურთისა და ბილიარდის მაგიდები.

ზღვიდან ოციოდე მეტრით დაშორებულ, ხებით საქმაოდ დაჩრდილულ ეზოში თვალს იტაცებს თეთრი და წითელი ვარდების გაზონები, პალმები, კაქტუსები, ზღვაზე გასავლელ ფართო კიბესთან გორად დგას შეზღლონგები, სკამები.

გასუფთავებულ-გაკრიალებულ ეზოს სილამაზეს მატებს მხატვრულად გაფორმებული დეკორატიული აღგილები, ხის მორებისაგან გამოთლილი სკამები, ხავსითა და ყვავილებით დაფარული ვებერთელა სტილიზებული ლოდები, აქვეა ლამაზი ფანქატურები, ძელსკამები, ჰამაკები. ეზოს დასუფთავებასთან ერთად ყოველდღე სუფთავდება პლაზები, იცრება სამკურნალო მაგიზნები ქვიშა, მუშაობს კეთილმოწყობილი საშხაპები, მცხუნვარე მზისაგან თავშესაფარებელი ნაგებობები.

„კოლხიდას“ ემსახურება კვალიფიციურ ექიმთა და მაშველთა ჯგუფი. მასაჟისტი, მანქანების გასაჩერებლად გამოყოფილია რკინის მაღალი მესერით შემოზღუდული ფართობი, მუშაობს სადღელამისო დაცვა.

„კოლხიდაში“ დილიდან გვიან დამემდე ღიაა ევროპული თუ არა თბილისური დონის კაფე-ბარი, ზედ ზღვის პირას გახსნილია ბუნგალო, ასევე პლაჟთან ახლოს იხსნება ახალი საუკეოო კაფე-ბარი.

როცა ურეკის თითქმის მთელ სიგრძეზე გადაჭიმული პლაჟები სასტიკად არის დანაგვიანებული, „კოლხიდის“ ეზოსა და პლაჟზე ყველგან დგას თუნუქის ლურჯად შეღებილი ყუთები, რაც ბევრ ადგილას დიდი იშვიათობაა, ამით კი პან-სიონატებისა თუ კერძო სახლების მფლობელები დანაგვიანებას უნებლივდ უწყობენ სელს, რაც კარგად შეინიშნება.

როგორც უკვე თქვა, გამაჯანსაღებელი კომპლექსის „კოლხიდის“ მესაკუთრეა ოზურგეთის მკვიდრი, ცნობილი ბიზნესები და საზოგადო მოღვაწე ამირან ჩხაიძე, ორმოცდათ წელს გადაცილებული ეს ღირსეული პიროვნება დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, არის მაღალკალიფიციური სპეციალისტი, საქმის მცოდნე და მოყვარული, მუდამ მაძიებელი, ნებისმიერ სიძნელესთან შებმული, ღინჯი, დაფიქრებული, კეთილი საქმეების კეთებისკენ მკვეთრად მიმართული კაცი, ნაკითხი, განათლებული, შესანიშნავად ფლობს ქართულ, რუსულ ენებს, მომრავლებულ უცხოელ სტუმრებსაც თავისუფლად ესაუქრება.

ჩემს მსგავსად ძალიან ბევრს და პირადად მეც, რაც ყველაზე მეტად მომწონს ასეთი კატეგორიის ადამიანებში, კონკრეტულად კი ამირან ჩხაიძის პირვენებაში ეს არის ფანატიკური სიყვარული საკუთარი კუთხისადმი, განზოგადებულად კი სამშობლოსადმი. ამირან ჩხაიძეს მრავალი ბიზნესების მსგავსად ყოველთვის შეეძლო ეცხოვრა თბილისში, გნებავთ მოსკოვსა თუ კიევში, ან საზღ

ვარგარეთის ნებისმიერ ქვეყანაში, მაგრამ მან ყველაზე მაღლა მშობლიური ოზურგეთის სიყვარული დააყენა. სწორედ სიყვარულით, თავდადებული შრომით, კაცური ქცევითა და შინაგანი პატიოსნებით შეძლო მან თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ბიზნესის გაშლა-განვითარება, თანაც მეტისმეტად რთულ და არახელსაყრელ პირობებში.

ჯერ კიდევ წლების წინ, როდესაც ოზურგეთის სოციალურ-ეკონომიკური სფერო მთლიანად მოშლილი იყო და ღრმა სტაგნაციას განიცდიდა, მის საკუთრებაში მყოფი დაბა მერიის ხილის წვენებისა და ჩაის გადამამუშავებელი პროდუქცი-

ის მწარმოებელი ფაბრიკა მაიც მუშაობდა და უკიდურესად გაჭირვებულ ხალხს ასაქმებდა.

ასევე მუშაობდა და კვლავაც წარმატებით მუშაობს ოზურგეთის ლუდის ქარხანა და ერთადერთი საჩუნავო რესტორანი ოზურგეთში, პურ-ფუნთუშეულის ქარხანა ფოთში და ა.შ. მხიმე პირადი შრომის შედეგად ამირან ჩხაიძე ასობით ადამიანს სამუშაო პირობებს უქმნიდა, ასობით თანამოქალაქე გამოყავდა გაჭირვებიდან, ასობით ცუდ დღეში ჩავარდნილ მოძრეს სელს უმართავდა, რისოვისაც პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა.

ასე იყო ყოველთვის, ასე გრძელდება დრესაც, ასე გაგრძელდება მომავალშიც.

არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის აკეთებს, ალამაზებს, აშენებს დღედაღაშ ამირან ჩხაიძე, ხალხის სიყვარულის გამო თავს ევლება შავი ზღვის პირას მდებარე დიდებულ დასასვენებელ კომპლექსს „კოლხიდას“, თორებ საკუთარ ოჯახს ამხელა დატვირთვის გარეშეც კარგად შეინახავდა. განთიადიდან დაღამებამდე მას დასასვენებლად ჩამომჯდარს იშვიათად თუ დაინახავს ვინმე, უხმაუროდ დადის ვეებერთალა ეზოში, გამოცდილი თვალით ამოწმებს რაც კეთდება, ადამიანურად ესაუბრება მუშებს, თუ კი რამე არ მოეწონება ასევე შთამაგონებლად უთითებს, მისი ხმამაღლი ლაპარაკი და ყვირილი კაცს არ გაუგია. კრედიტებს და სხვა საწარმოებიდან შემოსულ თანხას მართლა ხალხის კეთილდღეობისაკენ მიმართავს. ამიტომ გაკეთდა უამრავი რამ თითქმის ხუთსართულიანი შენობის და გებერთელა ეზოს კეთილმოსაწყობად, რის შესახებაც შედარებით დაწვრილებით ვილაპარაკეთ და გაკეთებულიც შეძლებისდაგვარად აღვწერეთ.

სწორედ ასეთი პროგრესიული ადამიანების შესახებ თქვა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პეტბისა და მოშსახურების სეფეროში დასაქმებული ბიზნესმენების შესახებ 2006 წლის 22 ივნისს გამართულ შეხვედრაზე, რომ ისინი მუშაობენ საკუთარი ოჯახისათვის და ასევე მუშაობენ ხალხისათვის, რითაც ნამდვილად დიდ და საპატიო საქმეს აკეთებენ. ასეთ ადამიანებს მეტი ხელის შეწყობა, მხარდაჭერა და წახალისებაც სჭირდებათ, რომ ძალზე რთულად მოსაგვარებელი უბნები კვლავაც მონდომებული მიღეობით აამოქმედონ.

ამირან ჩხაიძეს თავის ირგვლივ ისეთი კოლექტივი, ისეთი ადამიანები ჰყავს შემოკრებილი, რომელთაც უსიტყვოდ

ესმით ხელმძღვანელის, ცდილობენ მუხლჩაუხრელი შრომით ხელი შეუწყონ ხალხის დასვენებისა და გაჯანსაღებისათვის საუკეთესო პირობების შექმნას. ასეთ მუშაკთა შორის უპირველესად უნდა დავასახელოთ ურეკის სამკურნალო-დასასვენებელი კომპლექსის „კოლხიდის“ დირექტორი, მხრუნველი, კურაღებიანი და საქმიანი კაცი გია რუსიეშვილი, კულტურული გოგონა, ადმინისტრატორი ხათუნა სადრამე, კვების ბლოკის ახალგაზრდა წარმომადგენელი თამუნა ცხომელიძე, მთავარი და შეუცვლელი ექთანი ზორა ცხვარაძე, მეორე სართულის მორიგენინო ურუშაძე და მრავალი სხვა ადამიანი, ან შეიძლება ითქვას, ყველა.

კეთილი ადამიანური მიზნებიდან და კარგი მაგალითიდან გამომდინარე გვინდა უბრალოდ მივბაძოთ საქართველოს პრეზიდენტს და უურნალ „სიტყვის“ ყველა მკითხველს, ყველა ქართველს ვუთხრათ: აჭარაში, ბათუმსა, ქობულეთსა თუ ჩაქში დასვენებაზე ფიქრისას სამკურნალო პლატფორმი ცნობილი ურეკიც არ დაივიწყონ, განსაკუთრებით არ დაივიწყონ ადამიანების, ახალგაზრდების, ბავშვების კეთილდღეობისათვის გამიზნული მშვენიერი სამკურნალო-დასასვენებელი კომპლექსი „კოლხიდა“, რომლის ბადალი ურეკში და სხვაგანაც ძნელად თუ მოიძენება. შესაბამისი იქნება თუ ადამიანთა ფართო წრეები საკუთარი თვალით ნახავენ თუ რისი გაკეთება შეუძლია ქვენისადმი, საქმისადმი და მათდამი გამოვლენილ ხილულ სიყვარულს.

სულ ახლახან, კერძოდ, მიმდინარე წლის 25 ივნისს, პრეზიდენტის სამხარეო რწმუნებულებთან შეხვედრაზე ქალაქ ბათუმში, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნა რომ, აუცილებელია

საქართველოს კურორტების ინფრასტრუქტურის აღდგენა-განახლება და თანამედროვე მოთხოვნების დონეზე გაკეთება. მან საქართველოს მრავალ ცნობილ საკურორტო ადგილს შორის გარკვევით დაასახელა კურორტი ურეკი.

ჩვენს პატარა წერილში, რის შესახებაც ვისაუბრეთ და რაც აღვნიშნეთ, სრულიად მიესადაგება პრეზიდენტის ახალ, ხალხისა და მასობრივი ტურიზმის მკვეთრი განვითარებისათვის საჭირო მოწოდებას. ადგილზევე გაფართოებისა, შენობა-ნაგებობების რებილიტაციისა და სრული კეთილმოწყობისათვის ხელის

შეწყობის პირობებში ამირან ჩხაიძეს ანუ მის საკუთრებაში მყოფ „კოლხიდას“, ალბათ, სამასი-ოთხასი დამსკენებლის, უფრო მეტად კი ტურისტების მაღალ დონეზე მიღება შეეძლება, რაც საქმი-ანად დაეხმარება არა მარტო ერთი შესანიშნავი კომპლექსის, არამედ მთელი ურეკის წინსვლასა და აყვავებას.

ნუგ ზარ წერეთელი
ჟურნალისტთა საერთაშორისო
ფედერაციის წევრი, საქართველოს
დამსახურებული ჟურნალისტი,
პროფესორი

გურამ რჩეულიშვილი — წერილები მეგობრებს

იყო დრო, როდესაც საქართველოში არც კომპიუტერი იყო, არც ფაქსი, არც ელექტრო ფოსტა, თქვენ წარმოიდგინეთ ტელევიზორიც კი არ იყო. თუმცა ის დრო, სულ სხვანარი სითბოთი და ახლობლობით გამოირჩოდა. მაშინ ჯერ კიდევ ვწერდით ერთმანეთს წერილებს, იქმნებოდა ძალიან საინტერესო ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რაც დღეს უკვე მიდის და უკვალოდ ქრება. არადა ასე რომ გამქრალიყო ქართველი და გნებავთ სხვა გამოჩენილი ადამიანების შემოქმედებიდან ეპისტოლარული ჟანრი, დღეს გაცილებით ღარიბები და სულიერად გამოფიტულები ვიქებოდით, თუმცა ეს მოდური სულიერი გამოფიტვა მაინც მოიწევს და კარის ზღურბლზეა მომდგარი.

ამ დროს კი ადამიანების ფართო წრეს აინტერესებდა და დღესაც აინტერესებს დიდი მწერლების, საერთოდ გამოჩენილი ადამიანების ცხოვრების შევლა დეტალი, თვით წერილმანებიც კი. პირადი წერილები ასეთი ინტერესების სფეროს კარგად ავსებს და მიესადაგება. ასეთი სახის წერილებში ჩვენი ცხოვრების მთელი ისტორიაა გაცხადებული.

დღეს ჩვენ უურნალში ვაქევეჭნებთ დიდი ქართველი მწერლის, ლეგენდა

არული გურამ რჩეულიშვილის პირადი წერილების ერთ ნაწილს მეგობრებისადმი, რაც ლიტერატურის მოყვარული მკითხველების ფართო წრისათვის აუცილებლად საინტერესო იქნება.

სამი წლის წინათ გამოცემულ ჩემს მხატვრულ-დოკუმენტურ რომანში „სიკვდილი ოცდაათ ლარად“ გურამ რჩეულიშვილის ერთი შესანიშნავი წერილი გამოვაქვეყნე. აქაც მინდა გამოვიყენო მაშინდელი ჩემი შეხედულება, რაც უკვე გამოხატავს დღევანდელ სათქმელს: „გურამი პირად წერილებს ყოველთვის განწყობილების მიხედვით, ანუ სულიერი მდგომარეობის მიხედვით წერდა. ზოგი წერილი გრძელი იყო, ზოგი მოკლე, ზოგ წერილს ლალი იუმორი ავსებდა, ზოგს უწმაწური გამონათქვამებიც კი, რაც მაინცდამაინც არ უყვარდა. ასეთი სახის სამი წერილიც ჰქონდა მიღებული მოსკოვიდან. ზოგი წერილი კი სერიოზული და ნაღვლიანი იყო, როგორც ზოგიერთი აქ გამოქვეყნებული წერილი. თუმცა ამ წერილში შემოჭრილი ნაღველის დათრგუნვის შემდეგ, უკვე ჩვეული იუმორზე გადადიოდა და შესაბამისად ტექსტიც ხალისით იკითხებოდა.

აღნიშნულ წერილების სრულ ტექსტს ვბეჭდავთ, ერთი მძიმეც კი არ

დაგვიმატებია.

ეს არის მცირე ნაწილი გურამ რჩეულიშვილის წერილებისა ახლობლებისა და უახლოესი მეგობრებისადმი. ჩემი აზრით, მომავალ 2007 წელს გამოქვეყნდება დიდი ქართველი მწერლის ნაწარმოებების მეხუთე ან

მეექვსე ტომში გურამის სრული ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რასაც ძალზე მნიშვნელოვანი ლიტერატურული ღირებულება გააჩნია.

ნუზზარ ფერეთელი

წერილი ჯურსა ნადირაძეს

ჯურსა მომილოცნია. ძალიან გადარჩი, მართლა ბედი გქონია. შენ რომ წახედი იმავე დღეს-საღამოს ჩამოვიდა მავრი, ღირსეულად იჯდა ბანოვანთა შორის „ზიმში“. გააჩერა. ერთად ვიცურავთ. მთელი ჩვენი ოჯახიც იქ იყო. მერე მამა წავიყვანეთ ათონის მონასტერში. ნოდარი, გოგი და მე დავრჩით, მამა კი წამოვიდა. უდმერთოდ მომინდა სმა. ნოდარისა და გოგის ვთხოვე - ერთმა 20, მეორემ - 25 იქისრა, წავიდნენ სახლში ფულის მოსატანად. მე კი ვიჯექი მთელი საათნახევარი და მართლა ვტკბებოდი ჩემს წინ გადაგრაგნილი ზღვის ფერითა და ხეობის სიმშვენიერით. პარმონიას ავსებდა მთაზე დადგმული ლამაზი სახლი. ნამდვილად ამშვენებს ადამიანი ბუნებას. მოკლედ შემიყვარდა ამ საღამოს ჩვენი პლანეტა. ალბათ მოვა დრო, როცა (შეიძლება ჩვენ ვერ მოვესწროთ) განვითარდება ასტრონომია, საპლანეტოაშორისო მოძრაობა, რომ ადამიანი ისევე შეიყვარებს მთელ დედამიწას, როგორც დღეს ჩვენ, თუნდაც შენ და მე საქართველო გვიყვარს. ვუყურებ და უბრალოდ ვერ წარმომიდგენია, რომ ამ სიმშვენიერები შეიძლება კაცმა- კაცს

აწყენინოს. ახლა ხეობას ზევით ავაყოლე თვალი. ცოტა გამიუჟჭდა გუნება. ხუთი-ექვსი უნიჭო სახლი მართლა უადგილო-ადგილას იდგა. უმოძრაოდ ვიჯექი, მაგრამ ტვინი არ ისვენებდა. ზედი-ზედ მომივიდა რამდენიმე საყურადღებო აზრი. გადავწყვიტე მეორე დღესვე გამუკეთებინა.

ცხრა საათზე მავრი, ნოდარი, გოგი და მე შევხვდით. ათონის მონასტრის გადაკეთებულ სასაუზმეში ვისხედით. სმა წავიდა ღირსეული. დრო გადიოდა. კარგა დავთვერი. მავრი და მე ანგარიშს კუსწორებდით, რომ მომესმა ნოდარის ხმა - გურამ აქეთ, გაცემენ. გავვარდი - რას დაინახავ - აფხაზები, როგორც მერე გამოირკვა ტყუილ-უბრალოდ ან შეცდომით დახვდნენ ბიჭებს და უბათქუნებენ. სანამ შემეძლო მოგერიება ვიგერიე, მაგრამ ნათლიმამამ მიღალატა და ორმოში ჩამივარდა ფეხი-ბლომად იყვნენ, შემდგნენ წიხლებით. ერთი წიხლი კი მომდეს ყბაში, მე სწრაფად გავაკეთე მკვდარი დაცვა და დავიძინე. როგორც ეტყობა კაი ხანს მირტყეს, ადგომის არც თავი მქონდა, არც სურვილი. დავინახე, რომ გოგის და ნოდარს ხელს აღარ ახლებდნენ.

როცა გავიღვიძე მარტო ჩვენი ბი-

ჭები იყვნენ. მავრისთვის გულზე დანები დაუდვიათ ისე ჰყავდათ გაჩერებული. მე კარგად აღარ მახსოვს. გამოვსულვარ ღრიალით, ლანძღვით, საცეკვაო მოედანზე ვეძებდით იმათ. უშედგოდ, კიდევ კარგი-ალბათ კიდევ დაგვეგვავდნენ-ძლივს ვიდექით ფეხზე. მავრიმ 300 მანე-თი დახარჯა.

დღეს დილით გავიღვიძე, ვიხედები სარკეში - რას ნახავ-ყბა გასიებულია. ეს არაფერი. ნოდარი გავგზავნე ჩვენებთან.

დამე გოგი ცუდად ყოფილა. ვიყიდებით. მართლა, იმ ღამესებე ნოდარი შევგზავნე ლიდასთან, გამოვიდა, სისულელები ვილა-პარაკე. დღეს მარინე დაუბარებია (ნუ გეშინია, სიყვარულზე არა!). შენ დუსიას უკითხიხარ წყენით, რად აურიაო? ვიყ-იდებით, ნელ-ნელა მეც მწყინდება ზღ-ვაზე ყოფნა და თავგადასავლები. შეი-ძლება მალე ჩამოვიდე, თბილისი ძალიან მომენატრა.

ახალი ათონი, 1956 წლის აგვისტო

მერილი დავით ღოღობარიშვილის მერილი აზაურ დათუა ღოღობარიშვილის

მის მეგობარ კეთილშობილი სისხლის მქონე გურამ რჩეულიშვილისაგან

I. შესავალი (თეზისები)

II. ძირითადი ნაწილი

1. მოკითხვა დათუას და მისი ჯანმრთელობის გამოკითხვა

2. დედის მოკითხვა

3. ჩემი ამბავი

4. მარიკას დაბადების დღის მიღოცვა

5. მწუხარების გამოთქმა, რომ შერა მღებრიშვილი ვერ მოხვდა

6. აქაური საინტერესო ამბების მოყოლა.

7. ღვთის მონების თავად რუსიშვილის, თავად წერეთლის და მთავარ ინასარიძის შესახებ ცნობები (მოკლედ)

8. ცნობები ზაფხულის ქერაობების შესახებ (არაფერი დაიჯერო).

9. ფული თუ გააკეთა დათუნამ ზაფხულში, ე.თ. თბილისში თუ იქნება შეხვედრისას პურმარილი.

III. დასკნა.

გურამ რჩეულიშვილის მეგობარი და მეზობელი. წერილი გაგზა-ვნილია ახალი ათონიდან, სადაც გურამი ისვენებდა ოჯახთან და მეგობრებთან ერთად. ხუმრობა და სასიათი კონვერტის გარედანაც ჩანს: ქუთაისი, ლაჯანურპესმშენი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტ დავით ღოღობერიძეს. გამგზავნის მისამართიდან უკვე იწ-ყება ხუმრობა: ქ.თბილისი, პეტრიაშვილის ქუჩა № 13, ღოღობერიძე დავით.

I. მას შემდეგ, რაც დაგშორდი, როგორც შენც მოგეხსენება, აღარ მინახინარ.

II. 1. ძმაო დათო, ვიღებ კალამს და ათონიდან გიძლვნი სალამს წრფელი მეგობრული გულის თანხლებით.

თქვენი დიდი თავი ხომ კარგად ბრძანდება, ხომ არ ავადმყოფობთ და სხვა წვრილმანები.

2. სერიოზულად: როგორ არის დეიდა ფეფიკო? ბიჭო, თბილისში რასაც აღელვებ ის იქმარე და მაქედან მაინც გაუგზავნე ხოლმე ხშირად წერილები, უფრო დამშვიდებით იქნება.

3. მე, როგორც მოგეხსენება ჩემი ამბავი, მე თვითონ არ ვიცი როგორა ვარ.

4. მომილოცნია შენი საყვარელი ბიძაშვილი მარიკას დაბადების დღე, გისურვებ ცხოვრებაში წინსვლას (რა შუაშია?)

მარიკას ვუსურვებ მე-5 კურსისა და უნივერსიტეტის სახელოვან დამთავრებას, მერე გათხოვებას, როგორც მის მშობლებს, შენ და ჩემ ყველას გაგვეხარდება. როგორ არის ცისანა, ივიკო, ნანი, ორინა, ნანა, ინესა, ტურანდოტი და ა.შ.

ირინას მამა მიშა....

შენი კი არა, ჩემი ნათესაობა ვერ ჩამომითვლია ისე ვარ გაბეზრებული სიცხითა და არყით

5. შენი ბიძაშვილი შურა, როგორც შენვე გითქვამს მისთვის – უმაღლესი-სათვის სათანადოდ მომზადებული არ იყო და ვერ მოხვდა. პუპლეც. ახლა ჩემს ვილაში გადმოვიყვანე ზღვის პირას, მე ცალკე ოთახი მაქვს, ის და ნოდარ ზედელაშვილი კი ჩემს გვერდზე ოთახში ისვენებენ.

მწუხარებას გამოვთქვამ შურას ვერ მოხვედრის გამო.

6. აქ დიდი ამბებია. მხოლოდ მაშინ ვსვამთ, როცა სხვას აქვს ფული (მე, შენც მოგეხსენება, ოჯახი საარყე ფულით არ მეხმარება) სხვას საშუალოდ სამ დღეში ორჯერ აქვს ხოლმე ფული.

რაც აქა ვარ, სულ სამჯერ მცემეს მთვრალი, რომ მცემეს აღარ მახსოვს, მხოლოდ მეორე დღეს ვატყობდი „სინიაკებზე“. ოთხჯერ გამოვედი ფხიზელი „დასტოინად“, ოლონდ ქვევიდან. მურტალი ხალხია, კბილებამდე არიან შეიარაღებული რეაქტიული თვითმფრინავებით, ტანკებით, ატომური იარაღით (ხომ იცი, ატომის საუკუნეა), ქვებითა და ბლაგვი, ჟანგიანი ჯაყვებით (აფხაზები განვითარების დაბალ საფეხურზე დგანან), აქვთ ხელკეტებიც და სხვა პირველყოფილი იარაღი (ქამრის ბალთების მსგავსი).

აქა ვხურავ დიდ და პატარა ფრჩხილებს – შენ გახსენი.

7. თავადები რუსიევი, წერეთელი და მთავარი ინასარიძე, როგორც მოგეხ-

სენება, აპირებდნენ ნუგზარის ჩეხური ფეხსაცმელების სასყიდლად კისლოვოდ-სკში წასვლას.

გასწი-გაჭიმე, ვარიანტი მგონი „ტუფტა“ აღმოჩნდა. ჯიგარმა რუსიშვილმა კრახი განიცადა, მაგრამ იმედს არ იწყვეტს, თურმე იძახის დედას ვუტირებ გაისად წავალო. ბილეთი უკვე აუღია.

აქ არის გურამის ჩანახატები

8. აქ იყო მაჭავარიანი. ერთ მშვენიერ დამეს ჩეუბი ატყდა, მეორე დღეს ერთი ჯენტლმენი მოაყეჩეს, გივი აითესა. ჩამოვიდნენ იკა და პარჩო: შენს მისამართს ისინი მაძლევენ.

9. ახლა განსაკუთრებული პატივით მინდა მოვიკითხო (მართლა, კინაღაშ დამავიწყდა, ადამია ვნახე სოხუმში).

სხვა რასა შვრებით, როგორ ბრძანდებით, ხომ კარგად ა?

ჩემი დათო, ფულს თუ აძლევენ მაგ მხარეში, ხო? რას მეუბნები, ბიჭო, არ შემოგეხარჯოს, მოუფრთხილდი, დაგვჭირდება თბილისში, ხომ იცი სამადლო კარგი პურის საჭმელი ადგილია.

დასკვნა: ამრიგად, შენ, როგორც მითხრეს, კარგადა ხარ, მე როგორც გწერდი ვარ ცუდად (ნაცემი და უქრავებული)

თავადები თბილისში უნდა იყვნენ. შენ ფულს ალბათ მანდვე დახარჯავ.

**გწერს პატივისცემით შენი პატივისმცემელი შენი
მეგობარი თავადი გ.რჩეულიშვილი**

მთვრალი არყითა და მისი ფანჯრიდან გადაშლილი, ზღვაში არეული არყის ხეების სიმშვენიერით.

წელი 1956

* * *

ნუგზარ, ნოდარ, ბორია!

მე მოვკვდე, (ჩემი სიკვდილი რათ გინდათ) ძალიან, ძალიან მომენატრეთ. უთქვენოდ თბილისი ჩემთვის ცარიელია. მარტო რუსიკ მაძლებინებს. ჯიგარომ სულ გააფრინა: ახლა სხვა უყვარს! ხელზე „ნაკოლება“ გაიკეთა: ლ.გ.

„ფარშავანგი ამოფრინდა აბრეშუმის ჯიგარო

ბუდიდნ, ლეიილ, შენი სიყვარული ლ.გ.

არ მშორდება გულიდან“.

ახლა სუფრაზე ლიზიკოს სიყვარულის შესანდობარი ისმება. ეპ, ჯიგარო, რას იზამ! ჩემანალა ბაკურიანში ახტა, გელა უნდა ვცემო, რაღაში მჭირდებაო.

მართლა! ბაკურიანში გატარებული ათი დღიდან ორმოცდათექვსმეტჯერ იყო თამადად, ასოთხჯერ არწყია, ოციათასამდე კაცი ცემა: გოგოები იძახდნენ ნეტავ მაგის საყვარელსაო, დედები გაიძახოდნენ: ნეტავ დედამისის მზესაო, სომხები გაიძახოდნენ: ლავე ბიჭო არის ესაო!

ერთხელ ფოტოგრაფის აუხტა: ბაკურიანელები გაიძახოდნენ: ჩამო მარხილ-იდან („ტაჩიდან“) თორე დედას და აბა, თქვი ჭ-ო და სხვა.

ერთი სიტყვით, როგორც ატყობთ, მეც გამოვყეყეჩდი (მა რა იქნებოდა ათი დღე „მერზავეცთან“ ვცხოვრობდი). ჩვენთანვე იყვნენ: ქოქლან (საიდანო, იკითხ-ავთ), სიხარა („ტოუე“, მერაბ ელიოზიშვილი ექვსი ბოთლი ენისელის მარკის კონიაკით.

ჩამოსვლამდე დეპეშა დამირტყით: „გსტრება“, ჯიგარო, უელტუხინი და ამბავი,) რუსიშვილს წერაც დაავიწყდა, ასოებს ვეღარ არჩევს და მის მაგივრა-დაც მე ვწერ, არც დრო აქვს წერის, გერც ვხედავ (ლეილა, ჯიგარო).

ნახვაძის. გ.რჩეულიშვილი.

1956 წლის თებერვალი, ბაკურიანი.

პ.ს.

ნუგზარ, დღეს ვნახე კოშევორ ვიქტორ. მოდიოდა რუსთაველზე, ჩიჩოტ-კას ურტყამდა: ათი დღეა ცეკვის კურსებზე ვარო. წერილებსა გწერდითო. პატივი ვერ ვეცი. დუშეთში მიდიოდა. მახლას.

1. ნუგზარ წერეთელი, ნოდარ ზედელაშვილი, ბორია ინასარიძე— გურამ რჩეულიშვილის უახლოესი მეგობრები. სამოგზაუროდ პეტერბურგში წასულებს მისწერა გურამმა საერთო წერილი.

2. გურამ რუსიშვილი— გურამ რჩეულიშვილის უახლოესი მეგობარი.

**ბორჯომი, შუშის ქარხანა, მთავარ ინჟინერ სიმონ ჭანკვეტაძეს
(ნუგზარისათვის) თელავი, გურამ რჩეულიშვილი**

იდეები, იდეები და იდეები!

(ფულები კი არსადაა) მოკლე შინაარსი ჩვენი დროსტარებისა

გამარჯობა ნუგზარ! გწერს და ყველა კარგს გისურვებს შენი მმაკაცი ვამეხ რჩეულიშვილი. მანდაურ ამბებს ვირდგენ. აქ ღვინოა, რომელზეც აგრე მღერიან: „სმა და სმა უნდა ღვინოსაო“. ბიჭები ლოთობენ. მე მოწმე ვარ (არ დამელევა, შენს ჩამოსვლამდე თავს ვიჭერ).

საქმეზე: გელით მოუთმენლად 25 ივლისს, დილით. წინასწარ დეპეშა გამომიგზავნე, ხინკლის შეკვეთას მივცემ.

ჩამოდი აუცილებლად.
 მოგიკითხეს თენგიზმა, ედიმ, დედამ, მარინემ.
 გელით ქართული გულით.
 მოიკითხე ნათელა და ილია დიდის პატივისცემით.

შენი გურამი,
 ოქტომბერი, 1953 წლის 7 ივლისი.

მარკა არ არის აქ, საიდანაც წერილს
 გიგზავნი, მანეთის ზარალი უნდა გაჩვენო
 მმაო ნუგზარ, როგორ არის მმა გობრონი, შოთა და მმის შვილი გურამ
 რუსიშვილი.¹ გოგლასაგან² აღტაცებული ვარ, ერთი დღეც რო დარჩეს?! ჩაკ-
 უპატებული ბიჭია, მღერის გიტარაზე რომანსებს, ქალებს აბამს, ერთი სი-
³ შეყვარებულს ძალიან მოს-
 წონხარ, აღტაცებული დარჩა რო გაიგო შენი მმაგაცი რო ვიყავი.

მე ხომიანად მოვეწყე, ყველაფერი საკუთარი მაქვს, ცალკე, გოგოს გარდა—
 სხვათაშორის მე ერთი ქართველი ვარ, რომელიც მოსკოვში უკვე ათი დღეა და
 არ ჰყავს დაქერილი არავინ, ვახო უღენტი უფრო გახმა — უკვე ხუთი დაქერა.
 ერთად ვჭამეთ პური ვაგონ-რესტორანში და აქაც, გოგლას ბინაზე, მერე ჩემთან
 შეუბერეთ. მეორე დღეს — „ნოვოსელი“ — ვიდაც რუსებმა დაგვპატიჟეს
 ბარში — ერთი სიტყვით დიდი პურისჭამა წავიდა, მერე წამოვიყვანე ჩემთან —
 იყო მაგიდაზე ჩიჩოტკის ცეკვა — გოგლა შეუსვენებლივ უკრავდა და მღეროდა,
 იძახდა ლექსებს — ერთი სიტყვით შეუდარებელია — კარგი ბიჭია საერთოდ.

ბორიას ჩააკითხეთ, მე მისამართი არ ვიცი თორებ წერილს მივწერდი.

ნოდარამ მოიწეროს — არც მაგისი მისამართი ვიცი.

გურამს უკვე აღარაფერი უჭირს, გზაზეა დამდგარი და ეგ არის.

თინასთან ხომ არ გიშუბურია?

სამუშაო თუ დაიწყე? მმა გურამი.

მოსკოვი, იანვარი, 1958 წ.

----- . -----

1. გობრონ წერეთელი, შოთა ჩანტლაძე, გურამ რუსიშვილი — გურამ რჩეულიშ-
 ვილის მეგობრები.

2.3. გოგლა ლომთაძე, ლევან გონგლიაშვილი — შესანიშნავი ქართველი
 ბიჭები, ინჟინრები, სამწუხაროდ, ორივე ახალგაზრდულ ასაკში გარდაიცვალა..

ძმაო ნუგზარ !

რუსიშვილის ამბავმა ბევრი სიხარულის ცრემლი მადენინა. ახლა ტელეგრაფში ვზივარ, ისე უსაქმოდ, ველოდი ფულს, მის ნაცვლად შენი წერილი მივიღელმერთს გეფიცები პირველი თხუთმეტი წუთი დამავიწყდა უფულობა. უფრო ხშირად მოიწერე—მისამართი იხილე ჯიმის წერილში, რომელიც შენ უნდა გაუგზავნო თბილისში. იქნებ მოახერხო ერთი კვირით ჩამოსვლა. ახლა დავწერ გურამთან წერილს. ლეილა მართლა შესანიშნავი გოგოა—ჯანსაღად მშურს. გისურვებთ ყველას ეგეთს. „А я умру холостяком и никто блядь не узнает где могилка моя“. 

ჩამოსვლას არ ვაპირებ, ალბათ ძალიან დიდი ხნით. რა კარგი ძმაკაცები ვიყავით გახსოვს?! — ახლა მწყდება გული, რომ ბოლოს ცოტა დავშორდით ამ მოსკოვის გამო.

ბორიას გადაეცი მოკითხვა — ჩააკითხეთ ხოლმე ხშირად. „ჩორნას“ და ბორიას მისამართები მომწერე, წერილებს გამოვგზავნი.

გურამს საიდუმლოდ გადაეცი—მეც ყველა გაჭირვებას განვიცდი ფინანსურად, ერთი გამონაკლისით, რომ ცოლი არ მყავს და შემიძლია სადგურზეც გავათხო. მომწერე ზუსტად ვინ გარშემოეწყო ქვიშეთის ციხეს? როგორ გამოიტაცეთ იქიდან?

ამბობენ მაკარმა საეკლესიო წიგნში შეიტანაო /რედაქტორის უფლებით/ ეგ დღე, როგორც წყევლის დღე.

შენი გურამი

მოიკითხე დედაშენი — გაუფრთხილდი.

თუ შეძლებ გამომიგზავნე მერაბ ელიოზიშვილის მისამართი და გამიგე მამამისის ამბავი. მისწერე, ბიჭო, შენც წერილი — ცოდნა. შენი გურამი.

ქ.მოსკოვი, 1958 წლის თებერვალი

ჩემო ნუგზარ!

როგორც მოგეხსენება, ბედი მწყალობს (რა თქმა უნდა, ქეიფში). ზუგდიდში ჩამოსვლისთანავე შემხვდა დუგლას ჯაფარიძე. კვლავ დროსტარება. ის დღე ქეიფში გავატარე და ლამე მთვრალი წავდი სვანეთში. მესამე დღეს ადგილზე ვიყავი.

ბუბნი ერთ ამბავშია. ჩიკო. გიგი. აგი. ომარი და სხვანი
მომწერე წერილი.

ბიჭო, მომწერე გამოცილების ამბავი. თუ ცუდი რამეა, დამიმალე. როგორც
გთხოვე, თამილას უთხარი მომწეროს, თუ სად იქნებიან და როდის. შენც
მომწერე და თენგიზმაც. წერილი ხუთი დღით ადრე გამომიგზავნეთ ხოლმე, თუ
გინდათ რომ მივიღო.

გავდივარ მწვერვალზე.

შენი გურამი. 1955 წლის 19 ივლისი.

ჩვენებთან გადადი და უთხარი მიშა შენგელია ჩამოვიდა და თქვა გურამი
კარგად არის-თქმ. წერილი არ დამიგვიანო.

ჩემო ნუგზარ, კარგად ვიმგზავრე. ჩამოვედი და მშვენივრად მოვეწყე, მთის
ქუჩაზე, მოხუც დიასახლისთან. ქუჩის სულ ბოლო სახლია, ტყესთან, რომ
ამოხვალო, იკითხეთ მიქაბერიძის ბინა. ორსართულიანი სახლია. მეორე სართულზე
მომცეს პატარა ოთახი. რაც მთავარია მაგიდა დგას, სადაც შეიძლება წერა.
ნახევარ დღეზე მეტი პარეში ვარ. ისე მომნატრებია თხილამურებით სრიალი,
დაღლას ვეღარ ვგრძნობ. დღეს კოხტაზე ვაპირებ ასვლას. ჯერჯერობით
მზიანი და უქარო ამინდია, ცოტა ხალხია ჩამოსული. სიწყნარეა, რაც მე მჭირდ-
ება. მარტობა, როცა საწერი დაგიგროვდება და გინდა განთავისუფლდე, არ
არის ცუდი, მაგრამ მაინც მოწყნილი ვარ. წამოსვლა არ გადადოთ, გამოცდებს
დაამთავრებთ თუ არა, იმ ღამესვე წამოდით.. შენი ძმა გურამ რჩეულიშვილი.

იანგარი, 1954 წლი, ბაკურიანი.

ჩემო ნუგზარ! ამ წერილს გწერ პირდაპირ გათხრებიდან. ვმუშაობდი.
დავიდალე. ახლა ვზიგარ. ვისვენებ. თავზე მექსიკელივით ფართოფარფლებიანი
ქუდი მახურავს, რაღაც საშინლად მწველი მზეა.

სულ რამდენიმე დღეა, რაც აქ ვარ და ისე მგონია თვეები გავიდა თქვენთან
დაცილების მერე. გახსოვს რა კარგი იყო ბორჯომში, სიგრილე, დარდის დავი-
წყება, ქეიფი მეგობრებთან, ნიაზის ხუმრობები, რუსიშვილის სიმღერა, შოფერი
გრიშა. კიდევ შეიძლებოდა დარჩენა, საშუალება რომ გვქონდა. თუ დრო
გქონდეს წამოიყვანე ბიჭები და ჩამოდით, ან თუნდაც ერთი დღით მოახერხე
ჩამოსვლა ვინმესთან ერთად. ქართლშიც არ არის ურიგო ღვინოები, სულ

კახური ხომ არ გინდათ რომ სვათ.

ძალიან მენატრებით და ყოველდღე ვოცნებობ როდის შევიკრიბებით. მე მეტისმეტად მოწყენილი ვარ, უფრო მეტად საღამოობით. ჩემს თავს ვამშვიდებ და ვარწმუნებ, რომ საერთოდ, კაცი არ უნდა იყოს დარღიანი. მაინც ვფიქრობ ხოლმე, რა ცუდად დამთავრდა ყველაფერი: შენც ბევრი განერვიულე, თუ საღმე შეგხვდეს, არაფერი აგრძნობინო.

ჩვენთან გადადი და უთხარი, რომ კარგად ვარ. ვკითხულობ. ვწერ. ხანდახან მუშებთან ვსვამ. მომიკითხე ედი, ბორია, ნოდარი, გურამი, თენგიზი, შალიკო, თუმო, ჯურხა, რეზო და სხვები, ვისაც ვახსოვარ. ველი პასუხს. შენი ძმა გურამი.

აგვისტო, 1955 წელი, ს. ხოვლევ.

გამარჯობა ნუგზარ!

ძალიან მომენატრე. მამამ მითხრა ასე თხუთმეტში ვნახე თბილისში. რა მოვივიდა. ბორჯომში მაინც წასულიყავი, დაგესვენა. მაინტერესებდა კისლოვოდსკის ამბავი, რაღაც ისე შპინტრიკობდით, რომ საქმის გამოსვლა საეჭვო იყო. ახლა ჩემზე:

ახალი ათონი მართლა მშვენიერი ადგილია. მთა და ზღვა, რაც მე მინდა. ჩვენები და ნოდარი ცხოვობენ შიგ ათონში, მე კი მარტო ვარ ათონის ცოტა გარეთ პატარა ოთახში. მაქვს რადიომიმღები, პატეფონი, საწერ-კალამი. სმით არა უჭირსრა, ვსვამთ. საერთოდ მინდა თავი დავანებო. „პახმელიაზე“ ხაშის მაგიერ ხანდახან თითო ნოველასა ვწერ და ზედ არყად წერილს ან დღიურს ვაყოლებ. დღეს არაყი შენზე.

ბორიას მივწერე წერილი, მინდოდა შენთვისაც მომეწერა, გურამისთვისაც, მაგრამ არ ვიცოდი სად იყავით.

მართლა! აქ არის მავრი ზალდასტანიშვილი, არ ვიცი იცნობ თუ არა. თუ გახსოვს უნივერსიტეტთან მე რომ შერა ვაჩნაძესთან ერთად მივდიოდი სამხედროზე, შენ და ზურდანა მოხვედით. მაშინ იყო მანქანით მოსული, ვიღაცას ეძებდა, შავერემანი ბიჭია, ჩემზე ცოტა დაბალი. მოკლედ ძალიან კარგი ბიჭია. რამდენ-ჯერმე უკვე გვაპურმარილა.

ერთი კვირის წინ გოგიასთან ერთად ვიქეიფეთ (გოგიც აქაა ჩემი ბიძაშვილი) და აფხაზებმა მაგრად გვნაყეს. ტყეუილად. მე ძალიან მოვრალი ვიყავი, დანა მომიქნიეს, მაგრამ ხელით ავიცილე, მერე ფეხი თხრილში ჩამივარდა. ზედ შემდგნენ და ისე მბეგვეს. ერთი ოცი კაცი მაინც იყო.

გოგოებს არ ვეტანებით. ისე არიან. კარგები თითქმის არ მოიძებნება.

მესამე დღეა რაც ჩამოვიდა გივი მაჭავარიანი. უზომოდ გამიხარდა მისი მიღება უნივერსიტეტში, ახლა ჯავახიშვილის სახელობა მისცეს, გივის კი არა, უნივერსიტეტს. მაშინვე დაიწყო გივიმ შპინტრიკი. ნუგზარ! ჭულუს უნდა მივართვათ დაფნის გვირგვინი და ფასიანი საჩუქრები ოლიმპიადაზე საუკეთესო ნაწარმოების წარდგენისათვის. შენთვისაც მომილოცნია-ბევრი იწვალე.

ბიჭო! რო იცოდე რა ლამაზი სახლი მაქვს თავისი ფანჩატურით ზედ ზღვაზე, ნეტა შეიძლებოდეს ჩამოხვიდე. ძია აკაკის მერიდება, თორემ აქამდისაც დაგპატიუბდი. ხო იცი, ასეთი წერილიდან დაიწყო ყველაფერი.

მე უმეტესად მოწყენილი დავდივარ. უთქვენოდ მიჭირს, თან ზღვა აყენებს კაცს ნაღვლიან ხასიათზე

ჩემთან ერთი კვირით სტუმრად იყო ჯურხა. აქ ყოფნისას რამდენიმე გენიალური აზრი მოუვიდა. ერთი რუსების შესახებ. „რუსები არიან ცივილიზაციის სანაგვე ყუთში ამოთხვრილი, გამაიმუნების გზაზე დამდგარი ადამიანები“ და სხვა. ამ აზრზე დააყენეს რუსმა ქალებმა საცურაოზე პომიდორის ჭამის დროს. ისე ძალიან კმაყოფილი და მხიარული იყო. გოგოც გაიჩინა.

ნახვამდის !

დიდი პატივისცემით და სიყვარულით მომიკითხე დეიდა ცუფა და ძია აკაკი, აგრეთვე ჯონდო და გობრონი.

ჩემს მაგიერ აკოცე ან თავში ჩაარტყი კომპოზიტორ რუსიშვილს, უთხარი წერილის მოწერა მინდოდა, მაგრამ რუსთაველის რა ნომერია ვერ გავიხსენე. ჯიგარო.

მომიკითხე თბილისი. აქ მინდა სექტემბრის 10-მდე დარჩენა.

მართლა, თუ ნოდარ დიდიძე ან ფარვიზა ნახო, უთხარი თქვენი ძმაკაცი მამია აქ არის-თქო. გუშინ გვაქეიფა. ოქრო ბოჭია.

ჩამოსულია დოდო და ალეკო.

ნახვამდის.

თავადი გ. რჩეულიშვილი.

წელი 1956, აგვისტო 23.

P.S. დღეს ვზეიმობთ ნოდარ ზედელაშვილის დაბადების დღეს. აქ არის მარინა კერუსელიძე თავისი ძმით. მოკლედ დიდი ამბებია.

გადაბეჭდილია 1977 წელს,
გურამის 1958 წლის წერილიდან

ჩემო ნუგზარ!

თითქმის თვე გავიდა და წერილი აღარ მოიწერე. ალბათ დაკავებული ხარ ქეთებითა და ლამაზი გოგოებით, ან იქნებ წერით ერთობი და ჩემთვის ვეღარ მოიცალე. ტყუილად ხომ არ უთქვამთ: „თვალი თვალს რომ მოშორდება გულიც გადასხვაფერდება“.

ამიტომ გადავწყვიტე მე თავადმა რჩეულიშვილმა თავად მოგწერო წერილი თავად წერეთელს, თავად რუსიშვილისა და აზნაურ ღოღობერიძის მეგობარს, თავისუფალი გლეხების ზედელაშვილისა და ცხვირავაშვილის ბატონს.

ყველანი მენატრებით, ჩემი სახლიც მომენატრა, თბილისიც. მარტოობა წერისათვის აუცილებელია, ფიქრის დროს ხელს არავინ გაშლის, მაგრამ სულიერად მაინც დამთრგუნველია. თავშიც ბევრი უსიამოვნო აზრი მიტრიალებს. თქვენ ყველანი შორს ხართ, ერთად ხართ, მე კი აქ ვარ ერთ ციცქა ოთახში გამომწყდეული, დღე და ღამ წერით და ფიქრით დაღლილი. ახლაც ვფიქრობდი (როგორც ხშირად): ათი წელი რომ ვიცოცხლო რამდენის დაწერას მოვასწრებ, რამდენი მაქს გასაკეთებელი, რამდენი აზრი და იდეა მიტრიალებს თავში.

ხანდახან, როდესაც წერას მოვრჩები, ლექსებსაც ვწერ ხოლმე, უფრო მეტად თეთრ ლექსებს. ზოგიერთი მომწონს კიდეც. ისე შენნაირი რითმის და რიტმის გრძნობა რომ მქონდეს, დარწმუნებული ვარ ბრწყინვალე ლექსებს დავწერდი.

სულ თქვენ მაგონდებით. რამდენს ვიცინოდით, რამდენს ვხუმრობდით. რა სასიამოვნო იყო ის მარტის ბოლო. ვისაც არ უნახავს, ამის გაგება რა თქმა უნდა გაუჭირდება.

ნეტავ აქ იყო. რა კარგ დროს გავატარებდით ერთად, რამდენ რამეს ვნახავდით, რამდენ რამეზე ვიღაპარაკებდით, წავიკითხავდით, გავარჩევდით, დავწერდით, ვიქეიფებდით. სულ მეჩვენება, როგორც იცოდი, მოხვალ და მოულოდნელად მომიკაკუნებ ფანჯარაზე, რომ უფრო გავიხარო. რა კარგია ნაღდი მეგობრობა, რა შეუდარებელი გრძნობაა.

გუშინ სიზმარში შენ, გურამ გეგეშიძე და ედი გნახეთ, ფუნიკულიორზე ვქეიფობდით. იქნებ კარგად აგვიხდეს. სულ ცუდზე ჩემმა მტერმა იფიქროს.

ნუგზარ! სასწრაფოდ გადმომიწერე და გამომიგზავნე ტიციან ტაბიძის ლექსი „შეხვედრა კონსტანტინე ბალმონტთან“. ძალიან მჭირდება მოთხრობისათვის ან პიესისათვის. ვნახოთ, ამ ლექსიდან მგონი ზუსტად მახსოვს მხოლოდ:

”Я был в России, грачи кричали,

Грачи кричали: Зачем? Зачем?”

მე აქ ალბათ ერთ სამ-ოთხ თვეს კიდევ დავრჩები, თუ მამაჩემმა მიშამ

დაფინანსებაზე უარი არ მითხრა.

ახლა როგორც წესი და რიგი მოითხოვს, მომიკითხე ჩვენი ძმაკაცები (მკითხაობა რომ არ დაიწყო ვინ ვინ არის, საქმეს გაგიადვილებ და ზოგიერთების გვარებსაც მივუთითებ): ედი, ბორია, შალიკო, გურამი (გეგეშიძე), გურამი (რუსაშვილი), გურამი (თიგანაძე), ქართლისი (სვანიძე), ქართლისი (ჯაფარიძე), მალხაზი, თენგიზი (ჯაშაშვილი), თენგიზი (ნაცვლიშვილი), ერლომი, თემო (ბერიძე), თემო (ჯაფარიძე), ჯურხა, ჰასანა, უორა, ომარი, ბერდო, გიგუშა (ამათ გვარები არ სჭირდებათ), აგი, ვაჟა, კუზმანა (არც ამათი გვარებია საჭირო), რეზო (ერისთავი), რეზო (ამაშუკელი), რეზო (თოდუა), ნოდარი (ზედელაშვილი), ნოდარი (ცხვირავაშვილი), ნოდარი (დიდიძე), ოთარი (დიაკონიძე), ოთარი, პუჭურა (იმედაშვილი), ჯიმი დიღმელიშვილი-რჩეულიშვილი, დათო (ჯავახიშვილი), დათო (ღოღლობერიძე), ზურიკო (წერეთელი), ძმა გობრონი (იგივე წერეთელი), მერაბი (სიღამონიშვილი ფანცქალათურთ), შოთა (ჩანტლაძე), შოთა (შუბლაძე), შოთა (თანდილაშვილი), ბიძინა (სეხნიაშვილი), ბიძინა (ქუშიაშვილი), თამაზი (ტოვონიძე), თამაზი (თოფაძე) (მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში ვნახე), თამაზი (ჭელიძე), გოგი (ცინცაძე), გოგი (დემეტრაძე), გოგი ჩემი ბიძაშვილი და ყველა, ვისაც ვახსოვარ.

ფულს, ვიცი, არცერთი არ გამომიგზავნის, საკუთარ დალევას ვერ უდალატებენ. მე მაგათოვის რომ ვწვალობ და ვშრომობ აინუწმიც არ აგდებენ, მუქთად ისტორიაში შესვლა კი ძალიან უყვართ.

ზემოთ ჩამოთვლილ მართლა ისტორიულ სიას თუ გინდა დაუმატე პეია, ქაქლანა, სეროფა, ალაოტელი, ბოყლორტი, პატაშა, ჩიდანა, ჭურტუ, ბაბჩა, ბაქირა და ვინც შენ გაგიხარდება. გოგონების მოკითხვას და ნახვის ნატვრას შემდეგი წერილით გაცნობებ, ახლა კი დავიღალე ამდენი გახსენებითა და ჩამოთვლით.

ბიჭო! ხუმრობას თავი გავანებოთ და იცოდე არ დაგეზაროს წერილისა და ლექსის მოწერა.

ისინი ხომ არ შეგხვედრიან? თუ შეგხვდნენ არაფერი აგრძნობინო. ნორმალურად მოიკითხე. რას იზამ, ცხოვრება ასეთია. გახსოვს ჯერ „გირიჩნზე“ და მერე თამილასთან რამდენი ხანი ვსწავლობდით ინგლისურს. მგონი არავითარი წარმატება არ მოგვიპოვებია. ველოდები სასწრაფო პასუხს. მომიკითხე დიდი სიყვარულით დედაშენი და მია აკაკი, აგრეთვე მაკარი და ფეფიკო. უცებ „ქეთო და კოტე“ არ გეგონოს.

გპონი შენი ძმა გურამ (ვამეს) რჩეულიშვილი.

აპრილი, 1958 წელი, მოსკოვი,
რუსეთის დედაქალაქი და ყველა არეულის თავშესაფარი

დიდი რუსი პოეტი



ბრწყინვალე რუსი პოეტის სერგეი ესენინის შემოქმედებასთან ჩემი შეხვედრა ნახევარ საუკუნეზე მეტი წნის წინ მოხდა, მაშინ თხუთმეტი წლის ბიჭი ქალაქ ცხინვალის პირველი საშუალო სკოლის მეცხრე კლასში გსწავლობდი. ჩვენი ოჯახის აყრა და მშვენიერ ქართულ ქალაქ ცხინვალს გადაბარება მართლაც ბოროტი ძალის შედეგად მოხდა. პოლიტიკური პატიმრის სტატუსით ათი წელიწადი უსაშინლეს ციხე-კოლონიებში ნატანჯი მამაჩემი აკაკი წერელი, პოეტი, ლიტერატურათმცოდნე და მწიგნობარი კაცი, ციხიდან გამოსვლის შემდეგ „ტროიკის“ დაუნდობელი განაჩენის თანახმად დამატებით ხუთი წლით გასახლებული იყო საკუთარი ქალაქიდან, ცხოვრება მხოლოდ თბილისის გარეთ 100 კილომეტრზე მეტის დაშორებით შეეძლო. არაადამიანური ტოტალიტარულ-დესპოტური ვითარების გამო თბილისიდან აყრილი ჩემი ოჯახი ოთხი წლის მანძილზე ცხინვალში ცხოვრობდა, ერთი წელიწადი მამა მარტო იყო, სანამ ჩვენ კლასებში სწავლას დავასრულებდით, ისე გადასვლაზე თანხმობას ხალხის მტრის შვილებს ვინ მოგვცემდა. სწორედ ცხინვალში სწავლისას მამამ მომიტანა სერგეი ესენინის ერთტომეული, კომუნისტების დროს განუმეორებელი რუსი პოეტის შემოქმედებაც შერისხული იყო და მისი წიგნის შოვნა დიდ მოვლენას უდრიდა. ესენინის პოეზიამ ძალიან ღრმა, უფრო მეტიც-შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, დღეც და ღამეც შეუსვენებლად ვკითხულობდი, ძილიც კი არ მინდოდა. მერე გადაულახავი სურვილიც დამეუფლა ლექსები მეთარგმნა. ახალგაზრდობა მათამამებდა თორემ. ესენინის ფილიგრანული პოეზიისათვის ისე იოლად ვერ უნდა შემებედა. იმ შორეულ წლებში სასიყვარულო ისტორიებისაკენ უკვე ძლიერად ვიყავი მიდრეკილი, ალბათ, ამ მიზეზის გამოც ვთარგმნე ცნობილი ლექსი „შენ არ

ბრწყინვალე რუსი პოეტის სერგეი ესენინის შემოქმედებასთან ჩემი შეხვედრა ნახევარ საუკუნეზე მეტი წნის წინ მოხდა, მაშინ თხუთმეტი წლის ბიჭი ქალაქ ცხინვალის პირველი საშუალო სკოლის მეცხრე კლასში გსწავლობდი. ჩვენი ოჯახის აყრა და მშვენიერ ქართულ ქალაქ ცხინვალს გადაბარება მართლაც ბოროტი ძალის შედეგად მოხდა. პოლიტიკური პატიმრის სტატუსით ათი წელიწადი უსაშინლეს ციხე-კოლონიებში ნატანჯი მამაჩემი აკაკი წერელი, პოეტი, ლიტერატურათმცოდნე და მწიგნობარი კაცი, ციხიდან გამოსვლის შემდეგ „ტროიკის“ დაუნდობელი განაჩენის თანახმად დამატებით ხუთი წლით გასახლებული იყო საკუთარი ქალაქიდან, ცხოვრება მხოლოდ თბილისის გარეთ 100 კილომეტრზე მეტის დაშორებით შეეძლო. არაადამიანური ტოტალიტარულ-დესპოტური ვითარების გამო თბილისიდან აყრილი ჩემი ოჯახი ოთხი წლის მანძილზე ცხინვალში ცხოვრობდა, ერთი წელიწადი მამა მარტო იყო, სანამ ჩვენ კლასებში სწავლას დავასრულებდით, ისე გადასვლაზე თანხმობას ხალხის მტრის შვილებს ვინ მოგვცემდა. სწორედ ცხინვალში სწავლისას მამამ მომიტანა სერგეი ესენინის ერთტომეული, კომუნისტების დროს განუმეორებელი რუსი პოეტის შემოქმედებაც შერისხული იყო და მისი წიგნის შოვნა დიდ მოვლენას უდრიდა. ესენინის პოეზიამ ძალიან ღრმა, უფრო მეტიც-შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, დღეც და ღამეც შეუსვენებლად ვკითხულობდი, ძილიც კი არ მინდოდა. მერე გადაულახავი სურვილიც დამეუფლა ლექსები მეთარგმნა. ახალგაზრდობა მათამამებდა თორემ. ესენინის ფილიგრანული პოეზიისათვის ისე იოლად ვერ უნდა შემებედა. იმ შორეულ წლებში სასიყვარულო ისტორიებისაკენ უკვე ძლიერად ვიყავი მიდრეკილი, ალბათ, ამ მიზეზის გამოც ვთარგმნე ცნობილი ლექსი „შენ არ

გიყვარვარ და შებრალებაც არ გაქვს“... მამამ მომიწონა ლექსის თარგმანი, ბევრი რამ ამისსნა და მირჩია ჯერჯერობით უფრო მეტი მემუშავა საკუთარ თავზე, მეტი მექითხა, მეწერა, შინაგანად მოვმზადებულიყავი და თარგმანსაც მერე შევჭიდებოდი.

აღნიშნული ლექსი იყო ჩემი მთარგმნელობითი მოღვაწეობის პირველი ცდა. შემდეგაც, სულ სხვა და სხვა წლებში უბრუნდებოდი სერგეი ესენინის საოცარ, თითქოსდა ამოუწურავ შემოქმედებას და ბიჭობიდან ახალგაზრდა კაცობაში ფეხშედგმულმა სიყვარულით ვთარგმნე რამდენიმე ლექსი. დღეს ქართველ მკითხველს მოკრძალებით ვთავაზობ მთლილ სამ ლექსს - დიდი რუსი პოეტის სერგეი ესენინის უბადლო პოეზიიდან ამოკრეფილ ჩემეულ თარგმანებს.

ნუგარ ფერმელი

* * *

შენ არ გიყვარვარ და
შებრალებაც –
არ გაქვს, არ ვარ მე
ლამაზი ალბათ,
თვალსაც მარიდებ, გაღელვებს ვნება,
მხრებზე ხელებით მეყრდნობი ყალბათ.
ჯერ ახალგაზრდავ, ნამსხვრევი
გრძნობით
არ ვარ უხეში, გულს ეს მიყუჩებს,
მომიყევი მე ალერსის ტრფობით
რამდენ ხელს იცნობ ან რამდენ
ტუჩებს.
ისინი გაჰყვნენ ლანდად ნაკადებს,
ვერ მიეკარნენ შენს ცეცხლს
ხელუხლებს,
ბევრის მუხლებზე იჯექ აქამდე,
დღეს კი უკვე მე მიმშვენებ მუხლებს.
ვხედავ მე შენ შავ მინაბულ თვალებს,
ვგრძნობ რომ კვლავ ფიქრობ

ვიღაცა სხვაზე,
თუმც სიყვარული სულს არ აწვალებს,
მაინც ოდნავი მი პყრობს სიბრაზე.
ნუ დაუძახებ ამ მტვერს ცხოვრებას
ან ამ უფიქრალ ფიცხ კავშირს
გულთა,
უცბად შემყარა შენთან წსოვნებმა,
გაიღიმე და გამშორდი ტურფავ.
კვლავ წახგალ ვიცი გზით საკუთარით,
ისევ გააბნევ დღეებს სევდიანს,
კვლავ გეყოლება ათობით ქმარი,
რაც ქვეყანაზე შენი ბედია.
და როცა სხვებთან შესახვევებით
კვლავ ისეირნებ ტრფობის თამაშით,
მეც ვისეირნებ სევნებ-სვენებით
და ჩვენ ერთმანეთს შეეხვდებით მაშინ.
მიბრუნებული მეორის მხრისკენ
თავს დახრი იღნავ ღიმილით ძირს,
მეტყვი—საღამო მშვიდობის, მისტერ,
მეც გეტყვი — საღამო მშვიდობის, მისს.

სულს არაფერი არ შეაშფოთებს,
და ტანის ურულაც არ დაიწყება,
ვისაც უყვარდა — ტრფობას ვერ
შეძლებს,
ვინაც იწოდა — არ დაიწვება.

* * *

ნახვამდის ჩემო მეგობარო,
ქცევით გულთბილით
შენ ჩემს გულში ხარ ძვირფასო ახლა,
და განშორება ჩვენი კუთვნილი
წინაც გვპირდება შეხვედრას ახალს.
ნახვამდის კარგო, რის სიტყვა და
ხელის ბოძება,
წარბებს ნუ შეჰყრი, დარდს მოეშვი
სანამ გნახავდე,
ამ ქვეყანაზე სიკვდილიც კი უპე
მოძველდა
და რა თქმა უნდა, არც სიცოცხლე
არის ახალი.

საბჭოთა რუსეთი

ა. სახაროვს

ჩადგა გრიგალი. გადარჩენა ცოტას
ეწერა.
წლების ძახილმა მეგობრებზე სევდა
მომფინა.
ჩემს დაობლებულ მხარეს ახლა ისევ
ვეწვი,
სადაც რვა წელი აღარ ვყოფილვარ.
ვის დავუძახო? ვინ იქნება ფიქრთა
მხილველი
სევდიან ლხენას, რომ დავდივარ ისევ
ცოცხალი,

აქ წისქვილიც კი — გამოჭრილი
ხისგან ფრინველი,
ერთადერთი ფრთით, — იყურება
თვალით მიწყალით.
მე აქ დავდივარ როგორც ეული,
ვისაც ვახსოვდი, დამივიწყეს
დიდი ხანია,
სადაც ოდესლაც იდგა სახლი
მამისეული,
ნაცრად ქცეულა, იქით აღარ
მიმიხარია.
ცხოვრება კი დუღს,
თვალი თითქოს ცქერას მავალებს,
მოხუცებულ და ახალგაზრდულს
ვხედავ სახეებს,
ვის მივესალმო ჩემი ქუდით, ჩემი
სახელით,
ვერვის თვალებში ვერ ვპოულობ
მყუდრო სავანეს.
და გონებაში გამკრავს ფიქრი
ოხერტიალი,
რაა სამშობლო?
ნუთუ მხოლოდ ეს სიზმარია?
ვარ პილივრიმი აქ ყველასათვის,
მოხეტიალე,
დაბრუნებული ღმერთმა იცის რომელ
მხარიდან!
თანაც ეს მე ვარ! მოქალაქე ამა
დაბათა,
რომელთაც განთქმა სახელისა
ელით იმათი,
რომ აქ როდესლაც დედაკაცმა
ერთმა დაბადა
მოუსვენარი რუსი „პიიტი“.
მაგრამ გონება გულს არიგებს ბევრის
მნახველი,

„რამ დაგაღონა, საჭიროა აქეთ
მოხედვა,
ახალი ქვეყნის აქ გაისმის მხოლოდ
სახელი,
და სხვა თაობა დგება ქოხებთან,
შენ კი დაჭვნობის მოგზვდა ისარი,
ახალგაზრდების ხმები სოფელს
გადაეყარა,
მათ სოფლის ნაცვლად დედად ექცათ
მთელი ქვეყანა,
საინტერესო ხდება მათი ყველა
მიზანი.“
ოი, სამშობლოვ, სასაცილო გავხდი
როგორი,
ჩავარდნილ ლოყებს აწითლება
მშრალი მოელის,
თანასოფლელთა ენას ვისმენ,
როგორც მოგონილ
და სამშობლოში ჩემში თითქოს ვარ
უცხოელი.
აი, მე ვხედავ:
საკვირაოდ თანასოფლელნი
თემთან შეგროვდნენ, ვითომც საყდრის
იყოს ცხონება,
გაუჩორქნავ და მოუხეშავ ენით
მოფენილ
აზრებით ბჭობენ საკუთარი რაა
„ცხოვრება“
საღამო დადგა, მოოქროვილ სველი
ფეხებით
მზის ჩასვენებამ გადაშეფა რუხი
მინდვრები
და შიშველ ფეხებს, ვით ჭიშკართან
ხბორი სვენებით,
არხებ და არხებ ჰყოფენ ალვის ხეთა
რიგები.

წითელარმიელს კოჭლს და მთვ-
ლემარეს
უსმენენ ისევ,
მოგონებებში ვისი შუბლიც ჭმუნვით
ირთვება,
ის თავმომწონე სახით ყვება
ბუდიონიზე,
ან პერეკოპი ვით წაართვეს იმათ
წითლებმა.
“ჩვენ მას ამგვარად – ამნაირად,
ერთხელაც – ისე, –
ა იმ ბურუუას ის რომელიც
ყირ
იმს დამცემი“
და ყურს გრძელტოტა ნეკერჩხლები
ჭმუნიან მყისვე,
და მდუმარ ბინდში კვლავ ოხრავენ
დედაკაცები.
მთიდან ეშვება კომკავშირი გლეხური
ხედვის,
გარმონის ხმაზე, ჩახლეჩვამდე,
გულმოლგინებით,
აგიტაციურ ფურცელს მღერენ დემიან
ბედნის,
ბარში მხიარულ ხმებით მიაქვთ იმათ
იმედი.
ასე ქვეყანავ !
რა ეშმაკად მინდოდა ნეტავ
ლექსით ღრიალი, მეგობრობას ხალხს
რომ ვპირდები,
აქ პოეზია ჩემი არვის არ უნდა მეტად
და, ალბათ, თავად – მეც არავის აღარ
ვჭირდები.
რას იზამ! ახლა შენდობას გთხოვ
მშობელ სავანეს,
რაც გეშსახურე – მე იმითაც ვარ

კმაყოფილი,
 რა ვუყოთ ჩემთვის ამღერებას არვის
 ავალებ,
 ადრეც ვუმღერდი მხარეს მძიმე სენით
 მოფენილს.

 ყველაფერს ვიღებ
 როგორც არის ვიღებ იმგვარად.
 მზად ვარ დამსხვრეულ კვალს გავუყვე
 ხელის შევლებით,
 მინდა სულითაც ოქტომბერს და
 მაისს მიმგვარონ,

 ოღონდაც ლირას უსაყვარლესს ვერ
 შეველევი.
 მას მე ვერასდროს უცხო ხელებს ვერ
 ჩავაბარებ,
 ვერც დედას მივცემ, ვერც მეგობარს
 და ვერც მეუღლეს,
 ის მე მანდობდა, თან მხოლოდ მე, ხმებს
 მონარნარეს,

და ნაზ სიმღერებს მიმღეროდა წლებით
 შეუმღერევს.
 თაობავ ზარობ! სხეულითაც უპვე
 ახლდები
 სხვა ცხოვრება გაქვს, ჰანგსაც
 დაჰკრავს სულ სხვა იერი,
 მე მარტო წავალ, უცხო საზღვრებს
 მივეახლები
 ამბოხ სულსაც კი საუკუნოდ
 ვათვინიერებ.
 ოღონდაც მაშინ,
 პლანეტაზე როცა სავსებით
 მოსპობენ ტომთა სიძულვილს და
 ტყუილს, გოდებებს,
 მე კვლავ ვუმღერებ პოეტური მთელი
 არსებით
 ქვეყნის მეექვსედს
 „რუსს“ სახელად რომ უწოდებენ.

დაუვიწყარი თანამშრომლები

საქართველოს „საზოგადოება ცოდნაში“ განვლილი ათწლეულების მანძილზე ბევრი შესანიშნავი ადამიანი მუშაობდა, რომლებიც დიდ თუ მცირე საქმეს აკეთებდნენ და საკუთარი წვლილი შეჰქონდათ „ცოდნის“ ყოველდღიურ ცხოვრებაში, წინსვლაში, ძიებებში.

„საზოგადოება ცოდნის“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ორგანიზაციის შექმნის 60 წლის საიუბილეო თარიღან დაკავშირებით გაიხსენოს თუ ყველა ვერა, ბევრი მათგანი მაინც.

უურნალ „სიტყვის“ პირველსავე ნომერში ღრმა პატივისცემით იქნებ გახსენებულნი „საზოგადოება ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარეები პროფ-სორები ნოდარ კომაჩიძე და დამიანე გოგონია, თავმჯდომარის მოადგილუბი აკადემიკოსი ლადო ბახუტაშვილი და გურამ ტატიშვილი, „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილუბი ჯემალ ჩხეიძე, აფხაზეთის ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი ამირან თითბერია, ცხინვალის რეგიონის თავმჯდომარე მიხეილ ცოტნიაშვილი. დღესაც, უურნალ „სიტყვის“ მეორე ნომერში გულისტკივილით გვინდა გავიხსენოთ რამდენიმე მათგანი, გავიხსენო მათი საქმიანობა და პირადი თვისებები, მათ მიერ გაკეთებული

თუ გასაკეთებელი, რათა კიდევ ერთხელ დავარწმუნოთ ყველა, რომ ქვეყნად არაფერი იკარგება, რომ ადამიანი ფიზიკურად მიღის ამ ცოდვილი ქვეყნიდან, საქმე და სახელი კი რჩება საუკუნოდ.

ამჯერად გვინდა ბიძინა ახვლედიანი და სოსო მაჭარაძე გავიხსენოთ.

ბიძინა ახვლედიანი, სოლომონ (სოსო) მაჭარაძე ის ადამიანები არი-



ბიძინა ახვლედიანი

ან, რომლებიც წლების მანძილზე მუშაობდნენ საზოგადოება „ცოდნაში“,

დიდი წვლილი შეიტანეს მის განმტკიცებასა და განვითარების საქმეში, წარუშლელი კვალი დატოვეს ათასობით ლექტორსა და თანამშრომლებს შორის.

ბიძინა ახვლედიანი საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური ცოდნის პროპაგანდის განყოფილების გამგედ მუშაობდა, ხოლო სოსო მაჭარაძე ლექციების ორგანიზაციის განყოფილების გამგედ. ორივე ახალგაზრდები მოვიდნენ საზოგადოება „ცოდნაში“, წლების მანძილზე გულწრფელი პატივისცემა, სიყვარული, ქბა დაიმსახურეს როგორც კოლექტივში, ასევე ლექტორთა შორის.

ბიძინა ახვლედიანმა ადრე დაკარგა მშობლები და სახლში მარტო ცხოვრობდა. მისი ძმა ცნობილი ფრენბურთელი გივი ახვლედიანი ცოლშვილით მოსკოვში ცხოვრობდა და მუშაობდა, ხშირად ჩამოდიოდა თბილისში, კვლავ მამაპაპისეულ სახლს სტუმრობდა, უმცროს ძმასაც ახარებდა. სამაგალითო ძმობა ჰქონდათ. ბიძინა გამოირჩეოდა დიდი ერუდიციით, ინტელიგენტობითა და ქცევის კულტურით, უყვარდა ხელოვნება, პოეზია და განსაკუთრებით ოპერა. როგორც უპევ ვთქვით, ბიძინას არ ჰყავდა ცოლშვილი და ჩვენ ახალგაზრდები ხშირად ვიკრიბებოდით მასთან, ვსაუბრობდით, ჭადრაკს ვთამაშობდით, ვქეიფობდით.

როგორც ქართულ სუფრაზეა მიღებული, ჩვენც ხშირად ვმღეროდით ხოლმე, თუმცა მასპინძელს ვერავინ შეედრებოდა – საუცხოოდ ასრულებდა არიებს ოპერებიდან, ქართული სუფრული სიმღერებიც ძალიან უყვარდა. ბიძინა ახვლედიანი უცხო ენას სწავლობდა, განსაკუთრებულ ინტერესს ესპანური ენის მიმართ იჩენდა. სხვათ შორის, ენების ცოდნის სურვილმა ჩვენ ბევრჯერ სასიკეთო საქმე გაგვიკეთა, შეიძლება აქ ერთი ფაქტიც გავიხსენოთ.

საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით ხშირად ჩამოდიოდნენ უცხოეთის დელეგაციები. ერთხელ საფრანგეთის დელეგაცია გვეწვია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ განათლების დეპარტამენტის უფროსი მეუღლესთან ერთად და მისი მოადგილე. დელეგაციას ჩამოჰყვა თარჯიმანი მოსკოვიდან, სახელად ბორისი. ბუნებრივია, იგი სუკის თანამშომელი იყო და მხოლოდ ამ კუთხით იჩენდა საქმისა და შეხვედრებისადმი დაინტერესებას.

ოფიციალური შეხვედრების შემდგ, როგორც იყო მიღებული, კახეთს გავემზავრეთ. შეხვედრა-საუბრის დამთავრებისთანავე სტუმრები დაპატიჟეს სადილზე. სუფრას თამადობდა რაიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ბორისს ისე მოეწონა კახური ღვინო, რომ 3-4 სადღეგრძელოს შემდეგ აღარ ელოდებოდა მორიგ სადღეგრძელოს, თვითონ ისხამდა და სვამდა. ღვინისადმი ასე-

თი სიყვარული კი იმით დამთავრდა, რომ მაგიდასთან ჩაეძინა. ასე რომ უთარჯიშნოდ დავრჩით. აი, აქ კი ბიძინამ გამოიჩინა თავი — ისეთი თარჯიშნობა გასწია გალეშილი რუსის მაგივრად, რომ ჩვენც გვასახელა და ფრანგების დიდი მოწონებაც დაიმსახურა. იმავე საღამოს სტუმრები ფილარმონიაში ი.სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ანსამბლის კონცერტს ესწრებოდნენ. გამცილებელ-ზედამხედველ ბორიას ამ დროსაც ეძინა სასტუმრო „ივერიაში“, ხოლო ბიძინა მის ფუნქციებს ასრულებდა.

სამწუხაროდ, ბიძინა ახვლედიანი ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან. არ დარჩენა არც მეუღლე და არც შვილი. მან მხოლოდ დიდი სიყვარული და პატივისცმა გაიყოლა თან. შეიძლება ითქვას, არ გადის არც ერთი დღე, რომ ბიძინა არ გაიხსენონ იმათ, ვინც კი იცნობდა.

იგივე შეიძლება ითქვას სოსო მაჭარაძეზე, რომელიც ასევე ნაადრევად გამოესალმა წუთისოფელს. მასაც არ შეუქმია ოჯახი. სოსოს მშობლები ცნობლი პიროვნებები იყვნენ. მამა — ვლადიმერი, პროფესიით იურისტი, წლების მანძილზე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი იყო და მხოლოდ ცხოვრების ბოლო პერიოდში გადმოვიდა თბილისში საცხოვრებლად. კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დედა — ნინო აღნიაშვილი ცნო-



სოსო გაჭარაშვი

ბილი მწერალი იყო. არ არის გასაკვირი, რომ ასეთი მშობლების შვილმა მიიღო კარგი განათლება, იყო მწიგნობარი, ჟურნალისტი, ბიბლიოფილი, ერუდიტი. მის სამუშაო ოთახში ყოველთვის ნახავდით ბევრ ცნობილ ლექტორს, ხელმძღვანელი მუშაკებიდან და აკადემიკოსებიდან დაწყებული და რიგითი ლექტორებით დამთავრებული. განყოფილება, რომელსაც სოსო მაჭარაძე ხელმძღვანლობდა, აგზავნიდა ამ ხალხს საქართველოს ყველა ქალაქსა და სოფელში. შეხვედრებისას ნათლად გამოჩდებოდა ხოლმე როგორი კომპეტენტურიც იყო სოსო სახელმოხვეჭილ სპეციალისტებთან ამა თუ იმ დარგში კამათის დროს.

განსაკუთრებით უყვარდა საქარ-

თველოს ისტორია, „ქართლის ცხოვრება“, თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ნაშრომი წაკითხული ჰქონდა და ძალიან ღრმად იცოდა. ხშირად აკადემიკოსებსა და პროფესორებს აოცებდა სპეციფიკური პრობლემების ცოდნით. სოსოციალური სტაგინი უცხო ენებს, შესანიშნავად იცოდა ინგლისური და თარჯიშიმნობით ბევრ თანამშრომელს უწევდა დახმარებას თბილისში, მოსკოვსა თუ საზღვარგარეთის ქვეყნებში.

ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ სოსო იყო კარგი თამადა და ამიტომაც, როცა საპურმარილოდ ვიკრიბებოდით, თვი-

თონ, თავისი ნებით უძღვებოდა ხოლმე სუფრას. ზოგჯერ თუ თამადად სხვას ირჩევდნენ, არ მოსწონდა ეს ამბავი და პურ-მარილს დროზე ადრე სტოვებდა ხოლმე. სოსოს ფილტვების ქრონიკული დაავადება სჭირდა. ექიმების აკრძალვის მოუხედავად, მაინც ბევრ სიგარეტს ეწეოდა. ეტყობა, ამანაც გამოიწვია მისი ავადმყოფობა და ისიც ბიძინა ახვლედინივით ნაადრევად წავიდა ამ ცოდო-მადლით სავსე ქვეყნიდან.

ბიძინა ახვლედიანმა და სოსო მაჭარაძემ ხანმოკლე ცხოვრების მიუხედავად, ძალიან ბევრი გააკეთეს საზოგადოება „ცოდნის“ წინსვლისათვის და ნათელი კვალი დატოვეს.

ალექსი ჭედია, პროფესორი



ჭაშნიკი

განყოფილებაში „ჭაშნიკი“ ვტეჭდავთ პირველკურსელების ლიკა ბაკურაძის, ლიკა გურულისა და ნათია ქორიძის ლექსებს. მათ ბევრი რამ აქვთ საერთო – საქართველოს საერთაშორისო საზოგადოება „ცოდნასთან“ არსებულ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობენ, პირველი სამედიცინო ინსტიტუტ „თბილისის“ სამკურნალო ფაკულტეტზე სწავლობს, მეორენი კი ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტში გერმანული ენის სპეციალობას ეუფლებიან. ყველა მათგანი წარჩინებული სტუდენტია, ახლა იწყებენ ცხოვრებასაც და წერასაც, უსაზღვროდ უყვართ მშობლიური ქართული ლიტერატურა. სასიამოვნოა, რომ ისინი თანამედროვე ახალგაზრდული პოეზის ზოგჯერ გამოვლენილ სექსუალურ-მანიაკალურ მიმდინარეობას არ არიან აყოლილები, უფრო ქართული პოეზის ფაქიზი სასიყვარულო ტრადიციებისაკენ იხრებიან, ცდილობენ ალალი განცდებით ავსონ ჯერ კიდევ საკმაოდ გასარანდი სტრიქონები, რის სრულყოფასაც ნიჭითა და, რაც მთავარია, გულმოლეგინ შრომით მიაღწიონ. ჩვენც ამ იმედით ვტეჭდავთ პირველკურსელი გოგონების პირველ ლექსებს და უუსურვებთ „ჭაშნიკი“ მათთვის ფეხბერნიერი ყოფილიყოს.

აქვე ვაქვეყნებთ ახალგაზრდა ავტორის სალომე გოგიშვილის ნიჭიერად დაწერილ ნოველას „ცხელი ზაფხული“. ნოველის პრობლემატიკაც კი ყურადღებას იქცევს.

სალომე გოგიშვილმა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტი დაამთავრა საზოგადოებრივ ურთერთობათა კოორდინატორის სპეციალობით, აქვე წარჩინებით დაამთავრა მაგისტრატურის სრული კურსიც. არის 25 წლის, ორი შვილის დედა.

ნუზარ ცერესოლი

**ლიკა ბაბურაძე,
სამედიცინო ინსტიტუტ „თბილისის“ სამკურნალო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი**

* * *



ეჭ, რა ტკბილია ყველაფერი, რაც პირველია, რაც კი ცხოვრების საწყისი და საძირკველია. რა დამავიწყებს პირველ ტრფიალს და პირველ კოცნას, მთვარიან ღამეს, მოლოდინს და აღვლენილ ლოცვას. რა დამავიწყებს ნაცოდვილარ ამ ლექსებს პირველს, მე რომ ვმაღავდი, არ მინდოდა ენასა ვინმეს.

* * *

ეს ცხოვრება ასე არი,
მერე გზებიც იყრება,
ზოგს გოგონა უყვარდება,
გოგო კი სხვას მიჰყვება.

ასე იყო, ასე არი,
ზოგი ერთურთს შეხვდება,
გოგოს ბიჭი უყვარდება,
ბიჭი ვითომ ვერ ხვდება.

* * *

გულს მომაწვება როცა ნაღველი,
გამახსენდება მე შენი სახე.
გამახსენდება ის ძველი ქუჩა,
სადაც პირველად შორიდან გნახე.
არც უშნო ჩანდი და არც ლამაზი
რადაც სხვა ეშნი მოჰქონდათ თვალებს,
მე მაშინ გრძნობა მქონდა ხალასი,

გული შემთხოვდა გაცნობას მაღე...
ახლა დამიპყრობს როცა ნაღველი,
გამახსენდება მე შენი სახე,
რა გზით იარე,
საით წახვედი,
ვეღარად გნახე.
მე მაშინ გრძნობა მქონდა ხალასი,



ლიქა გურული
ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილი-
სის უნივერსიტეტის გერმანული
ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი

შედა ხარ ჩემი ღმერთიც და რომელიც

შეუცნობელი კრძალვის მომგვრელი
ტაძარში სუფეს იდუმალება,
ეჰ, ვინ გაიგებს ვის რა მოგველის,
ბედის სიღრმეში რა იმალება.
მე ამ ტაძარში რამ მომიყვანა,
ლოცვა მსურდა თუ ლურჯი ხატები,
შენა ხარ ჩემი ღმერთიც და რწმენაც,
მხურვალე გულზეც დამეხატები.
ისევ ოცნებას მოგიძლვი მთავარს,
ზარების რეკვა გულის ხმას ერთვის,
ღვთისმშობლის ხატთან მუხლმოყრით

ვდგავარ,
სანთელს ვანთებ და ვლოცულობ
შენთვის.
ამ სანთელივით თითქოს ბოლომდე
მეც სიხარულით დავიღვენთები,
ვლოცულობ, ოღონდ კარგად მყოლოდე,
მეც მანათობლად შენთვის ვენთები.
სპეტაკი გულით გიგზავნი ლოცვებს,
ბედნიერს ქვეყნად გევლოს მშვიდობით,
თუნდაც ერთადერთ სიხარულს მოგცებ
ავსილი რწმენით და სულდიდობით.

ოცნება ჩუმად დავქარგე
 ვისაც ვეძებდი, ვნატრობდი,
 ვერც მივხვდი, ისე დავკარგე,
 ისევე დავრჩით მარტონი
 და მეც ოცნება დავქარგე.
 დღეს შენს გარეშე მდუმარედ
 ჩემს ფიქრებს ვეჩურჩულები,
 ხარ სიყვარულის სტუმარი,
 სივრცე გაგხსნია ულევი.
 სიცოცხლეს დავთმობ, შენ – ვერა,
 მოვარდნილ დარღებს ვერევი,
 მე შენს სიყვარულს – ეს მჯერა,
 ვერასძროს ვერ შეველევი.
 დღესაც მარტო ვარ, უშენოდ,
 მინდა ოცნებას ვუშველო,
 ის სიოსავით ამჟღად
 ვარდის სურნელად დაგყვება.

როცა ქალიან
მომენატობი
 როცა ძალიან მომენტარები
 და შენზე ფიქრი დამღლის,
 დამქანცავს,
 ქარს გამოვყები და შენს
 სარკმელთან
 შევათამაშებ ფოთლებს ლამაზად.
 მოგეპარები თბილ სასოუმალთან
 უშფოთველად და ნებივრად მძინარს,
 მოგეფერები და თან უმალვე
 ჩურჩულით გეტყვი –
 მიყვარხარ ძლიერ.
 თმას შევეხები ცხელი ლოყებით,
 ცოტა ხანს კიდევ გიყურებ მძინარს
 და მერე ისევ თან გამოვყები
 ქარსა და ფოთლებს, ელვას და წვიმას.



ნათია ქორიძე
 ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის
 უნივერსიტეტის გერმანული ფაკულტე-
 ტის პირველი კურსის სტუდენტი

ოცნების საღამო
 იდგა საღამო დუმილით სავსე,
 ბევრისთვის ფიცის –
 გულწრფელის დარი,
 ახალგაზრდული ლოდინის მსგავსი
 სამრეკლოებზე რეკავდა ზარი.
 მელანდებოდა ტაბიძის მერი,
 როცა ვუსმენდი სამრეკლოს ზარებს,
 და ავსებული ხატებით შენით
 კვლავ დავეძებდი საყვარელ თვალებს.

იმ ბაღში, საღაც წშირად ვისხედით,
 ჭადრები ჩანდნენ ჩამომდგარ ბინდში,
 ის სკამიც ვნახე, რაიც ისხლეტავს
 ჩვენს ახალგაზრდულ გრძნობას
 და სინდისს.
 ისევ მომესმა ქარის ჩურჩულში
 ჰანგი, რომელსაც ფიქრი მღეროდა,
 ის ლოცვასავით ახლაც სდუმს
 სულში,
 სული კი ისევ ღელვით გელოდა.

ჩემთვის ვფიქრობდი დამდგარი

სკამთან,
რომ ჩანდა, როგორც ტრუობის
ნაწყვეტი,
ღამე კი ისე მაფენდა კალთას,
კვლავაც თუ მოვალ, ვერ
გადავწყვიტე.
ახლა ვეწვევი ლოცვებით საყდარს,
ავანთებ სანთლებს ციმციმით ფერთა,
შევვედრი უფალს ოცნება ახდეს –
წყვილი ყოველი ამყოფოს ერთად.
მახსოვს მითხარი –

ოღონდ მინატრე,
შენთან ქარივით გავჩნდები უმალ,
რადგან ჩემს გულში დაიბინადრე,
გავარღვევ ტრუობის ბარიერს.

მდუმარს.

ვეღარ გავუძლებ დაღვენთილ
დუმილს,
დამის მნათობებს დავხატავ ცაზე,
ისევ იქნება საღამო ჩუმი,
გული კი ცხელი გრძნობებით სავსე.

დედა

დაჩოქილი ვარ შენს სამარესთან
თან გულმოკლული დაგტირი დედა,
შენი სავანე უცხო მხარეა,
რომელსაც ახლა ტკივილით ვხედავ.
ვის ვუთხრა ჩემი გულის ვარამი,
ძნელია ყოფნა უშენოდ, დედა,
მთელი ცხოვრება მკერდით მფარავდი,
წინ მიმიძლოდი ფარად და ბედად.
სად ხარ ახლა, უსაყვარლესო,
ჩემი სიცოცხლის სათავევ, დედა,
ტკივილით თითქოს სული ამევსო,
როცა დაგეტებ და ვერსად გხედავ.
რას არ ვიზამდი, რას არ დავთმობდი,
რომ კვლავ მეხილე, ძვირფასო დედა,
მუდამ მშობლიურ გულით მათბობდი,
ყოველთვის მხარში მეღექი მწედა.
თბილი ოცნება აღარ დამთავრდა,
მომტირლებივით ყვავებიც სხედან,
მე მუდამ მოვალ
შენს თბილ საფლავთან
და ჩამოგდახებ – მიყვარხარ, დედა!



სალომე გოგიავალი

ის-ის იყო ჩემი ხუთი წლის გოგონა ღია და დედაჩემი ოდესაში გავაცილეთ მე და ჩემმა მეუღლებ, მოწყენილები შინ დავბრუნდით, რომ ჩემი დიდი წინანდელი - 1989 წლის დასკენიბა ჯერ მინერალურ წყლებში, შეძლევ ბიჭვინთაში და იქიდან ფათურაკებით სავსე ოდესაში გამგზავრება გამახსენდა. ისიც მომავონდა, რომ ეს ამბები გამოცდების თემად შევთავაზე ჩემს პედაგოგებს. გადავჭიქვი არქივი და მივაგენი ამ „ნაწარმოებს“, რომელიც ბავშვური გულუბრყვილობით, უშუალობით გამოდგა დაწერილი. მამაჩემს ისევ წავაკითხე, ძალიან მოეწონა და მირჩია, მომეცი და მე დავაბეჭვდინებო. თუმცა გული მეთანალრება, მაგრამ მაინც დავთანხმდი და მკითხველო, ახლა თქვენთვის მომინდვია ჩემს, ყმაწვილქალობაში გულწრფელად დაწერილი, საგამოცდო ნამუშევრის შეფასება.

ცხელი ზაფხული

ივლისის თვეა, ჩვეულებრივი თბილისური ზაფხული, ცხელა. წინ მიღევს ცნობარი უნივერსიტეტში შემსვლელთათვის. ტელე-ვიდეო რეჟისურის სპეციალობაზე შემსვლელთ დამოუკიდებლად შესრულებული ორი-სამი სამუშაო უნდა პქონდეთ წარმოდგენილი შემდეგი ჩამონათვალით:

1) ავტობიოგრაფია - მზადა მაქს, თუმცა რა ბიოგრაფია უნდა პქონდეს ჩვენი თაობის თვრამეტი წლის ჩვეულებრივ ქალიშვილს: სკოლის ცხრა

კლასი, ლიცეუმის სამი წელი, სტუდენტობის მაძიებელი, აბიტურიენტს რომ ეძახიან;

2) მომავალი ფილმის მოკლე სცენარი - ალბათ, გამოდგება ლიცეუმში ნაწვალები სადიპლომო ნამუშევარი, ვიდეოფილმი, წარსულში სასიქადულო ცხენოსან ქალზე;

3) რამდენიმე კინოხელოვანის შემოქმედებითი პორტრეტი - ჩემი ‘დახასიათებადა’ აკლია ბერტოლუჩის და სპილბერგს, სანდრო ვახტანგოვს

და გოდერძი ჩოხელს;

4)ფოტომასალა - რა საჩვენებელია 15 ლარიანი ჩინური ფოტოა-პარატით გადაღებული ჩემი ცხოვრების სურათები და მეგობრების სასაცილო პოზები; საკუთარი ლექსები, მოთხრობები ან ჩანახატები რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა საკუთარი ცხოვრებიდან - ამბავი სიყვარულისა ზღვის პირას მთვარიან დამეს არ გამოდგება; რა განსაკუთრებული შემთხვევა მქონდა ცხოვრებაში? არ ვიცი.

თითოთ წრიულად ვატრიალებ სუფთა ფურცელს. ეს გამოწვევად მიაჩნია ჩემს მაგიდაზე მის საყვარელ ადგილას დასკუპებულ ვუპის და თათებით შესწორება შეაქვს ფურცლის მოძრაობაში, რისთვისაც საკმაოდ თავაზიან დარტყმას იღებს, თუმცა ვუპი თავისას მაინც არ იშლის. დაბერდი შე იდიოტო და სულ გამოთაყვანდი - ჯავრს ვიყრი ოჯახის სრულუფლებიან წევრზე - 10 წლის სიამის კატაზე, რომელსაც საყვარელი ზანგი მსახიობის პატივსაცემად ვუპი დავარქვით, ალბათ გვაპატიებს ჰოლივუდის ვარსკვლავი-ვუპი გოლდბერგი და თვითონ ვუპიც, რომელიც ხვადია და ჩემმა პროტესტმა გადაარჩინა კასტრაციას.

ვუპი უახე ათი წლისაა და იგი პირველი კლასის დამთავრების აღსანიშნავად, ჯიშიანობის დამადასტურებელი ყოველგვარი საბუთის გარეშე, შევიძინეთ რუსთაველის მეტროსთან. თვალს ვადევნებ როგორ ცდილობს ვუპი დაითრიოს ქალალდის ფურცე-

ლი და მაგონდება შემთხვევათა რგოლი ჩემი ათი წლის წინანდელი ცხოვრებიდან.

ორი თვის ვუპისთან ერთად ვზივარ და ყურს ვუგდებ დედაჩემის შინაარსიან მსჯელობას, თუ როგორ უნდა ავითვისოთ მამაჩემის მოულოდნელი პრემია, რომელიც ალბათ არცთუ ისე მცირეა ჩამოთვლილი იმ საოჯახო ნივთებისა და ტანსაცმლის ფასებით თუ ვიმსჯელებთ, რომლებიც თურმე ასე გვაკლია და ურომლისოდაც ცხოვრება შეუძლებელია. არ ვიცი როგორი გულისყურით უსმენდა მას ქაღალდზე კაცუნების ხატვით გართული მამაჩემი, რომლის დასკვნაც მოკლე გამოდგა. ასე გადაწყვიტა: პრემიასთან ერთად მაქვს სანატორიუმის საგზურის შანსი მინერალურ წყლებზე. ვყოფთ მას ორად, თორმეტი დღე ვიქნებით იქ. შემდეგ თქვენ ორი კვირით გაგიშვებთ გაგრაში, სადაც საგზურის ჩემი მეგობარი გია გიშოვით. იქედან კი ოდესაში წახვალთ, აღარ მოგენატრა ქალო, მშობლები და შვილი? მაშინ ჩემი და, რუსიკო, ბებია-ბაბუასთან იმყოფებოდა და თითქმის წელიწადი არ გვენახა.

ჩემზე ვერავითარმა შეგონებამ ვერ გასჭრა ვუპის უკეთესი მომავალი ექნება ახალი პატრონების ხელშიო, მაინც ჩემი გავიტანე. ორი დღის შემდეგ, ჩემს უბეში მოკალათებული სათანადო საბუთით აღჭურვილი ვუპი ჩენთან ერთად დაფრინდა მინერალური წყლების აეროპორტში.

მოწყობის თაობაზე დედის ნერვ-

იულობის გამო მამამ უდარდელად გაიცინა-ამ შეკვრას და წერილს ხომ ხედავ, ჩავაბარებ სანატორიუმის დირექტორს, საგზურს ორად გაგაყოფინებ და სალომეს ვარიანტსაც შევაპარებ, ვუპის კი ჯერ დავმალავთ და მერე კი რამეს მოვიფიქრებთ და ტაქსისტს თვალი ჩაუკრა, რომელმაც ვთოომ რაიმე გაიგოო, გულიანად გაიცინა.

დირექტორის კაბინეტიდან მამა შეკვრის გარეშე გამოვიდა. მახსოვს სართულის მორიგე დეიდა დაშას ბუზლუნი: что за порядок у Сергея Петровича, все позволяет этим грузинам, одной путевкой двое да еще ребенок, не дают людям отдохнуть по человечески.

მე შემეშინდა და კიდევ უფრო დავმალე უბეში ვუპი, რომელმაც სწორედ მაშინ მოინდომა თავის ამოყოფა.

დავბინავდით, მშვენიერი ოთახი მოვცეს. ნამგზავრზე ვისვენებდით, როცა ძილში მომეშმა: რომ წამოგვაყვანინა ეს ცხოველი, რას იტყვის ხალხი - ერთი საგზურით სამი სული და კიდევ კატა, ძალიან ანებივრებ ბავშვებს; მაცალე რა, მაგათი წამალი მე ვიცი. ვიძინებ და ვფიქრობ რა წამალი იცის მამაჩემა?

- სალომე, მართალია ტყუილის თქმა არ შეიძლება, მაგრამ თუ ის კონილ საქმეს წაადგება, შეიძლება მოიტყუო კიდეც. ეს კნუტი ვითომ სანატორიუმის წინ მანქანის თვლებიდან გამოათრიე. სახელი შეგიძლია იგივე დაუძახო, ვითომ ახლა დაარქვი. როგორც

შემდგომ მივხვდი, მამამ კარგად იცოდა რუსების უცნაური ხასიათი. წესების მორჩილებისა და უსიტყვით შესრულებასთან ერთად მათ ბუნებაში ჰქონდათ სენტიმენტალური გრძნობა ცხოველებისადმი. ახლობელი ადამიანის გაჭირვებას გულთან არ მიიტანენ, ხოლო ფინიას ან კატას ზედ გადაყვებიან. დამსვენებლები სასადილოსთან საჭმელების ნარჩენებს ინახავდნენ და აჭმევდნენ უპატრონო ცხოველებს, რომლებიც ამას შეჩვეულები იყენენ და ელოდნენ თავიანთ ულუფას სანატორიუმთან.

მე წარმატებით ვასრულებდი მამის დარიგებას და ყველას სხვადასხვანაირად ვუყვებოდი ვუპის გადარჩენის ამბავს და დამაჯერებლობისათვის, ხან თათებს ვუხვევდი და ხან თავს. მალე ვუპი ისე შეუყვარდათ დამსვენებლებს, რომ სასადილოში და სანატორიუმის დერეფნებში სეირნობის უფლებაც კი დართეს, ხოლო სართულის მორიგე დეიდა დაშას მისთვის რძე სახლიდან მოჰქონდა და თანაც ცდილობდა დედაჩემი დაეყოლიებინა, რომ ვუპი სანატორიუმში დაეტოვებინა.

სწრაფად გაირბინა სანატორიუმში ყოფნის 12 დღემ, სულ სურვილი მქონდა მეთქვა სიმართლე, მაგრამ მამამ გამაფრთხილა - შვილო, ეს გულს ატკენს მოტყუებულ ხალხს, მერე მართლაც რომ მოხდეს ასეთი ამბავი, აღარ დაუჯერებენ და სიკეთეს არ გააკეთებენო. წამოსვლისას მე და ვუპის მთე-

ლი სანატორიუმი გვაცილებდა.

აეროპორტში ცოტა შეგვაყოვნეს ვუპის თბილისში გაცემულ პასპორტთან დაკავშირებით, მაგრამ ჩემმა ცრემლებმა გაჭრა თვითმფრინავმა ზღვის თავზე წრე შემოავლო და სოხუმის აეროპორტში დაეშვა. აქც მზიანი დღე დაგვხვდა, საოცრად თბილი და ალერ-სიანი ჰაერი თავბრუდამხვევი უცხო სურნელებით. აეროპორტში მამას გაგრელი მეგობარი დაგვხვდა, გია ძიძიგური, საოცრად ლამაზი, მაღალი, შავგვრუმანი ახალგაზრდა, რომელიც ჩემთვის გასაოცარი აქცენტით ლაპარაკობდა, ერთმანეთში ურევდა რუსულსა და ქართულ სიტყვებს და სულ იღიმებოდა. მანქანაში მხიარულად იგონებდა გასართობ ამბებს კურორტის ცხოვრებიდან, დედასა და მამის ურთიერთობიდან, მე კი დაუინებით მთხოვდა, რომ ვუპი მეჩუქებინა თილისმასავით სარკე-სთან ჩამოსაკიდებლად.

სოხუმში გავლისას ალაგ-ალაგ ხალხის ჯგუფები იდგა, ისმოდა ხმამა-ღალი შეძახილები, ეს სულაც არ გამკვირვებია, რადგან მიტინგებს თბილისში შეჩერები ვიყავი. მამა და გია ჩუმად ლაპარაკობდნენ, შემდეგ გიამ გაიცინა და ხელი აიქნია: და თაქ უნიკალურ გრიპი, რომელიც გამოიყოფა მას გარდა მართლა გავლისას არ გამოიყოფა.

მართალია ზღვა ჩემთვის ახალი ხილი არ იყო, ყოველ წელს ოდესაში დავდიოდი ბებია-ბაბუასთნ, მაგრამ ასეთი ლამაზი თუ იქნებოდა, ვერ წარმომედგინა. ამ შთაბეჭდილებას კიდევ

უფრო აძლიერებდა არაჩვეულებრივი ბუნება. მიუხედავად ჩვენების წინააღმდეგობისა, გიამ გვასადილა ეშერის მთის გამოქვაბულში, დამამახსოვრდა, რომ ზაფხულის სიცხის მიუხედავად რესტორანში საკმაოდ გრილოდა.

გიამ დაგვაბინავა ბიჭვინთის და-სასვენებელ კორპუსებში, დაგვპირდა, რომ ხშირად გვნახავდა და მამაჩემი სადგურში წაიყვანა. იგი თბილისში ბრუნდებოდა.

ბიჭვინთის კორპუსებში ძირითა-დად უცხოელები ისვენებდნენ, ქარ-თველები და რუსები ერთ კორპუსში კცხოვრობდით. ვუპისთან დაკავშირებით არავითარი პრობლემა არ შექმნილა. იყო თბილი ზღვა, მცხუნვარე მზე და ბევრი მომლიმარე ბედნიერი სახე.

უცებ რაღაც შეიცვალა, ლაპარა-კობდნენ, რომ სოხუმში აფხაზების გამოსვლები დაიწყო. ქართველთა შორის დახოცილებიც არიანო. მუდამ თავაზიანმა სასტუმროს აფხაზმა და სომეხმა მოსამსახურეებმა ჩვენთან დამოკიდებულება შეიცვალეს, აღარც კი გველაპარაკებოდნენ. ერთ დღეს ყველა გამოგვასახლეს ოთახებიდან და ვესტიბიულში ჩამოგვიყვანეს, გაიძახოდნენ სუფველა უნდა დავიჭიროთ და სანამ ყველა ქართველი აქედან არ წავა, ამათ მძევლებად დავიტოვებთო. ბევრი უცხოელი დამსვენებელი თანაგრძნობის ნიშნად ჩვენს გვერდით დასხდა. დე-დაჩემს, როგორც უკრაინელი ეროვნების ქალს, უფლება მისცეს ოთახში დაბრუნებულიყო, მაგრამ მან უარი გა-

ნაცხადა. საშინელი ღამე გავატარეთ. დილით გიაც გამოჩნდა, შეცვლილი მეჩვენა, აღარ იღიმებოდა, ის ხელების ქნევით რაღაცას უმტკიცებდა ჯგუფად მდგომ აფხაზებს. ზოგი თითქოს ეთანხმებოდა, ზოგიც არა. გიამ გვერდზე გამოგვიყვანა და უჩვეულო სერიოზულობით, თითქმის ბრძანების ტონით, გვითხრა სასწრაფოდ ჩაგველაგებინა ჩვენი ბარგი-ბარხანა. დედას კითხვაზე, სხვებს რა ეშველებაო, მან დაამშვიდა, რომ მათზე უპვე ზრუნავენ და ყველაფერი მოწესრიგდებაო. ბიჭვინთიდან მიღიცის მანქანით გამოვემგ ზავრეთ, აღარ მახარებდა მოჩახახე მზე, ზღვა და პალმები, ვერტნობდი რაღაც უბედურება იწყებოდა. მანქანამ სოჭის აეროპორტში მიგვიყვანა, გიამ ბილეთები აგვიღო ოდესის მიმართულებით, კეთილი მგზავრობა გვისურვა, გაგვიღიმა და დაგვემშვიდობა.

თვითმფრინავი ზღვისკენ გაფრინდა და გეზი ოდესისკენ აიღო, იქ გველოდებოდნენ დედის მშობლები, მამა, ნათესავები და ჩემი და რუსიკო. მაგრამ მე გული რატომღაც იქ მრჩებოდა, საოცრად ლამაზ პალმებისა და ფიჭვების ხეივანში ჩაფლულ გაგრასა და

ბიჭვინთაში. გული მიგრძნობდა, რომ დიდ ხანს ვეღარ მოვხვდებოდი იქ. მოკლე ხანში საშინელი ტრაგედია დატრიალდა და უსახელო ძმათა სასაფლაოში განისვენებს მუდამ მომღიმარი, საოცრად ლამაზი ვაჟკაცი გია ძიძიგური.

ეს იყო 10 წლის წინათ, 1989 წლის ცხელი ზაფხულის ივლისის თვეში.

არ ვიცი როგორ დააკმაყოფილებს ეს მოგონება გამომცდელთა მოთხოვნებს. უკავი ისევ ემზადება ქალალდზე იერიშისთვის, მაგონდება გამონათქვამი: უნდა იცოდე, რომ იმ სიამოვნებასთან ერთად, რასაც შინაურ ცხოველებთან ურთიერთობა განიჭებს, ბევრი პასუხისმგებლობაც გეკისრება, ისიც უნდა გაითვალისწინო, რომ მისი ერთი წლის სიცოცხლე ადამიანის 7 წლის ტოლფასია და უნდა ელოდო გარდაუვალს, რაც დიდ ტკივილს მოგიტანს. გადავუსვი თავზე ხელი ჩემს ხანდაზმულ თავნება უხიაგ მეგობარს და ჩავრთე ტელევიზორი, სადაც აჩვენებენ ფილმს ვუპი გოლდბერგის მონაწილეობით ქურდი ქალის როლში.

**საქართველოს იღია ფავტავამის სახელობის
სამართა შორისო სამაცნიერო-კულტურულ-საგან-
მანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“
თავმჯდომარეს მფერად ნუზარ ჭრეთების**

მოგესალმებით ბატონო ნუგზარ, ქართლის შუაგულ გორიდან. გისურ-ვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. ღმერთმა მოგცეთ ძალა და ხვალინდელი დღის იმედი, ერი-სათვის ამ ურთულეს პერიოდში, თქვენს წინაშე დასახული მიზნების შესრულებისათვის.

ბატონო ნუგზარ. პირადად ჩემი და ჩემი მეგობრების სახელით მინდა მადლობა გადაგიხადოთ თქვენ იმ უდიდესი ღვაწლისათვის, რაც ქვეყნის იდეოლოგიის ხერხემლის საზოგადოება „ცოდნის“ აღდგენა—აღორძინების საქმეს მოახმარეთ. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა მოგხსენოთ, რომ შიდა ქართლში და განსაკუთრებით გორში საზოგადოება „ცოდნის“ შეიძლება ითქვას მკვდრეთით აღდგენაში დიდი წვლილი მიუძღვის შიდა ქართლის კოორდინატორს და გორის პასუხისმგებელ მდივანს პოეტ, ღოცენტ ჯემალ ბაშარულს. მადლობის მეტი რა გვეთქმის ამ მნელბედობის უამს ასეთი უანგარო, პატიოსანი, პატრიოტული სულისკვეთების, განათლებული და შეიძლება ითქვას ლექტორთა ლექ-

ტორის ზემოღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნისთვის.

ბატონო ნუგზარ, მე და ჩემი თანამოზრები დიდი სიხარულით შევხვდით საზოგადოება „ცოდნის“ მიერ უურნალ „სიტყვის“ გამოშვებას. უურნალი მრავალფეროვანი, საინტერესო ამბების მაცნე და ჩვენი საზოგადოებისათვის უაღრესად საჭირო, აუცილებელი ცოდნითაა გაჯერებული.

მისასალმებელია ის, რომ უურნალი მიზნად ისახავს განსხვავებულ სოციალურ გარემოშიც იყოს საზოგადოება „ცოდნის“ ადრე არსებული საგამომცემლო საქმიანობის სახელოვანი მემკვიდრე და ღირსეული გამგრძელებელი — მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გავრცელების მნიშვნელოვანი ქომაგი და ავტორიტეტული პროპაგანდისტი. აღნიშნული რა თქმა უნდა დიდი საქმეა, მით უმეტეს დღეს, ერისათვის ასეთ ურთულეს ვითარებაში და ამავე დროს დიდი პასუხისმგებლობა და შეიძლება ითქვას, ერთგვარი ზნეობრივი გმირობაცაა.

ბატონო ნუგზარ, მეც და ჩემს მე-გობრებსაც ღრმად გვწამს და გვჯერა,

რომ უურნალ „სიტყვის“ სარედაქციო კოლეგია, თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით, ყველაფერს იღონებს დაწყებული მნიშვნელოვანი ეროვნული საქმის ღირსეულად გაგრძელებასა და დამსახურებული გამარჯვების მოპოვებისათვის მთელი ჩვენი განათლებული საზოგადოების აქტიური დახმარები-

თა და მხარდაჭერით.

ახალი შემოქმედებითი მიღწევების სურვილით შოთა არსენიძე, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის და მეთოდიკის კათედრის გამგე, პროფესორი.

P.S. ბატონო ნუგზარ, ეს წერილი მზად მქონდა თქვენთვის გამოსაგზავნად, რომ შევიტყვე ჩემთვის და უამრავი გორელისათვის მეტად სასიამოვნო ამბავი. საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, ჩემს კოლეგას და გორელებისათვის საყვარელ პიროვნებას ჯემალ ბაშარულს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ღვერცორის საპატიო წოდება. ვსარგებლობ შემთხვევით და ყველა გორელის სახელით მიხდა მივუღოცო ბატონ ჯემალს დამსახურებული ჯილდო, ვუსურვო დიდხანს სიცოცხლე და შემოქმედებითი წარმატებები. მადლობა თქვენ და თქვენს კოლეგებს, პირადად ბატონ ჯემალს ჩვენი გულების გახარებისათვის.